

თამარ პაპავა

გაბნეული საფლავები

თბილისი
1990

წინამდებარე კრებულში შესულია ორი წიგნი: თამარ პაპავას „გაბნეული საფლავეები“ (პარიზი, 1970; კრებულის გამაერთიანებელი სათაურიც სწორედ აქედან არის აღებული) და „ლტოლვილთა საქვალენი“ (პარიზი, 1973). რომელთაც წამძღვარებული აქვთ წინასიტყვაობა, რათა მკითხველს გაუადვილდეს მათი აღქმა, გაითვალისწინოს აქ წარმოდგენილი წიგნების გამოცემის ისტორია, მიიღოს აუცილებელი ცნობები მათ ავტორთა შესახებ. ხელუხლებლად არის დატოვებული სტილი და მართლწერა, თვით პუნქტუაციაც კი (გასწორებულია მხოლოდ აშკარა კორექტურული შეცდომები), როგორც დოკუმენტური მასალა ქართული ემიგრანტული მწერლობის სალიტერატურო ენის შესასწავლად.

შეადგინა და წინასიტყვობა დაურთო
გ უ რ ა მ შ ა რ ა ძ ე მ

წიგნის გამოცემით მიღებული შემოსავლის ნაწილი მოხმარდება უცხოეთში გარდაცვლილ ქართველ მამულიშილთა მემორიალის აგებას.

© მ. კ. ფ. „არმაზი“

თამარ პაპავა

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ცოლ-ქმარს თამარ და აკაკი პაპაევებს.

ემიგრაციაში წასვლამდე აკაკი პაპაევი (1890—1964) თვალსაჩინო სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში და არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის უახლესი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბებაში. აკაკი პაპაევას პირველი წერილები და ფელეტონები 1910-იანი წლებიდან ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე. იგი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი გახლდათ და ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ამ პარტიის ლიდერთან, გამოჩენილ ქართველ მოაზროვნესა და პოლიტიკურ მოღვაწესთან არჩილ ჯორჯაძესთან, რამელიც თურმე დიდად აფასებდა ახალგაზრდა ლიტერატორის ნიჭსა და უნარს ხოლო ქართველ მწერლებს შორის აკაკი პაპაევას დამსახურებულ ავტორიტეტსა და მწერლურ აღიარებას მოქმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველ მწერალთა საერთო ყრილობამ იგი აირჩია მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარედ (პირველი თავმჯდომარე გახლდათ პოეტი კოტე შაყაშვილი), საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი აკაკი პაპაევი დანიშნეს მწერალთა კავშირის განყოფილების ხელმძღვანელად და ამავე დროს რედაქტორობდა ორკვირულ სახელაწიან-საინფორმაციო კურნალ „ხელოვნებას“...

აი, სწორედ მას დაუკავშირა თავისი ცხოვრების ბედი მომავალმა მწერალმა ქალმა და ერთგულმა მეუღლემ თამარ გოგოლაშვილმა-პაპაევამ...

თამარ გოგოლაშვილი-პაპაევასი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1888 წლის 24 მარტს, ცნობილი ქართველი მსახიობის სიმონ გოგოლაშვილის ოჯახში:

„თამარ პაპაევი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ძალიან ახალგაზრდა და თავიდანვე ყურადღება მიიქცია ჩვენი ინტელიგენციისა. საქართველოში იგი წერდა პატარა მოთხრობებს პატარა ბავშვებისათვის „ქონრიანი ტოროლას“ ფსევდონიმით. თამარ პაპაევი უმთავრესად თანამშრომლობდა იოსებ იმედაშვილის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრებაში“. ამ მანდილოსანმა ცალკე წიგნად გამოსცა და თარგმნა ბონზელსის ცნობილი ნაშრომი „ფუტკარი მათა“ — წერს მანდია ლაშაური (ილია კუჭუხიძე) ჟურნალ „კავკასიონში“, (XIX, პარიზი, 1978, გვ. 32).

1923 წლის 12 მაისს თამარ პაპაევი ორი გოგონათი (ტურუა და მზია) თბილისიდან გაემგზავრა, მოსკოვისა და რიგის გავლით, ბერლინს, სადაც მას ელოდა აკაკი პაპაევი, რომელიც ცოტა უფრო ადრე გადაისროლა ბედმა ემიგრაციაში.

ამის შემდეგ იწყება უცხოეთში თამარ და აკაკი პაპაევების ხანგრძლივი ერთობლივი ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობა...



მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პაპავების ოჯახი უმთავრესად სამ-
ბურგსა და ბერლინში ცხოვრობდა, ხოლო ომის მძიმე წლები ევაკუაციაში
ხან ტიურინგიაში, ბავარიაში, ავსტრიაში და ვინ იცის, კიდევ სად გაატა-
რეს ხეტიალში. . ახალი ხანა პაპავების შემოქმედებით ცხოვრებაში დგება
1949 წლიდან, მას შემდეგ რაც ისინი დასავლეთ ევროპიდან სამხრეთ ამე-
რიკაში. კერძოდ, არგენტინაში გადასახლდნენ...

* * *

1937 წელს პარიზში გამოქვეყნდა თამარ გოგოლაშვილი-პაპავას სქელ-
ტანიანი (300 გვერდიანი) წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ (შესანიშ-
ნავად დაბეჭდილი დავით ხელაძის პარიზულ ქართულ სტამბაში).

ამ წიგნში შესულ ნარკვევთა ერთი ნაწილი („მეუფე ერეკლეს ქალები“,
„ქართული ქალი და 1832 წლის შეთქმულება“, „ალექსანდრე ბატონიშვილი
და მისი ოჯახის ბედი“) „ისახარ“-ის ფსევდონიმით იბეჭდებოდა პარიზში
30-იან წლებში ედ. პაპავას, ვ. ნოზაძისა და ი. მანწკავას მიერ დაარსებულ
ჟურნალ „კავკასიონში“, ხოლო დანარჩენმა სამმა ახალმა ნარკვევამ („იმერე-
თის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან“,
„სამეგრელოს დედოფალი ნინო“ და „ბატონიშვილი დარეჯან“) პირველად
აქ იხილა შხის სინათლე. თუმცა, ძველი ნარკვევებიც საგრძნობლად იყო
შეცვლილი და შეესებოდა უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ წყაროთა
მიხედვით.

ორიგინალურად აქვს გააზრებული მწერალ ქალს წიგნის სათაური. ამის
თაობაზე ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ერთ იმდროინდელ საზღვარგარეთელ რე-
ცენზენტს, რომელიც სამართლიანად შენიშნავდა: „ავტორი აქ დიდ თავმ-
დაბლობას იჩენს და გვარწმუნებს ამ სათაურით, რომ მან ვერ შესძლო ამ დიდ
პირობა. დიდ სახეთა შესაფერის დიდ ჩარჩოებში მოთავსება, რომ მისი ისტო-
რიული ნარკვევები კნინია. ავტორი, რასაკვირველია, სცდება, თუ მართლა ასე
ფიქრობს. ჩვენ გვგონია. ჯერჯერობით არც ერთი მკვლევარი ასე ღრმად და
ასე ფართოდ არ მისდგომია აღნიშნულ ეპოქას, რომლითაც იწყება საქარ-
თულში რუსეთის გაბატონება. ალ. ფრონელის გამოკვლევანი მთიულეთისა
და კახეთის აჯანყების შესახებ თავის ღრმად დიდი განძი ქართული ისტო-
რიის საკითხთა გასაშუქებლად. დღეს უბრალო მოთხრობად გვეჩვენება, რო-
მელიც შემოფარგლული იყო ადგილობრივობით. თამარ პაპავას ნაშრომი
კი ფართო გეგმაზეა აგებული და მოცემულია არა მარტო ადგილობრივობა,
არამედ საერთაშორისო ვითარებაც, რომელშიაც ჩვენს გმირებს მოქმედება
უხდებოდათ. ამ მხრივ ქალბატონ პაპავას შრომით კვლევა-ძიების საგანი
ახალ გზასუა შეყენებული და ამას არ შეიძლება უურადღება არ მივაქციოთ,
რადგან დიდ ღირსებას“ (იხ. „ქართლოსი“, №9-10, პარიზი, 1938, გვ. 1-13).

წიგნისათვის წამძლვარებულ შესავალში ავტორი უღრმეს და გულწრფელ
მადლობას უცხადებს ექვთიმე თაყაიშვილს, სამსონ ფირცხალავას და ვიქ-
ტორ ნოზაძეს (და სხვებსაც), ამ შრომაზე გამოჩენილი უურადღებისა და დაუ-
ვალად დახმარებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილს დაუწერია „წინასიტყვაობა“, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი პირუთვნელობით გეთვალისწინებს თ. პაპავას ამ წიგნის მეცნიერულ-ლიტერატურულ ღირსებებს.

1951 წელს ბუენოს-აირესში გამოიცა თამარ პაპავას ისტორიული ნარკვევი დარეჯან დედოფლის შესახებ, რომელსაც წინ უძღვის ნოე ჟორდანიას წერილი „ქართველი ქალი“ და დართული აქვს ბოლოსიტყვაობა ავტორისა. ამ წიგნით დაიწყო თ. პაპავამ მეორე ტომი თავისი „დიდი სახეებისა“. წიგნი მშეენიერად არის გამოცემული და შეიცავს დარეჯან დედოფლისა და ერეკლე მეფის სურათებს (აქვე შევნიშნავთ: რომ თავდაპირველად აღნიშნული ნარკვევი თ. პაპავამ გაგრძელებებით დაბეჭდა ჟურნალ „მამულში“: იხ. №1 და №2, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 21-29, 43-52).

ბოლოსიტყვაობაში სათაურით „ჩემი მადლობა“ თამარ პაპავა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს იმ დიდ ქართველ სწავლულს, რომელმაც ეს ახალგაზრდა მოღვაწე ქალი ჯერ კიდევ 900-იან წლებში ეროვნულ ნიადაგზე დააყენა. როდესაც იგი ილიასეულ „ივერიას“ რედაქტორობდა. ესაა პროფესორი ფილიპე გოგინაიშვილი. მადლიერი მწერალი ამბობს: „არ შემიძლია ეხლა მიინც, როცა ჩემს თავზე ექვსმა ათეულმა. ხშირად ქარიშხლიანმა, წლებმა გადაიარეს. მოწიწებით და დიდის პატივით თავი არ მოვიხარო იმ ღირსეული პიროვნების წინაშე, რომელმაც პირველად გამოიკვლია გზა და მომიწოდა სამუშაოდ იკითვენ, სადაც ჩემს წინაშე გარდაიშალნენ წარმტაცო სახეები ქართული ქალებისა... მე არ ვიცი, ეს ჩემი ხმა მას თუ ოდესმე მისწვდება, მაგრამ ჩემი წრეელი და დიდი მადლობა მინდა დღეს მას ეუძღვნა: — ჩემი ნათელი გზის მანქანებელს. პროფ. ფილიპე გოგინაიშვილს.

ეს არის ჩემი წმიდა ვალი...“

თამარ პაპავას წიგნს სხვა უადრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონდა: ეს იყო პირველი ქართული წიგნი, — დაბეჭდილი ამერიკაში! (მღრ. „მამული“, №4, ბუენოს-აირესი, 1951, გვ. 104).

ამას გარდა, საყურადღებოა ბუენოს-აირესში ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოშვებულ ჟურნალ „მამულში“ გამოქვეყნებული თამარ პაპავას შემდეგი წერილები:

1. მადლიანი შრომა (ძველი ქართული თეატრის ცხოვრებიდან), „მამული“, №3, 1951, გვ. 83-85.

2. იმერეთის უკანასკნელი ამბები და დედოფალი მარიამ (დაწერილია პამბურგში 1944 წელს), „მამული“, №5, 1952, გვ. 134-140; №6, 1953, გვ. 210-215.

ამასობაში, 1953 წელს, ბუენოს-აირესში გამოიცა თამარ პაპავას ახალი წიგნი მეორე ტომისა „დიდი სახეები პატარა ჩარჩობებში“, რომელშიც შესულია ორი ნარკვევი: 1) იმერეთის დედოფალი მარიამ; 2) გურია და დედოფალი სოფიო. როგორც ჩანს, ავტორმა ვერ მოახერხა მასში შეეტანა თავისი ნარკვევი „ეკატერინა, ოდიშის დედოფალი“, რომელიც მას დაწერილი ჰქონია (იხ. დიდი სახეები, 1951, გვ. 63).

თ. პაპავას ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით დაწერილ მოკლე ბიბლიოგრაფიულ განხილვაში ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა: „თამარ პაპავას ახალი წიგნი ორ დედოფალს შეეხება და მათ ცხოვრება-ბრძოლას აღწერს.

ორივე დედოფლის ცხოვრება მჭიდროდ გადაბმული არის იმ ბრძოლებთან, რომელსაც მათი ქვეყანა, — იმერეთი და გურია თავის უფლებათა დასაცავად ეწეოდა (XIX საუკუნეში)

მას შემდეგ რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო მოსპო და იქ მტკიცედ დაემკვიდრა, რასაკვირველია, განწირული იყო წინასწარ იმერეთის და გურიის პედიც. — და ეს კარგად ესმოდათ ამ ქვეყანათა ხელმძღვანელ პირებს, ოღონდ, ესენი მაინც ყოველ ზომას ხმარობდნენ, რათა თავი დაეცვათ, — ეს ბუნებრივი მისწრაფებაა ცოცხალი არსებისათვის.

ქალბატონი თამარ პაპავა. თავის მოკლე აღწერილობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს თითოეული ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას, და ამ დიდბუნოვან დედაკაცთა სახეს ნათლად, ღირსეულად და სიყვარულით გვიხატავს.

ბრძოლა ოჯახისათვის; ბრძოლა ქმარისათვის; ბრძოლა ტახტისათვის და სამშობლოსათვის აქ ერთმანეთში გადაბმულია მჭიდროდ და ერთ მთლიან ფონტს წარმოადგენს. რომელსაც ეს ჩვენი დედოფლების ვაჟაკურად იცავენ ..

... მისწრაფებითა და მოქმედებით, სისხლითა და სიკვდილით დაწერილ ამ ისტორიას სჭირდება შესწავლა, გამოკვლევა, გამოტანა, გაცნობა. — და ამ საქმეს ღირსეულად ემსახურება ქალბატონი თამარ პაპავა, რომელიც ქართველ დედაკაცთა ისტორიას სწავლობს და გვასწავლის; და არა მარტო გვასწავლის, არამედ გვაჯერებს კიდევ ქართული ისტორიის დიდძალ მიმალულ, ჩვენთვის უცნობ ამ დიდ დედაკაცთა სახეებს, რომელთაც იგი, თავისივე შორცხვი თქმით, პატარა ხარისებში ათავსებს...“ (იხ. „მამული“, №6, 1953, გვ. 209).

შორეულ არგენტინაში ქართულ ისტორიულ თემატიკაზე დაუღალავი შრავალწლიანი შრომა დაგვირგვინდა 1956 წელს. ბუენოს-აირესში გამოცემული თამარ და აკაკი პაპაევების ერთობლივი წიგნით: „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. წიგნში ჩართულია მრავალი ისტორიული პირის (მარიამ დედოფალი, გიორგი მეცამეტე, დაკით ბატონიშვილი, ანა ერისთავის ასული მეუღლე ფარნაოზ ბატონიშვილისა, გენერლები პ. ციციანოვი, კ. კსორინგი, ი. ლასარევი) საინტერესო სურათები, აგრეთვე. ბაგრატიონთა ღერბი და ძველი თბილისის ხედი.

წიგნისთვის დართულ „ბოლოსიტყვაობაში“ ავტორები მოკრძალებით და თანაც გულისტკივილით წერდნენ: „საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის ამბები მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოს, მისი სამეფოს და ბაგრატიონთა დინასტიის მწუხრთან...“

ჩვენ თითქმის 25 წლის მანძილზე ვაგროვებდით საჭირო მასალას საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ცხოვრებისა და ქართულ სამეფო მწუხრის შესახებ. ჩვენის ძალების მიხედვით ამ წელიწადს მანძილზე ვეუშაობდით, ეწერდით და ეკრთავდით ახლად მოძიებულ ცნობებს იმ იმედით, რომ მისი გამოცემა ჩვენს მძიმე პირობებშიაც ერთხელ შეხადლებელი ვახდებოდა. ომის წლებში და მისგან გამოწვეულმა დაუსრულებელმა ხეტიალმა ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას. ჩვენი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი შეიწირა და მასთან ერთად, სხვა ხელნაწერებთან, ამ შრომის თითქმის ნახევარი რეკულები დაგვიკარგა. გადავირისა ზოგიერთი რეკულების შავი და ამონაწერი ბი.

ამის გამო იმ მოცულობით და ხასიათით, როგორც თავიდანვე გეჭონდა განსხვავებული, ეს ჩვენი შრომა, სამწუხაროდ. ვერ დავასრულეთ. მაგრამ ხელახლა მისი გადაღება იმ იმედით. რომ შეტ მასალას დავაგროვებდით და ამ შრომას შემდეგში უფრო დამუშავებულ და დასრულებულ ხასიათს მივცემდით, არც სხვებმა გვირჩიეს და უნდა გამოვტყდეთ, ვერც ჩვენ დავინახეთ მიზანშეწონილად ჩვენს პირობებში და ხნოვანებაში.

ამიტომ გადავწყვიტეთ წიგნის ასე გამოცემა იმ რწმენით. რომ ჩვენის წარსულის მომავალ მუშაებს ეს შრომა მასალად მაინც გამოადგება და ავლევს გაუადვილებს" (გვ. 317-318).

50-იან წლებში გვიკოტახიძემ ნიუ-იორკში დაიწყო ახალი ქართული გახსნის „ქართული აზრის“ გამოცემა. რომლის აქტიური თანამშრომლები გახდნენ თამარ და აკაკი პაპაევი. ჩვენ აქ ჩამოვთვლით მხოლოდ თამარ პაპაევას მიერ „ქართულ აზრში“ გამოქვეყნებულ წერილებს:

1. გარდასულ მამულიშვილთა გაბნეული საუფლავეები (ვლ. ახმეტელის ვარდაცვალების ოცი წლის თავზე). „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი, 1962. №51-52, გვ. 2.

2. წერილი „ქართული აზრის“ რედაქციას (მადლობა დაბადები> წლისათვის მილოცვის გამო), იქვე, 1963, №55-56, გვ. 6.

3. ფიქრები წამებულ დედოფალ ქეთევანზე (ქ. ირემიძის „ლიტერატურული შედარებების“ თბ., 1945 გამო), „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი, 1963. №59-60, გვ. 3-5; №61, გვ. 2.

4. თამარ და აკაკი პაპაევა, კიტა სხენკელი (1895-1963), „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი, №59-60, გვ. 6.

5. ქართველი ქალი ჩვენს მატეიანეში. „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი, 1966. №75-79.

6. ჩემო ბატონო... (მილოცვა გენერალ გიორგი კვინიტაძეს დაბადების 96 წლისთავის გამო), „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი, 1970. №83, გვ. 4.

სავანგებოდ არის აღსანიშნავი თამარ და აკაკი პაპაევის თანამშრომლობა ვიქტორ ნოზაძის ჟურნალ „კავკასიონში“.

როგორც ვიცით, ეს ჟურნალი პარიზში ჯერ კიდევ 1929 წელს დააარსეს ელვარდ პაპაევამ, ისილორე მანჭაევამ და ვიქტორ ნოზაძემ 1929-32 წლებში გამოვიდა „კავკასიონის“ სულ რვა ნომერი და შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა. ოღონდ, 1964 წელს ვიქტორ ნოზაძემ მეცხრე ნომრიდან კვლავ განაახლა „კავკასიონის“ გამოცემა პარიზში (უკანასკნელი XXI ნომერი გამოვიდა 1986 წელს და ამის შემდეგ იგი დაიხურა).

აკაკი და თამარ პაპაევი ნოვთიერადაც ეხმარებოდნენ „კავკასიონს“ და არსების დღიდან. კერძოდ. მათ შეიძინეს ამ ჟურნალისთვის ლინოტიპის ასოები... მათ „კავკასიონის“ აღრიხდელ ნომრებში გამოაქვეყნეს რამდენიმე ნაწარმოები, კერძოდ, აკ. პაპაევამ ქეიბურის ფსევდონიმით (ძველი რეპულიდან ნასესხები ამბები. №5, პარიზი, 1930; ჩემი ცხოვრების დღე. ნოველა. №6, პარიზი, 1931; ქართულ ანბანზე, მხატვრული პროზა, №7, პარიზი, 1932), ხოლო თამარ პაპაევამ ისახარის ფსევდონიმით (დიდი ემიგრანტი, №5, პარიზი, 1930; დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში: №12-8, პარიზი, 1931-1932).

1964 წლიდან, „კავკასიონის“ გამოცემის განახლების შემდეგაც იბეჭდებოდა ამ ჟურნალში აკაკი და თამარ პაპაევების წერილები. აქ დავასახელებთ მხოლოდ თამარ პაპაევას პუბლიკაციებს:

1. ერთი ცნობა ძველ ქართულ ოჯახთა განსქულობიდან, „კავკასიონი“, IX, პარიზი, 1964.

2. გაბნეული საფლავები (ერთად შერული აკლდამა), „კავკასიონი“, XII, პარიზი, 1967.

3. 26 მაისი ჩვენთან, „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968.

4. საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი, „კავკასიონი“, XIV, პარიზი, 1970.

5. ჩემი აღსარება, „კავკასიონი“, XVI—XVII, პარიზი, 1972—73.

6. დიდი ღღის მოლოდინში (აკაკი წერეთლის საიუბილეოდ), „კავკასიონი“, XVIII, პარიზი, 1976.

უკანასკნელი წიგნი თამარ პაპაევამ 1970 წელს გამოსცა პარიზში სათაურით: „გაბნეული საფლავები“. აქ წარმოდგენილია დიდი სულიერი მღელვარებით და პოეტური გატაცებით დაწერილი ეტიუდები ნოე ყორღანიძეს, ლადო ახმეტელს, ვრიგოლ რობაქიძეს, კიტა ჩხენკელს, ქაქუცა ხოლოყაშვილს; ამას გარდა, წიგნში შესულია სხვა ეტიუდებიც: კერძოდ, „ბუხართან“ გვიხატავს ბერლინის განაპირა უბანში — ლიხტენფელდში პაპაევების თბილ და ტკბილ ოჯახში ქართული ბუხრის წინ სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრსა და საუბრებში დიდ ქართველ მაძულიშვილთა — ზურაბ ავალიშვილის, მიხაკო წერეთლის, ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეების, ვიქტორ ნოზაძის, კიტა ჩხენკლის, სამსონ ფირცხალავას. შალვა ამირეჯიბის და სხვათა მიერ გატარებულ დღეებს... „დაგვიანებული მადლობა“ კი ეკუთვნის ბერლინში მცხოვრებ ერთ პატარა ქართველ დიასახლის ქალს ალექსანდრა ფხაკაძის ასულს, რომან მკურნალის მეუღლეს, ხოლო „ფიქრები წამებულ დედოფალ ქეთევანზე“ გამოუწვევია 1945 წელს თბილისში გამოცემულ შესანიშნავი ქართველი მწერალი ქალის, უღროოდ დაღუპულ ქეთევან ირემაძის „ლიტერატურულ მელაღიონებს“...

* * *

საგანგებოდ არის აღსანიშნავი თამარ და აკაკი პაპაევების ღვაწლი უცხოეთში ისტორიული ბედუკუდმართობის გამო მოხვედრილ ძველი ქართული კულტურის ნაშთთა შექენისა და დაცვის საქმეში. მათ შორის საყურადღებოა ბუენოს-აირესში 1963 წელს დაწერილი „ერთი ძველი ფარდის ამბავი“, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ჟურნალ „კავკასიონის“ IX ნომერში (გვ. 74—75) და სადაც მეტად საინტერესოდ არის მოთხრობილი ჩვენი ეროვნული სიწმინდის — თბილისის სიონის ტრაპეზის ძველი ნაქარგი ვადასაფარებლის გადარჩენა-შენახვის თავგადასავალი.

„ამ 25 წლის წინ, ბერლინში ყოფნის დროს, ჩვენ ბედნიერი შემთხვევა მოგვეცა, სრულიად მოულოდნელად გვემოვნა და შეგვეძინა „ტფილისის სიონის“ ტრაპეზის ძველი ფარდა.“

სიძველეთა დიდი უბადლო და დაუღალავი მკვლევარის. აწ განსვენებული მეცნიერის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დამოწმებით ეს „ფარდა“ დიდად საყურადღებო განძად უნდა ჩაგვეთვალა და როგორმე სასწრაფოდ შეგვექმნა.

ბ-ნი ექვთიმე სხვათა შორის გვწერდა: „თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიად და ფრიად საყურადღებოა და მისი ხელიდან გაშვება შეუძლებელია“-ო.

ეს განძი, როგორც მოგახსენეთ, გახლავთ „ტფილისის სიონის“ ტრაპეზის „ფარდა“, დიდის ხელოვნებით შესრულებული 1773 წელს. ქსნის ერისთავის იესე ყულარადასის მეუღლის, ქეთევანის მიერ, რომელიც იყო ასული მეფე თეიმურაზ მეორის დის მაკრინესა და მამიდაშვილი ჩეენი სახელოვანი მეფის, ერეკლე მეორისი.

დღიდან მისი შექმნისა (1937 წ.). ამ იშვიათ განძს ჩვენ დიდის სიყვარულით და სრუსეთი ეუკლიდით და ვინახავდით: და ბედნიერია ვართ, რომ დღემდე უნაკლოდ გვაქვს დაცული. ამ „ფარდის“ უცნებლად დაცვა განსაკუთრებით ძნელი შეიქმნა ომიანობის აღრეულ წლებში. სიფრთხილის გამო 1939 წელს ის პამპურგის ცნობილ ბანკს მოკაბარეთ სეიფში შესახად. მაგრამ 1943 წელს, როცა პამპურგზე საპაერო თავდასხმები მეტად გახშირდა, ის ბანკიც სანახევროდ დაინგრა და ცეცხლიც მოუღო. ჩვენი ფარდის პეიფი სასწაულად გადარსა და ბევრი ფიქრის და ყოყმანის, შეძლეს ის ბანკიდან გამოიოტახსთ და იმ დღიდან ომის დამთავრებამდე მუდამ ჩვენთან ვინახავდით და მრავალი „ევაკუაცია“ ხან ტიურინგიაში, ხან ბაფარიაში, ხან აესტრიაში დსხვ. ამ „ფარდამაც“ ჩვენთან ერთად გადაიტანა.

იმ საშინელ და არეულ დროში ჩვენ ბევრი რამ დაგვეკარგა (სხვათა შორის, ყუთები იშვიათის წიგნებით და ზოგი ჩვენი ხელნაწერებით); მაგრამ ეს განძი, განუშორებლად რომ თან დაგვექონდა. გადავიკრიჩა და ბედნიერ ვართ, რომ ის ჩვენს ქვეყანას შევუნახეთ...

ჩვენი იდუმალი ოცნება იყო — თუ ოდესმე ბედი ეკავიდიმება და განგება სამშობლოს ხილვას კვლავ ვვაღირსებდა, — ეს განძი თბილისში თან ჩაგვეტანა და უკანვე დაგვებრუნებინა სიონისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნოდა და რომელს, დმერთმა იცის, რა განგების ძალით, ვიდაცამ გამოაცალა..

ამის გამო, ჩვენ ვესურს ამ განძის შესახებ ყველას ვამცნოთ ეს ჩვენი ნადილი, იმ იმედით, რომ, თუ ჩვენ ვერა, სხვებმა მაინც ეს განძი ჩვენს საყელით საქარსიველოში ჩაიტანონ და სამშობლოს არ დაუვარგონ...

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს განძი ჩვენ დამაღულად არასდროს არ ვეჭოთა და ჩვენსა და ჩვენი ოჯახის ბეკლმა მეგობრებმა მისი არსებობა და ზოლოდროინდელი „თავდადასავალი“ იცოდნენ: პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილიმა, პროფ. ზურაბ ავალიშვილიმა, პროფ. მიხეილ წერეთელიმა, ველადიგერ ხაქეტელიმა, სასისონ ფირცხალაივი, პროფ. ძმებმა ნიკურაძეებმა კიტა ჩხენკელა, ვრიგოლ რობაქიძემ, ვიქტორ ნოზაძემ და სხვებმაც, რომელთაც ეს ფარდა ვეყნისას მრავალჯერ ნახული აქონდათ და ზოგმა მათგანმა განსაკუთრებით მთაყოულიება გამოსთქვა ჩვენი გარდაწვეტილებებისა გამო, რომ ეს განძი თბილისის სიონს, დაბრუნებოდა.

ახლა ცოცხალი რამ ამ „ფარდის“ შექმნის ამბავიდან.

1936 წელს ჩვენ სამბურგიდან ბერლინში — ლიტერატურულში — ჩვენს სახლში გადავბარგდით და თან გადავიტანეთ ჩვენი საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა.

ჩვენი სახლის კარები ყველა მეგობრისათვის ღია იყო და ხშირი სტუმრები არ დაგვეკლებია, როგორც ქართველები. ისე უცხოელებიც: ამ უკანასკნელთა შორის იყო ერთი, დოქტორ ხოპპ, რომელსაც საქართველოზე ბევრი რამე წაუკიოხა. ეს უცხოელი კულტურული კაცი იყო ჩვენი წარსულით დიდად დაინტერესებული.

ერთ მშვენიერ დღეს, ამ დოქტორმა ხოპპმა ადღეუბნით გვაუწყა, რომ მისი პაციენტის ერთი მეზობელი, „კავკასიელი“ (სომეხი) ვარდაიცვალა და რომ მისი „შეუღლე“, თუ დიასახლისი, გერმანული ქალი, ზოგ დარჩენილ „კავკასიურ ნივთებს“ ჰყიდისო. ეს დოქტორი, რაკი მან იცოდა, რომ ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო, იშვიათ და საინტერესო ქართულ ნივთებს თუ წიგნებს ხელიდან არ ვუშვებდით. დაგვეპირდა, რომ თუ იქ რამე საინტერესოს იპოვიდა, გვაცნობებდა.

მეორე, ახუ მესამე დღეს დოქტორმა ხოპპმა გადმოგვცა, რომ ზოგი ნივთი უკვე გაყიდული ყოფილა, მაგრამ დარჩენილია ერთი იშვიათი „ფარდა“, საგანგებო ნახელაფი და ოქრომკერდით, მხატვრულად შესრულებული. პორტრეტებითა და წარწერებით. რომელიც, მისი აზრით, ქართული უნდა ყოფილიყო. ჩვენ მას ვთხოვეთ, ეს ფარდა როგორმე ეჩვენებინა და თუ შესძლებდა, ფოტოგრაფიული სურათიც გადაეღო.

რამოდენიმე დღის შემდეგ მან დაგვირეკა, რომ ორიოდე საათით ინათხოვრა ეს ფარდა და შეგვიპოვა მის ბინაზე ვნახოთ და სურათიც გადავიღოთ. ჩვენც დაუყოვნებლივ გავესწრეთ და ფოტოგრაფიც თან წაიყვანეთ.

სიხარულით აღტაცებული დრ. ხოპპ კარებში მოგვეგება, გააჩვენა ნოხზე დაუწილი „ფარდა“, რომელიც მართლაც იშვიათის ხელოვნებით იყო ამოქარგული შეინდისფერ ატლასზე: ის იყო საკმაოდ დიდი ზომის და კარგად შენახული.

რამდენადაც შეეძლებოდა, ზევითა და ქვევითა ნაწერები ამოვიკითხეთ. სურათები ფარდისა და წარწერისა ცალკეულად გადავადლებინეთ და ვთხოვეთ დრ. ხოპპს, გაეწია შუაქაცობა და გაემართა მოლაპარაკება ამ ფარდის შეტენის შესახებ. წარწერის სურათი მიხ. წერეთელს ეაჩვენეთ და კიდევ ერთად წაუკითხეთ. ბოლოს გადავწყვიტეთ სურათი და ცალკე გადავადებული წარწერა შესამოწმებლად სასწრაფოდ ექვთიმე თაყაიშვილისთვის პარიზში გადაგვეგზავნა. ასეც მოვიქცით.

სამწუხაროდ, ბ. ექვთიმეს პასუხმა დაიგვიანა და ჩვენც შეეშინდით — ნივთი არ დაგვეკარგოდა და დრ. ხოპპის დახმარებით პატრონთან მოლაპარაკება გაემართეთ... ქალმა ვიღაც ექსპერტები მოიყვანა და მათი დასკვნის მიხედვით „ფარდას“, მეტად დიდი ფასი დაადო. ამჟამად იყო, განსვენებულის მეუღლე, თუ დიასახლისი. ცდილობდა ეს იშვიათი შემთხვევა კარგად გა-

მოყენებინა. ეს ამბავი ხელახლა ვაცნობეთ ბ. ექვთიმეს; იმ ხანებში მისი პასუხიც მოვიდა. დაგვიანების მიზეზი თურმე ის იყო, ბ. ექვთიმე პარიზში არ იმყოფებოდა და ახლახან დაბრუნებულიყო.

ბ. ექვთიმეს წერილი უკვე აშკარად გვეუბნებოდა, რომ საქმე შეეხებოდა უნიკუსს. იგი გვწერდა, რომ ფარდაზე შესრულებული ამგვარი რამ მას საქართველოში არ შეხვედროდა და რომ მისი ხელიდან გაშვება დანაშაულად ჩაითვლებოდა.

ღრ. ხოპჰმა მოლაპარაკება გააცხოველა და დიდის მოხერხებითაც ჩაატარა; რის შედეგადაც, შედარებით პირველთან, დაკლებულ ფასში, ფარდა ვითომ იავეისათვის შეიძინა და შემდეგ ჩვენ გადმოგვცა. ჩვენი და ყველა ჩვენი მეგობრის სიხარულს სახლვარი არა ჰქონდა...

მას შემდეგ ჩვენ ეს ფარდა, როგორც ვთქვით, განუშორებლად თან დაგვქონდა და ბოლოს ის საგანგებო წარჩოში ჩაგასმევიწიეთ, რათა მისი დაცვა შესახება უფრო მტკიცე ყოფილიყო და ბოლოს თავისი მოგზაურობაც არგენტინამდე კარგად გადაეტანა.

იმედი გვაქვს ერთხელაც ასევე კარგად გადაიტანს უკან მოგზაურობას და ამ შემთხვევაში პირდაპირ თბილისის მიმართულებით, საიდანაც ის, როგორც შევხვდებით. თბილისის ერთ-ერთი ბანკის დირექტორს, არა ქართველს, წამოვლო...

ვინ იცის, იქნებ სხვა განაძეულობაც, რაც იმ ქალს დარჩა, თბილისიდანვე იყო წამოღებული და ჩვენი ქვეყნის წარსულისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანიც იყო... ვინ არის გამეითხავი?

რავგვარად და სად მიგეპკვლია ამ ნაპარცვისათვის? თუმა ბევრი ვეცადეთ, საქართველოს ყოფ ელნი. ბ. ვ. ახმეტელი და სხვა გავლენიანი პირებიც დაეხმარეთ, მაგრამ ეერას გავხდიო, გაყიდულიდან ვერაფერი აღმოვაჩინეთ... დღეს ხომ ამის კვალიც წაშლილია და დაკარგული; მაგრამ ჩვენ იმითაც ბედნიერნი ვართ, რომ ეს განძი ათას ქარცეცხლს გადაეარჩინეთ და სამშობლოს შემოუნახეთ“.

პაპაეების ნარკვევს ერთვის ექვთიმე თავიშვილის 1937 წლის წერილი აკაკი პაპაეასადმი, რომელიც ამ ძველის თავისებურ გამოკვლევასაც წარმოადგენს:

.. ძ ვ ი რ ფ ა ს ს ო ა კ ა კ ი !

1937.9.6.

სოშის კოლონიამ მიმიწვია 26 მაისის დღესასწაულზე; რომელიც მათ 29 მაისს გადაიხადეს, უარი ვერ ვუთხარი და შევსძელი გამგზავრება, ხარჯი მათ გაიღეს. ათი დღე დაერჩი იქ; არ გამომიშვეს, ხან ლექცია, ხან საუბარი გაუშართე, მათის თხოვნით. დიდი პატივი მცეს; კარგი დარი დამესწრო და მგზავრობაც კარგად გადაიტანე. რომ დაუბრუნდი თქვენი წერილი დამხვდა და მაშინვე შევეუდექი თქვენ მიერ გამოგზავნილ სურათების და წარწერების გარჩევას. ეს ჩემთვის სასიამოვნო იყო, აი, მოკლედ ჩემი აზრი: თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიად და ყრიად სა-

კურადლებოა და მისი ხელიდან გასობა შეუძლებელია. სურათი, რომელიც მასზე ნაქარგით გამოყვანილია, წარმოადგენს ეკრედ წოდებულს იესეს სერგს (იესეეო დერეეო); რომლიდანაც მომდინარეობენ ძველი ალექსის მეფენი და წინასწარმეტყველნი და მათ შორის ღვთის მშობელიც. ჩვენი ბაგრატიონის ლეგენდა ხომ იესეს და დავით მეფეს უკავშირებს მათ შთამომავლობას, ამიტომ მათი ტიტული ასე იწყება: „იესენიან-ღვთითიან ბაგრატიონიან“ და სხვა. ეს სურათი ცალკეა და ფრესკებზე „ზოგჯერ გეხედება, მაგალითად საფარის მონასტერში (იხ. ჩემი „არხ. პუტ.“... 1, გვ. 29—30). მაგრამ ნაქარგად მატერიაზე მე არსად არ შემხვედრია, თუმცა ბევრი ნაქარგები მინახავს და მათი სურათებიც ბევრი მაქვს, თქვენი გადასაფარებელი ამ მხრით პირველი მაგალითია. ამიტომაც ჩვენთვის ძვირფასია თვით ქარგვის ხელობას ქალბატონი თამარი ჩემზე უკეთ დააფასებს, ყოველ შემთხვევაში ეს ერთი საუკეთესო იქნება მე-18 საუკუნისათვის. წარწერა ასე იკითხება:

„...შენ ძირით იესესით აღყვებულსა მაგას ქალწულსა ღვთისა მხსნელისასა ცულისს სიონთა ღის მშობელსა გიძლენი მეცა ქერიოეთა მწულილსა დედა. ქსნის ერისთავის ღვთისთა ქეთევან (სიკ) ფარდასა ამას საოხად სულისა მისისა და ძეთა მისთა აღსაზრდელად აგვისტოს იღ წელსა 1773“.

წარწერაში მოხსენებული ქეთევან (რესპ. ქეთევან) არის პირველი ცოლი ქსნის ერისთავის იესე ყულარ აღაისისა (1745) და ღვთა ქსნის ერისთავის დაკით შესამისა (1753—1756), ქართ. ცხ., გვ. 451, 471. ქეთევანი დატყვევებული იყო ერთხელ 1739 წელს (ქართლ. ცხ., 2, გვ. 92). როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა 1773 წელს. ფარდა მისი მოქარგულია და შეწირული სიონის ტაძრისათვის ტფილისში, ზემო და ქვემო წარწერა ერთი შინაარსის არის, მაგრამ ქვემო წარწერა ამოქარგულია სხვა პირის მიერ. ზემო წარწერა ქეთევანისა უფრო მარტივი და ლამაზია.

წარწერის სურათები საქმიად კარგად არის გადმოღებული, ხოლო გთხოვთ მთელი ფარდის სურათი უფრო დიდი კლიშეთი გადმოიღოთ და მომარტოთ. მე გავგზავნე „გეორგიკაში“ დასაბეჭდად რამოდენიმე მოქარგული გადასაფარებლების სურათები და, თუ თქვენი ნებაც იქნება, ამასაც აქ მოვათავსებ.

რაც შეეხება რუსთაველის ხურციძე-ჩორჩიანელობას — ეს საკითხი რთულია. თქვენ მიერ დასახელებული ავტორი ცდილა ყველა თქმულება, მასალები და მოსაზრებანი დაეახლოვებოთ ერთმანეთისათვის და აეგო მთელი ბიოგრაფია სახელოვანი პოეტისა, მაგრამ ყველა ეს მოსაზრებათ რჩება და რეალური ნიადაგი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში მე მინდა გავცნო მის წარწერს და ამიტომ გთხოვთ დამისახელოთ ნომერი გაზეთისა თუ გამოცემისა, რომელშიაც თქვენ ეს ამოიკითხეთ.

სალამი ყველა ჩვენებს და განსაკუთრებით ქალბატონ თამარს

თქვენი ექ. თაყაიშვილი“.

... აქვე მკითხველს უნდა მოეახსენოთ, რომ პაპავევის ოჯახმა აისრულა ოცნება — ამ უკანასკნელ ხანს რ. თაბუკაშვილის ხელით ეს ისტორიული რელიკვია მათ გადმოსცეს საქართველოს და დღეს ხელოვნების მუზეუმში აქვს ბინა დადებული. ასე დაუბრუნდა ეს მრავალტანჯული ისტორიული განძი ჩვენს სამშობლოს...
1

აკაკი პაპავა მოულოდნელად გარდაიცვალა 1964 წლის 27 ივნისს, არგენტინაში. ლომას დე ზამორას ავტობუსში... ანდერძის თანახმად, გადმოასვენეს საურანგეთში და დაკრძალეს პარიზთან ახლოს, ლევილში, ქართველთა სავანეში.

ამის შემდეგ ათ წელზე მეტ ხანს იცოცხლა ქ-ნმა თამარ პაპავამ. და აი, 1976 წლის 21 მარტს, შორეულ არგენტინაში მიიყვალა ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის დაუღალავე მუშაკი და ნიჭიერი მწერალი ქალი. ისიც ლევილში, მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

დაბადების დღეზე თამარ პაპავასადმი მიძღვნილ ლექსში „რა მიყვარს შენში?“ (იხ. „კავკასიონი“, XIX, პარიზი, 1978; შდრ „ლიტ. საქართველო“, 20.1.89) აკაკი პაპავა ამბობს:

„რა მიყვარს შენში? — მარადი
გზნება,
რომ ამდენ წლებში იგი არ ღნება.
გღვეს სიყვრძის აღქმით. კვლავ
გაგვიყვება,
მამულის ცეცხლით აგიზგიზება,
რომ გწყურს ღრმად ჩასწვდე ქალის
რაობას,
მის რაინდობას... გამკითხაობას.
— რაგინდ, სად იყო უცხო ერებში,
სხვათა ფერებში, სხვათა უღერებში.
შენ ეძებ ქართულს და მხოლოდ
ქართულს.
აცვამ მძივებად ჩვენს მდიდარ
წარსულს
— რომ ლტოლვილთ. დევნილთ გვერდში უღვახარ.
მათი გამსობობი ქართული შხე ხარ.
მიგაქვს იმართან შევლა ათასი,
გაქვს სიყვარულის უმრობი თასი.
...და თუმცე შორია თქვენში მანძილი,
გბურავდა ძველთა დედათ მანდილი.
დაგქონდა ყველგან ეარდ-მაისობა.
ქართველი ქალის დარბაისლობა,
შრომით და გარჯით არ იღლებოდი,
და მოხოვდი — ყველგან თანა
გზლებოდი...
კვლავ მწვავს მაგ ვრძისობით
წარმოდინება.
ბრძოლად ანთება და... მოთმინება.
რამდენი რამე გაღაგვეკლთა,
გავლაოთ ლაშქ... აღარ გვეყოფა?
მაინც წინ მოვალთ ძველ
სიყვარულით,

არც ეს ვიღლებით ძნელ
სიარულით.

ინ სთქვა: „თავდება შემოდგომაო,
აწ უქმად ჰქრება თქვენი შრომაო?...
ვიღრე შენს თვალში ეგ შუქი ელაკს!
— „საფხულის“ კვალში ჯაჯილი
ღელავს.

მაშ იდექ სვეტად
ღუთის გულისათვის,
ბედს ვლიოთ ერთად
მამული სათვის!
24-3-1963 წ.“

გურამ შარაძე



ნოე ჟორდანი

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი

„ართველ ემიგრანტების საფლავები“ იუნტელია. მაგრამ აისი სულიერი აკლდათა მაინც ერთია... ის აკავშირებს ამ გაბნეულთ, ფარავს ერთი ქართული გუძბათით... მან ყველას ცხედარი ერთეულად შეაკავშირა...

ყველანი ესენი ხომ ერთი ფიქრით მოვიდნენ ამ ოთხი-ხუთი ათეული წლის წინ; ერთად ელოდნენ აქ მოსმენას, განკითხვას და შეედიას; შეედიას, რომელიც არსაიდან გამოიხნდა. და საქართველოს ხილვის ეს იმედები ამ უცხო მიწაში მათთან ერთად ჩაესვენა, ზოგთა — აღრე; ზოგთა კი — უფრო გვიან! მაგრამ მაინც ერთ საფლავში, რომელს ნაშდვილად „ძმათა საფლავი“ უნდა ეწოდოს. ეს „ძმათა და დათა საფლავი“ ერთი დროშით არის დაფარული; ამ დროშამ ბევრი ცრეპლი აღვრევიანა მათ, ბევრი — სიხარულისა და ბევრიც — ძწეხარებისა.

†

მახსოვს, ბერლინში ავადყოფი მთვინახულე: შორსენის იმედი არც მას პქონდა; არც ჩვენ... გამოთხოვებისას მისუსტებული ხმით მითხრა:

თქვენი ჭირიმეთ, არ დაგავიწყდეთ! სუდარად ჩვენი დრო-თა შექმნახვიონ და ისე ჩამიშვან... მართალია, პატარა კაცი ვიყავი, მაგრამ მეც ამ დროშისათვის ვიყავი წამოსული! გხოვთ: მეც ის წაშატანოთ.

აი, ეს დროშა იყო და არის ჩვენ რომ გვაერთებს... ამ სამშობლოს სიყვარულმა წამოგვიყვანა და მისი დროშის საძსახურმა შეიწირა ჩვენი ქვეყნის მამაკაცი და დედაკაცი...

და აი, მისთვის სამსახურმა ამ მძიმე დროში ვინ საით გარდახვეწა და ვინ — საით...

„აიბა იხენი პატარა „კერა“; ოშა და გაჭირუებაშ დაარღ-
კია უცხო კარსე შეკოჩიქებული იხენი ოჯახებიც...

შაგრან ამ შრავედი ასეულ და ათასეულ კილომეტრებით
დასორიებულით, ის ქართული დროშა, 26 მაისს თბილისში რომ
ვიხილეთ, მაინც გვაერთებს, ქართული სიყვარულით გვათ-
ბობს „ერთ ბედს ქვეშ“ მყოფთ. ერთად გვახარება და გვაცრეყ-
ლებს. იგივე აერთებს ივენ გაბნეულ საფლავებსაც: ეს ერთი
დროშა ყველგან წვდება და შათ ქართული კურთხევით ჰფა-
რავს...

ამ გაბნეულ საფლავებს... „დიდსა და პატარებს“, ერთი
კარი აქვთ, „ერთი შესავალი“ და „ნახვის შესურველთ“ მხოლოდ
ას კარით შეუძლიათ შიგ შესვლა; ამ დიდ აკლდამას მხოლოდ
ეს „კარი“ ხსნის და ვინც აქედან შევა, მხოლოდ ის იპოვებს
ამ საფლავების ნაბძვილ ბილიკებს და მის „წარჩერებას“ შეუც-
თობლად ამოიკითხავს; არ სჭირდება „მძღოლი“, არც სხვა ახს-
ნა... არც ეს „წარჩერები“ სჭირდება მას. წარჩერები, რომლე-
ბიც ან სულ სკრთალია, ან სულაც არ არსებობს... შაგრამ ვინც
იმ სწორი კარიდან შევა (და არა უკუდმართად; სხვა გზით შე-
იპარება), ის წაუჭერელ გაბნეულ საფლავებსაც ამოხსნის და
დააბრუნებს...

რა კარია ეს? რა „გაბაღები“ გარდასულთა საიდუმლოების
ამოხსნელი და შთარგმნელი?

ეს არის საფლავი ივენ 26 მაისის საქართველოს პრეზი-
დენტისა, წარუშლელი სიმბოლო ივენ დროის ქართული ერთგ-
რაციისა...

მხოლოდ ამ საფლავის „მოხილვის“ შემდეგ, შიში ბედი-
და უბედობის გაცნობით მოიხილავს და გარცნობთ ყველა ის
გაბნეულ საფლავს, დღეს რომ საქართველოს დროშა გადაჰ-
ფარებია და იზაზავს.

შისტკრიულ მდემარებაში, რომელიც ჰფლობს ივენ პრე-
ზიდენტის საფლავს, ის ივენ ქვეყნის და ხალხის საში წლი-
თაჟინსუფლების ყველა ამბავს სოგვიითობა. გაგვიცოცხლებს

და თან სთელი ივენი ნახევარი საუკუნის შატიანეს გვიისსი = თუ ამ ხელად „როგორ აძაღდა საქართველო, როგორ და-
ეცა“

დღემდე შატეს ნაბდვილი წყურვილი (თუ გნებავთ ამას თი-
შავალის „სიარების“ წყურვილი უწოდეთ.) ვუთხრა იემ სვი-
ლებს, ყველა ივენ შოხარდა, რომ ამ გაბსუელ საულავთა „გა-
სალებს“ შე კარგად ვიცნობდი; რომ ის შინახავს და შასთან
შისაუბრია. — შაშინ, ოდეს იგი საქართველოსთან ერთად „აშა-
ღღდა“ და შაშინაც, ოდეს შასთანვე „დაეცა“.

შინდა ყველას ვუთხრა, რომ შისი საულავი, ლევილში რომ
ძღუშარებს, ნაბდვილად ბევრის. შალიან ბევრის შეტყველია
და ეს შეტყველება არის: — „სიტყვა თქმული ივენი გაბსუელი
საულავების შიერ“. ეს ხომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრშე-
ლებაა, ნახევარი საუკუნის შატიანე...

და ოდეს სწორი კარიდან შეხვალთ და ივენი თაობის „იშა
ევეანას“ ხელს შეახებთ; ბევრ საგულისხმოს „ახსნით“; და
უფრო გულდასმით „შოუსაშეთ“ არა შარტო ნოე შორდანიას,
არაშედ ყველას, სხვებს, — „დიდებსა და პატარებსაც“ — რო-
შელთაც ა. იქიეს დროშა 26 შაისისა და შის სადღეგრძელოდ
აქ იაესვესენ...

შეხვალთ და ასე გულდასმით შოუსაშეთ ივენ დაუკიწარ,
გაუტეხელ და შეუდრეკელ შოე რაშიშვილს, ოცდაექვსი შაი-
სის პირველ ერთვშულ შთავროსან რომ დიდი სიიძიუით სათა-
ვეში იაუდგა...

კარდაო ხხეიძეს, პირველი თავისუფალი პარლამენტი რომ
გვიკუთხია...

შარად შხნედ და დარბაისლურად საქართველოს უფლება-
თა დამცველ ევგენი გეგეჭკორს...

ეგსომ ფაქიშსა და დაულაღავ შაროშელს, პატარევიით
დამწვარს: კონსტანტინე კანდელაკს...

საქართველოს პირველ ელიებს, ივენთ ერთვშული დროსის
ბოლომდე დირსებით სატარებელთ: შიხეიდ წგარეშელს, ლაღო
ახსეტელს. აკაკი იიქნეულს და სიძომ ბდივანს...

2. გაბნეული საულავები

საქართველოსათვის ვეფხივით მებრძოლს, ჩვენ დიდ მჭკრმეტყველ ირაკლი წერეთელს!..

ჩვენ ორ დაუფიწყარ და ერთგულ მოდარაჯეთ 26 მაისისა.

26 მაისის მადლით გაშექებულ ქართველ მხედრობას, ქაქუცა ჩოლოყაშვილს!..

ჩვენი „აღდგომის მოციქულს“ და ოქროპირს სპირიდონ კელიას!..

თავდადებულ და შეუპოვებელ მებრძოლს ვალოდია გოგუაძეს!..

საყვარელ და ტკბილ, „ლევლის მამასახლისს“, სვიმონ წერეთელს!..

ორ თეთრი გიორგის: გიორგი გვაზავას და გიორგი ყურულს!

დინჯსა და მშვიდ, აუღელვებელ, ცნობილ მოღვაწესა და მწერალს ანდრო დეკანოზიშვილს!..

და სხვათა მრავალთ და მრავალთ, ჩვენ პრეზიდენტს და ქართულ დროშას რომ ეახლნენ და უცხო მიწაში „დიდების“ და ქართული „ვაშას“ შეძახილით ჩაბრძანდნენ!..

გვრწამს, რომ შემდეგ ბევრი მოინახულებს ამ თაობის გაბნეულ საფლავეებს, მისი „შესავალი კარის“ წინ მუხლს მოიდრეკს და იმ „მეტყველ მღუმარების“ წუთში მოიგონებს საქართველოს აღდგენის ნათელ დღეებს, მისი უკვდავი სამი წლის აღმავლობას და საუკუნეებრივ გაელვებას, მის ბრწყინვალეობას!..

და თავდადებულთა საფლავეების მნახველს სულ მცირედ და უმნიშვნელოდ მოეჩვენება ემიგრაციის დავა, ურთიერთზე „თავდასხმა და ძაგება“ და ყველაფერი, რამაც ერთ ხანად „ცუდი გემო“ დასტოვა... ყველა ამ ბრძოლას და უთანხმოებას სარჩულად ხომ მარად საქართველოს სიყვარული ედო...

†

ისტორიის ქარიშხალმა „უსწორმასწორობანი“ გადაქელა და ყველა მათი საფლავი „ერთ აკლდამაში“ მოაქცია და ერთი შესავალი, ერთი კარი მიუჩინა, რომელს სიმბოლურად განთავისუფლებული, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი წააწერა!..

ამ რიგად, ნოე ჟორდანია გახდა სიძობილო მთლიანი ერიოა და არა პარტიის კაცი. გუშაგი და მედრონე ოცდაექვსი მაინის საქართველოსი. და არა რომელიმე ფრაქციის, თუ ჯგუფის, ან მისი „მწერალი, თუ რედაქტორი“...

და ამასთან ჩვენი ისტორიის ღირსება შოითხოვს, თუ კიდევ სადმე მის სახელთან დასთენილია ხსენება უცხოდან შემოტანილ, უმსგავსო ტიტულის — „მენშევიკი“, — ეს დიდ და უცნაურ ანაქრონიზმად ჩაითვალოს...

ჩვენი შემადიანე, ერთობილი საქართველოს პრესიდენტი-სათვის ამ ყოვლად შეუწყნარებელ „სახელს“ უეჭველად ამოაგდებს...

და ეს იქნება ჩვენი „ქრონიკების ტექსტის გაქმნდა“.

†

ყველა ამის შემდეგ მინდა ვუძილო მოზარდებს, რომ ამ „ნოეს“ ვიცნობდი და ხშირად ვხედავდი ახლოს: და რამოდენიმე სურათი მისი გრძელი, მდიდარი გზიდან დღესაც ნათლად ჩამჩენია გულში...

შახსოვს ის თბილისში: დარბაისლაური, აუჩქარებელი, მუდამ სხარტულად მოჭრილი პასუხით. ნაძალადევისი. „პირველი რაიონის“ კრებებზე. მაშინ ყველანი მუშების და სოციალური საკითხებით გატაცებულნი, თავს ვდებდით „საერთაშორისო საქართველოსისათვის“... შახსოვს ბატონი ნოეს შეტყველი თვალები და მისი მჭრელი ღოგოკა, რითაც იგი მუდამ ამარცხებდა მოწინააღმდეგეთ.

ვიგონებ შემდეგ ჩემ „კურიერობას“ მასთან, როდესაც იგი ფინლანდიაში, „პუსტომიაკის“ ერთ პანსიონში, გახიზნული ცხოვრობდა და იქ მუშაობდა. მე კი მეორე სოფელში, რომელიც 25 ვერსით იყო მისგან დაშორებული. მაშინ მე ჩემი თბილისელი მასწავლებლის მეგობრის ოჯახში ვცხოვრობდი და იქ მომდიოდა წერილები ბ-ნი ნოესათვის: ზოგი საქართველოდან და ზოგი საზღვარგარეთიდან. დავალების თანახმად ფოსტა მე კვირაში ერთხელ პირდაპირ მისთვის უნდა მიმეტანა.

იქ ბ-ნი ნოე მუდამ ღიმილით და ხელგაშლილი მელოდა; ბევრს მესაუბრებოდა, ჩემ ჯანმრთელობას მოიკითხავდა, მერმე ჩემიანებისას, მერმე ერთად ვისაუზმებდით და გასაგზავნ ფოსტას ჩაძაბარებდა: ფრთხილად იყავით!

მაშინ მე სულ ახალგაზრდა ვიყავი და ბევრი არა გამეგებოდა რა, მაგრამ ვიყავი ბედნიერი და ამაყი, რომ რაღაცას ვაკეთებდი იმ დიდი საქმისათვის, რომელს რუსეთის იმპერიის ტახტი უნდა დაეშხო და ყველასათვის თავისუფლება და სამართლიანობა მოეტანა. უნდა გამოვტყდე: მთავარი, რაც უნდა მოჰყოლოდა დიდი რუსეთის იმპერიის დამხობას, მე მაშინ კარგად ვერც კი წარმოშედგინა. და საქართველოს ეროვნული თავისუფლება. ჩვენი ოჯახის სანუკვარი იდეალი რომ გამხდარიყო, მე ცალკე არც მესმოდა, თუ არა შედეგად საერთო. საკაცობრიო განთავისუფლებისა!

†

განვლო ხანმა. ჩემი თვალები უფრო ფხიხლობდა — საქართველოს და მისი მდიდარი წარსულის სიყვარულით ვივსებოდი და მწაღდა ეხლა კერძოდ მისთვის, სამშობლოსათვის რაიმე გამეკეთებინა... და ერთბაშად საამისო ნეტარი ჟამიც დადგა: ის ოცნება, ის მიუწვდომელი მიზანი, საითკენაც ნოე უორდანია და სხვებიც მასთან ერთად რომ გვიხმობდნენ. თითქოს სინამდვილე ხდებოდა: რევოლუციამ ყველა საზღვარი დალეწა და ამით ყველა იმედის აღდგომა შესაძლო გახდა.

ამაზე წინად ბევრი წამეკითხა „ნარი“-ს. „ნ. უ.“-ს „ნარი-ის“ და სხვათა ნაწერები. და ვიცოდი, რომ მათი ავტორი იგივე ნოე უორდანია იყო.

მაგრამ ეხლა ამ წერილების „დოგოვა“ და „გაქანება“ არც მე და არც სხვებს აღარ გვაკმაყოფილებდა...

ამ დიდი ძვრების დროს უფრო დიდი და თამამი სიტყვარყო საჭირო, სიტყვა ქართველი ბელადისა, თქმული საქართველოზე.

ჩვენ ყველანი ვდელავდით, ებორგავდით. ხოლო „მაძები“ კი გვაშოშმინებდნენ: „დაიცადეთ!... იქნება!... ესეც იქნება!...

დიდი სიფრთხილვა საჭირო... ხომ ხედავთ: რამდენი მტერია შინ და გარეთ... იფიქრეთ რუსის ჯარზე, ჩვენში რომ დგას და წალეკას გვიქადის...”

და ქართველობაც მიენდო ნოე ჟორდანიას ფრთხილსა და მოქნილ პოლიტიკას...

პარტიები, წოდებანი, ქალი და კაცი გაერთიანდნენ და ელოდნენ ერთ დიად დღეს... ელოდნენ სახელოვანი ქართული კლესიის მიერ გაკაფულ გზას გაპყლოდნენ...

ბოლოს, დაჰკრა სანეტარო 'ხარშა და ასე გაგვიტენდა 26 მაისი.

ასე გადაიდგა ეს ისტორიული ნაბიჯი!

და, აი მახსოვს: სასახლეში ნოე ჟორდანიას სახე: ნათელი, ამაყი და მტკიცე, ოდეს იგი საქართველოს კვლავ აღდგომას აცხადებდა...

მახსოვს აგრეთვე შავ-ბნელი, საბედისწერო თებერვალიც. ამ ჩვენ მაისს რომ მალე მოჰყვა: შოჭყალების დათა წრეში წინა ხაზზე ვდგევარ და საღამოს ჩამოგვიარა ეტლით ბ-ნმა პრე-ზიდენტმა... მისი სახე ასევე იშედით ანათებდა უკვე ჩამავალი მზის სხივებში... მხნედ მოგვესალმა: „გაუმარჯოს!“ ჩვენ შევ-ძახეთ. „თქვენ მარჯვენას გაუმარჯოს!“, მოგვაგება და მის-ეს-ტებულთ სული ჩაუდგა...

ბოლოს დიდმა რუსეთმა მაინც სძლია პატარა და აღაღ-მართალ საქართველოს...

ამის შემდეგ ბ-ნ ნოეს რამოდენჯერმე შევხვდი ემიგრაცია-ში და აქაც ჩემ წინ მეუბნებოდა მისი იმედიანი თვალები. ობიექტურად მე ვერ ვხსნიდი, ვერც ვერკვეოდი, მაგრამ ვგრ-ძნობდი და განვიცდიდი მის შინაგან სიმტკიცეს, მის ძველ ქართულ გამძლეობას.

თითქოს ბ-ნი ნოე მრავალი წელიწადის იქით ხედავდა იმას, რაც აუცილებლად უნდა მოსულიყო! სიცხადით ხედავდა სა-ქართველოს აღდგომას, მის ახალ დაბადებას! და ისე ძველე-ბურად, სრულიად გამართული, თავაწეული მიაბიჯებდა გაუბ-ზარავი რწმენით — რომ საქართველო აღდგებოდა!

შემდეგ დაკრიალდა ახალი უბედურება და უკანასკნელმა ომმა ოდნავ გამოცოცხლებული იძულებიც დაამსხვრია... ყველა დიდ სასოწარკვეთილებას სიეცა, თითქო სამუდამოდ ყველაფერი ძოისპო და ჩაესვენა...

და ამ მძიმე დროშიც სიე ყორდანია ისევ მტკიცედ იდგა და საქართველოს მოძავალი არც ეხლა აეჭვებდა...

„თავი უნდა გადავირიოხნოთ, შევინახოთ“, — გვეცეოდა იგი, იყენი დრო ისევ დადგება! უიხედო ფიქრი და ტყუენვა ჩვესი გზა არ არის!”

შისი ჩერილები ძველებურად განუხრელი და სავარსეულს ხაბოლოო გამარჯვების რწმენით იყო საკარბაიევი.

7

1919 წ.. არგენტინაში ჩასვლის წინ, ვინაიუღეთ ბ-ნი სიე სოფელ ლევილში...

ძველეთურად ღიძილით შეგვხვდა იგი და მასთან შისი ერთგული და სავარსელი შეუღლე და თანამგზავრი ქბ-ნი ინა. ბ. სიეშ თავისთან მიგვიწვია: დავსხედით. ურთი-ერთი ტკბილად მოვიკითხეთ... შემდეგ იგი მიბოდიშებით გაეიდა და ცოცა ხანში მოგვიტანა სიეული კალათა ყურძენი, სავი „ადესის ყურძენი“.

„იგემეთ ჩასვლისას! გაგახსენდებათ საქართველო! იყენებური ადესა“

მაროლაც, ამ „ადესის“ გემო აქამდე მომყვება და მასთან იძელიც (არა ოცნების!), იყენი ქვეყნის უეჭველ გამარჯვებასე, რის შესახებ რწმენით გვიამბობდა სკამზე გამარსულად მჯდომი მოხუცი.

„ამ გირსაც მოერევა იყენი ხალხი და იყენ აქ ამის იძელით უნდა ერთობა შევინახოთ და მოთძინება, თძენა, მამა-პაპათაგან ნანდერსევი მოთძინება ვისწავლით“—ო.

„მან თქვენ სეოვებთ ევროპას და ასე შორს გინდათ გადაობარგოთ?“ — გვეკითხება ბ-ნი სიე და თავის წყენას ველარ მალავს.

რა უნდა გვეთქვა? ეხლა იქით თვიითონ გაეამსხეკეთ: — კიდევ იეჭვდებით ერთმანეთს სავარსეულოში...

გაიღიმა ბ-ნმა ნოემ:

— ჩვენ ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს. მაგრამ ყველაში კი საქართველოსთან გადაბმული დავრჩებით... ასე ყოფილა ჩვენი ადამი, რჯული, ძველთა-ძველი და ჩვენ მას ვერ შევცვლით”...

— არც გვირდა. ბატონო ნოე, რომ შეიცვალოს — მოუვკეთ ჩვენ — და მოხუცს აამო ამ პასუხითა.

იგი მოყვა თავის დაკვირვებათა გაღმრღა და თითქმის იგივე გეიძილა, რასაც ეხლა. თიუთიუკი ქლის აყვადე ვკითხულობთ მის ანდერძში (იხილეთ ვალიკო იუბინიძის გასაცემა: „რჩეული ნაწერები ემიგრაციიანი“).

ეს ანდერძი მას თავის „ავტობიოგრაფიანი“ სიმაგალ თაობადასაყვის დაუტოვებია... „საგულიანბოდ და სახელმძღვანელოდ“; და იქ, სხვათა შორის, „ქართულისა მათყავეისა ბუნებაზე ასე სწერია:

მე ჩვენ წინაპართა მემკვიდრეობის ტყვე ვარ. (ესაა) მათი თვისებები, წესი, ხასიათი, ინდივიდუალობა. ამ საერთო კალაპოტიდან ვერ ამოვარდები და სხვა ადამიანთა კალაპოტი ვერ მოვექცევი... ჩვენ ყველაში დაბმული ვართ ამ საბუღით: ერთობ გრძელით, რაც ჩვენ გვანებება მიხვევ-მოივებას. სორიულ გზებზე გადასვლას, მაგრამ არა ისე შორს, რომ საბელი მოსწყდეს და სადმე უცნობ და უცხო ნიადაგზე გადავარდეთ. ის ტრიალებს თავისი ცენტრის გარშემო და მას ვერ მოსწყდება. შეიძლება მოსწყდეს თავისი წინაპართა კულტურას. უწყველდება. ენას, მაგრამ ვერ მოსწყდება თავის ბიოლოგიას. თავის სისხლ-ხორცს, ბუნებას. აი, ძირითადი საფუძველი, რის მოშლა ადამიანთა ხელთ არ არის”... (იხილეთ გვ. 12).

მისი სიტყვები ჩვენთან გამართიოვებისაა იოა ამოვე ამბობდა... და ის ძველებური კალათის „ადესაც“ ამ სამა-პაპათა გემოს აცოცხლებდა. — გეოსა, — რისი სიწადა „ადამიანის ხელთ“ არ იყო...

ასე სწერდა და ამბობდა ბ-ნი ნოე ბილოძე: და განსდგარით, ჩვენ მამაგებულთ და ურჩაუნთი თუღან გვერდს უივცდა...

„ეურადლება არ შიამციოთ“ — გვქერდა ბ-ნი ნოე. ერთი სორიგი ემიგრანტული აღიჯოთის ვამო — „განსდგრეთ შიამცილად თქვენი საქმე, ყველაფერი ეს წარმატალია: ევთილი კარობა“.

ასეთი იყო ჩვენი მოხუცი, საქართველოს პრეზიდენტი! ეხლა იგი აღარაა ჩვენ შორის. განისვენებს. მაგრამ თავისი მეტყველი თვალებით ჩვენ თაობას უცქერის მოთმინება! მუშაობა! ერთობა! — ეხლაც გვეუბნება იგი და ისევ გვამხნევებს.

მისი ძეგლი მისი ოცდაექვსი მაისია!

ბ-ნ ნოეს ბევრი უწერია; უფრო მეტი უთქვამს და უმოქმედებია.

მაგრამ ყველაზე შუქმფენი და უკვდავია მისი ცხოველმყოფელი სიტყვა, ოცდაექვს მაისის წარმოთქმული:

დღეიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა!

აქ მას გვერდში ამოუდგა მთელი ქართველობა! აქ შეპოვცა ქართველმა კაცმა და ქალმა. ერმა და ბერმა. დიდმა და პატარამ. მოწინააღმდეგემ და მომხრემ, შინაურმა და ძველთაგან მის წინააღმდეგ მებრძოლმა...

განა ეს ჩვენი ღირსების ყველაზე მეტყველი „სიგელი“ არ არის, რომ კოტე აფხაზი ქართველ თავადაზნაურთა მთელ ქონებას, მთელ მის ნივთიერ და კულტურულ განძეულობას მკედრეთით აღმდგარ სამშობლოს და მის მთავრობას გადასცემს და ოცდაექვსი მაისის საძირკვლად დასდებს?!

და განა მათ მარტო ქონება გადასცეს ნოე ჟორდანიას მთავრობას?!

მათ ერის სამსხვერპლზე თავისი თავი დასდეს...

და ეს „თავები“ ისე წარკვეთა მტერმა, რომ კოტე აფხაზს და მის ღირსეულ თანამებრძოლთ ერთი სინანულის ცრემლიც არ გადმოვარდნიათ... არც ერთი ოხვრა!


ძველი ღირსებით ჩაეშვნენ საქართველოსათვის მებრძოლნი „ძმათა სასაფლაოში“...

და აღმართული დროშა მიელმა ერმა სისხლით დაიცვა. ცეცხლიდან გამოიტანა და მისთვის თაფი გასწირა. პევრმა, ძალიან ბევრმა იქ და ბევრმა — აქ...

სახელი მათი ღეგიონია... საფლავები მათი გაბნეულია და ვინც მათ „მოსახილველად“ მივა, პირველად ეს კარი სასოებით უნდა შეაღოს, კ ა რ ი , რომელს აწერია:

ნოე ჟორდანია

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი.



ნოე ჟორდანიას ძეგლი ლევილის სასულაოზე

(ვლადიმერ ახმეტელის გარდაცვალებიდან ოცი წლისთავზე)

დიდი ყოყმანის შემდეგ ამ ჟამად ჩემი ძველი „მემუარების“ გადათეთრებას შევუდექი: ვყოყმანობდი იმიტომ, რომ ეჭვი მღრღნიდა: ვის რად სჭირია, ან დასჭირდება ეს ჩემი მოგონებები? შევძლებ ამდენი რვეულების გადათეთრებას და მოვესწრები კი ოდესმე მის დაბეჭდვას?

მაგრამ ზოგიერთმა „გარემოებამ“ ეს ეჭვი გადამალახვინა და ჩემ ფერგადასულ რვეულებს, ამდენი წლები რომ საყვედურით მიცქერდა, გულით მივუჯექი.

ერთი ასეთი „გარემოება“ ის გახლდათ, რომ ამ ძველი ფურცლებიდან მიცქერის ნაოჭებ აურილ შუბლთა ქვეშ მრავალი თვალი, ჩვენი გარდასული მამულიშვილებისა, — მათი, ვინც ანთებული გულით, რწმენით და იმედებით წამოვიდნენ საქართველოდან, — მისთვის სამსახურის გასაწევად, მეურვედ და ჭირისუფლად. ზოგი ამათგანი, ცნობილი მოღვაწე, გამოჩენილი პოლიტიკოსი იყო; პოლიტიკოსები დიდი ფორმატისა, რომელთა სახელი, თავის დროზე, საქართველოს გარეთაც ჰქუხდა: ზოგნი — მწერალნი და მოაზროვნენი; — მხედარნი, ხრამლის გმირები და სხვები — უფრო პატარა, ჩვეულებრივი, მაგრამ საშობლოს წინაშე ვალის მოხდის წყურვილით გატაცებული მამულიშვილი. ყველანი ესენი: ქალი და კაცი, ხანდაზმული და ჭაბუკი ხომ ამ „ვალის“ მოსახდელად წამოსული იყვნენ და საშობლოს სამსახურისათვის საშობლო დაეტოვებინათ. და ამ წმინდა „სამსახურში“ რამდენი ამათგანი დაეცა, რამდენის გულმა ვერ გაუძლო ამ გრძელ და მძიმე წლებს!

შეც ამ ორმოცი წლის მანძილზე „ამბების ლოდინის“ დაფურულილი იმედების თანამგზავრს, რამდენი ამათგანი შემხვედრია: რამდენი გახარება და მწუხარება გვიგვრძვინია, საქართველოში ნახულის და განცდილის მოგონებებით... ზოგი რამ ამ დაუციწყარი შეხვედრებიდან ამ ჩემ რვეულშიც შემიტანია. ამრიგად, ეს ჩემი, თუ გნებავთ, „მემუარები“. ამ საყვარელ მამულიშვილთა ერთგვარი მატთანა: სულ პატარა, ხან უმნიშვნელო ასახვა მათი აზრებისა და ფიქრებისა, მაგრამ მაინც საყურადღებო და „განუმეორებელი“. ზოგ რამეს აქედან დღეს ხომ ვერავინ აღადგენს, რადგან რაზმი „დამსწრეთა“ და „მომსწრეთა“ მცირდება.

გავკრებით ჩვენ და ჩვენთან ერთად — ეს ჩვენი ფიქრები და იმედები, „ვითა სიზმარი ღამისა“... ეს რვეულები და შიგ ადნუსხული ზოგი რამ კი დარჩება. და ოდესმე, ვინმეს ჩვენი „ოცნებით“ გული აუძგერდება.

აი, ამან ამაღებისა კალამი ძველ ჩანაწერთა გადასათეთრებლად და იქედან გამომცქერი ნაღვლიანი თვალების საყვედურების ასაცდენად, მინდა მათ დღეს პატარა ნუგეში მიეცე: „დავიწყება და დაკარგვა“ ერთხელაც იქნება, მათ აცდება.

მართალია. მწარე ბედი ხედათ: აქა-იქ გაფანტული უცხო მიწას მიაბარეს საქართველოსათვის დამწვარი გული. მაგრამ სამშობლო მათ არ დაკარგავს, — გაიხსენებს და სამსახერს და სიყვარულს კეთილ მსხვერპლად შეიწირავს.

†

ამ რვეულთა გადათეთრების დროს, მე მხვდება ერთი ისეთი ნაღვლიანი სახე კარგი ქართველისა: აშბები... ჩემი და ჩემი ოჯახის დიდი მეგობრის. ჩვენი საყვარელი ძია ლადოსი.

აქ შემიტანია მრავალი ტკბილი მოგონება ამ ადამიანის შესახებ, რომელიც იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი და მწერალი; თან დიდად ნაკითხი და განათლებული. მაგრამ ყველა ამას ჩრდილავს მისი ერთი და უმაღლესი ხარისხი: ჩვენი ძია ლადო, დოქტორ ვლადიმერ ახმეტელი, იყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში.

დღეს მის ნაღვლიან სახესთან ერთად სხვანიც გამოიცქირებიან ამ ძველთა რვეულთა ფურცლებიდან: შეიძლება უფრო დიდი დამსახურებისა და ღვაწლის მქონენიც, მაგრამ ამ უამად ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი უნდა გამოვყო, რადგან სწორედ ახლახან შესრულდა ოცი წელი, რაც ის სრულიად მოულოდნელად და უეცრად ბერლინის ერთი პატარა ბაღის სკამზე გარდაიცვალა. ეს მოხდა 1942 წლის აგვისტოს 12-ს, როცა მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და მასთან ჩვენ, ყველას საქართველოზე ათასი ფიქრი და იმედი გვაღელვებდა.

ლადო ახმეტელაშვილს მე ჯერ საქართველოდან ვიცნობდი, ხშირად მის ოჯახში ვყოფილვარ — დეკანოზ გიორგი ახმეტელაშვილის მდიდარ, პურ-მარილიან და ბარაქიან ოჯახში.



ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი

მაგრამ იქ როგორღაც ასეთი ახლო მეგობრული ურთიერთობა ვერ გაიბა ჩვენ შორის. მე ცოტა მოკრძალებით ეკუყრობოდი იმ ევროპიდან ჩამოსულ ქართველ ინტელიგენტს, რომელიც გულმოდგინედ „აგრძელებდა“ ვრცელ წერილებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და მუშათა მოძრაობის შესახებ. იმ წერილებს ის „შვარცის“ სახელით აქვეყნებდა... ლადოს დახნაღია კი ჩემი ახლო მეგობარი იყო...

შემდეგ, როდესაც ბედმა მე და ჩემი ოჯახი უცხოეთში გამოგვტყუორცნა, ემიგრაციის ამ დაუსრულებელ გზებზე ჩვენი იმედი და დასაყრდენი ძვირფასი ძია ლადო იყო.

მახსოვს რა გულის ძგერით შევდგი ფეხი 1921 წელს ბერლინის ქართულ საელჩოში. კარისკაცი მისაღებ ოთახში შემიძღვა; იქ მდივანმა ვინაობა გამომკითხა და დამამიგადა: ეხლავ მოვახსენებ თქვენს თხოვნას, რომ მიგიღონო. ერთი წუთიც არ გასულა და ჩვენმა ლადომ თვით გაგვიღო კაბინეტის კარი; მხიარული და აღტაცებული გამოვიდა და გულზე მიგვიკრა... იმ დღიდან ჩვენ მუდმივი სტუმრები ვიყავით ქართული საელჩოსი. და ჩვენი დაუსრულებელი მოგონებანი, მსჯელობანი და ფიქრნი მხოლოდ საქართველოსა და მის ბედს დასტრიალებდნენ.

და აი, ჩვენ მაშინ მივხვდით, რომ ჩვენი ელ. ახმეტელი იმით კი არ სვთლიდა თავის თავს, რომ მას ლაიპციგის უნივერსიტეტი დოკტორის ხარისხით დაემთავრებინა; არც იმით, რომ ის ძველი ჟურნალისტი და მწერალი, საქართველოში კარგად ცნობილი იყო. მას თითქოს ერთბაშად ჩამოერეცხა ყველა შარქსისტული დოგმა და დარჩენილიყო, სუფთა. ხალას ქართულ კაცად. ქართული გულით და ეროვნული ტკივილებით და დღეს ის მეტი შეგნებით ეპყრობოდა თავის მძიმესა და რთულ მოვალეობას.

ბერლინის ქართული საელჩო იყო მაშინ ჩვენი ცენტრი. ქართული საზოგადოებრივი მოძრაობისა და ჩვენ მოღვაწეთა; და ახალგაზრდობის იმედი; აქ იყრიდა თავს ამბები საქართველოდან და უცხოეთიდან; მოდიოდნენ ხშირად უცხოელებიც საქართველოს ვინაობის გასაცნობად. იკითხებოდა მოხსენებები; იმართებოდა ქართული საღამოები და სხდომები მრავალ სექცია-კომისიისა. და ყველა ამის მამამთავარი და „მოყრავი“

ჩვენი ელჩი იყო. მინდა ამ უამად მხოლოდ ორიოდე ასეთი შემთხვევა გავიხსენო, რაც განსაკუთრებით ჩამრჩა გულში.

მგონი 1922 წელს ძია ლადოს ეწვია და საელჩოს დარბაზში მშვენიერი მოხსენება წაიკითხა ნიკო მარშა. ეს მოხსენება ისე დაძეულა, რომ მისი მომჯადოვებელი გავლენისაგან დიდ ხანს ვერ განვთავისუფლდი. ჩენი საამაყო მეცნიერი მშვენიერი, წარმტაცი ქართულით მოგვითხრობდა „ქართველი ქალის კულტურე ჩვენ ისტორიაში და ძველ მწერლობაში“, კერძოდ „ვეფხისტყაოსან“-ში. ჩემი დიდი აღფრთოვანება ვედარ დავფარე და ძია ლადოს გავუხიარე. მან, ამით აღელვებულმა, ხელი ჩამავლო, მიმიყვანა მსცოვან მეცნიერთან და ჩემი თავი გააცნო, როგორც ძველ ქართველ ქალთა თაყვანისმცემელი: ჩემმა გაწითლებამ და დაბნევამ დიდი მეცნიერი ოდნავ არ შეაკრთო: მან ღიმილით და ტკბილი გამოხმაურებით ძია ლადოსთან ერთად გვერდით მომისვა და სიყვარულით, დაუხარებლად, კერძო საუბრით განაგრძო თავისი მომხიბლავი, ხატოვანი ამბები ქართველ ქალებზე.

მეორე შემთხვევა იმავე დროიდან: საქართველოს მინისტრის, ნოე რამიშვილის და ელჩის, ვლ. ახმეტელის თაოსნობით ქართულ საელჩოში, სახეიმო ვითარებაში გადახდილი იქმნა საპგლოვიარო წლისთავი ინჟ. ბარნაბას გარდაცვალებიდან, რის გახსნისას ორივემ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა... ძია ლადოს განსაკუთრებით უყვარდა განსვენებული და ხშირად საათობით გეყეებოდა ამბებს: თუ როგორ იმოგზაურეს ერთად საქართველოს პირველ დელეგაციაში, როცა ისინი საქართველოს მთავრობამ გერმანიაში წარმოგზავნა და რარიგ გაურთულდათ მგზავრობა და როგორ დაბრუნდნენ უკან. გვიამბობდა, თუ როგორ მძიმედ იმოქმედა ბარნაბაზე საქართველოს დაცემამ, როგორ ერთბაშად (სულ ორ კვირაში) გათეთრდა ეს 42 წლის კაცი... როგორ მიდიოდა თურმე ყოველ დღეს საელჩოში და იქ თავიანდუნული, გამშრალი, საათობით იჯდა, ვიდრე ლადო მუშაობას არ გაათავებდა და შემდეგ ერთად გამოვიდოდნენ ხოლმე. და სამი თვის შემდეგ ეს კაცი დარდმა გააქრო; ივნისში მას მოულოდნელად გული გაუსკდა... კიდევ რამდენი ამბავი გვაკავშირებდა „ბრიუკენ ალექს“-თან, სადაც ქართული საელჩო იყო, და მისი „მამასახლისის, სა-

ვაროველოს ელჩის დარბაზთან. როძლის თავსე კიდევ ფრია-
ლებდა თავის-უყვალეი საქართველოს დროშა. აქ, ქართული
საელჩოს. ირგვლივ ინასკვებოდა ჩვენი კულტურული საქმიან-
ობა. მრავალნი ცნობილნი მოღვაწენი იყრიდნენ იქ თავს.
ამიტომ ყველას ლოდად დააწვა ის ცნობა, რომ მინისტრმა რა-
ტენაუშ ელჩი ახმეტელი მიიწვია და გამოუცხადა: რუსეთთან
ხელშეკრულების დადების გამო საქართველოს საელჩო უნდა
გაუქმდესო! თავზარდამცემი იყო ცნობა. მაგრამ სვენ ელჩს
ამით თავისი საქმიანობა არ შეუჩერებია და საქართველოს
ულფლებსათვის ბრძოლას მაინც განაგრძობდა იმ საქუალე-
ბით, რაც კიდევ დაშთენოდა.

ამის შემდეგ ჩვენი ოჯახიც დიდ ხანს აღარ დარჩენილა
ბერლინში. პაპბურგში დავსახლდით.

მე არ მინდა ამ ჟამად ვლ. ახმეტელის პოლიტიკურ და დიპ-
ლომატიურ საქმიანობაზე ვრცლად შევჩერდე. ეს სხვათა საქ-
მე არის და იმედი გვაქვს: ჩვენი ეროვნული მთავრობისა და
მისი ელჩების შუშაობას ემიგრაციის ხანიდან. პირუთვნელი
ისტორიკოსები გამოუჩნდებიან და ისინი, ჩვენი აზრით. ბევრ
რამეში მათ აღარ უსაყვედურებენ, რადგან უფრო ნათლად
დაინახავენ და მხედველობაში მიიღებენ იმ რთულ გახანგრ-
ძლივებულ ჭიდილს დიდ ძალთა, რის დროს საქართველოსა...
ვის აღარავის ცხელოდა.

საკითხავია: შეძლებდა ვი ვინმე სხვა ამ პირობებში უკეთ
და მეტის გაკეთებას? მოგახსენებთ — ამის გამორკვევა სხვა-
თა საქმეა. მე კი ამ ჟამად მინდა აქ მხოლოდ ლადოს აღაშიან-
ობას, მის ქართველობას და ჩვენი ყოველი ემიგრანტის ბედ-
ზე დაულალავ ზრუნვას ორი სიტყვით შევებო და მით ყველა-
სათვის საყვარელი ძია ლადოს სახე სხვათაც დავანახო.

ეს კაცი მთელი თავისი ბუნებით არ იყო ემიგრანტი. ის
ბოლომდე ორივე ფეხით მტკიცედ იდგა ქართულ მიწაზე და
გადმოხვეწილობამ მას ფესვები მოუჭრა. მისი დაკვირებანი,
საგანთა თუ გარემოსათვისება. ზნე. განსჯა და გეზი — ყოვე-
ლივე ესე იქედან მოტანილი, ხალასი ქართული დარჩა. ქარ-
თულის მიდგომით, თქმულებებით და ანდაზებით... თითქოს
მას საყვარელი სამშობლოსა და ყველაზე საყვარელის კახე-
თის გარეთ არაფერი ენახა, თუმცა მეტი ნაწილი თავისი ცხოვ-
რებისა მას ევროპაში გაეტარებინა... ყოველი სიტყვა, ცნო-

აბ. ჩიგაძის საქართველოსზე მას უსომოდ იზიდავდა და ატყვე-
ვებდა. ჭეშმარიტად იმზიათად შეხვედრია უცხოეთში ამგვარი
ჩიგაძისა და ცოდნის მოყვარული ქართველი: თუშცა ამის გა-
სიოებისა და გაბოყენების ჩადილი მას ნაკლებად ჰქონდა.

7

რასდენი რას იავგრხა გულში იმ ხანიდან... მავონდება, რა
აღფრთოვანებით და ნამდვილი ახალგაზრდული აღტაცებით
იასოდროდა ის ჩვენთან, ჰამაურგში. ყოველ დიდ დღესასწაულს
და კერძოდ სობა-ახალწელიწადსა და აღდგომას ის უეჭველად
ივენთან მრესურებოდა. ხალისით მიუჯდებოდა ჯერ კიდევ
სქოლარე „ყმაწვილებს“ (ასე ეძახდა ის ჩემ გოგონებს) ლოგინ-
თან და მოჰყვებოდა საქართველოს ამბებს — უფრო კახეთისას.
თერძე როგორი ხელოვნებით აღუწერდა იქაურ მინდორ-ვე-
ლებს. მთა-გორაკებს, წყაროებს, წერებს, რთველს, გლეხკა-
ცობას, მუნობლებს, მოჯამაგირეებს, მის შეგირდობას, ოჯახს,
ღხინს და კიდევ, რა ვიცი რას... და ბავშვები ფართო თვალე-
ბით უყურებდნენ და უსაყენდნენ ტკბილ ძია ლადოს მონაყოლს
სორიულ სამსობლოზე და მარტო იმის ემინოდით, მათთვის
არ დაგვეძახა: „გეყოფათ, აღექით“... ჭეშმარიტად მათ არ ჰყოფ-
ნიდა სიტკბო „საქართველოს სამოთხისა“ ამ კაცს უხვად რომ
ჰქონდა გულში ხალაგებული და ეხლა ბერიდინიდან აქ ჩამო-
ეკანა... „კიდევ, კიდევ გვიამბე, ძია ლადო“, ევედრებოდნენ
ბავშვები და ყელზე ეხვეოდნენ ამ შუდამ მომლიძარეს, მომხიბ-
ლავეად და ხათხრობით მოხითხითე ძია ლადოს... პატარები
ხოი იმ იდუმალ ცრემლებს ამ „დიდ და სქელ“ ძია ლადოს თვა-
ლებს უკან რომ დაგუბებუდიყო, ვერ ამხნევდნენ. ჯერ კიდევ
გულუბრყვილონი იყვნენ და ამის „ასობსნა“ არ შეეძლოთ.

სამაგერიოდ, ჩვენ ამ სვედას, დიდსა და ახლობელს, მას-
თან ერთად განვიცდიდით...

იადამობით. ვახშამის შემდეგ, ბავშვებს რომ მოვასვენებ-
დით. ის შუდამ გვთხოვდა კიდევ დაგვეკრა გრამაფონზე ქარ-
თული ფირფიტები: ეს ფირფიტები მამის იმზიათი რამ იყო,
თითო-ორილა თე სოიძებნებოდა ბურლინის მთელ ემიგრა-
ციასი. მე კი დედაიქისაგან თითქმის განუწყვეტლივ მომდი-
ოდა და ამ მომბლიური მანგებით სხვესსაც ვატკობდი.

კვლავ დაუკრავდით და ძია ლადოც, რომელსაც იმზიათი
მქნა და კერბილი ხმა ჰქონდა, იუნი დიდიმით ხმას ააყოლებ-

და და ამ დროს სახეს გვერდით მიიბრუნებდა, რათა სორკუელი ცრემლები არ შეგვექმნია და ასე გრძელდებოდა თუადასუც-დე. მაგრამ მისთვის ესეც არ კმაროდა და დილით, სულ ადრე, ჩუმად წამოდგებოდა, თავისი ოთახიდან შეუძინველად გასვი-ლოდა სასადილოში, მიუჯდებოდა გრამაფონს და დაიყენებდა დაბალ ხმაზე (ჩვენ რომ არ გავეღვიძებინეთ) და უკრავდა და უკრავდა კახურ „მრავალეჟამიერ“-ს, „ურბულს“... შორიდან შორიდებით ვხედავდით მისი განიერი ბეჭების თრთოლვას და ვგრძნობდით, რომ ჩუმად ჰყრიდა ცრემლებს... და ასე სის-იამ დილას შეუდგებოდა დიდ გლოვას საქართველოს ბუნ-იერების დაკარგვის გამო... მერმე ჩაჯდებოდა ივენ ბიბლიოთე-კაში და კითხულობდა ბევრს და განშეორებით ილიას. თითქ-მის ზეპირად იცოდა ილიას ლექსებიც და პროზაც; რა ხადი-ნად მოჰყვებოდა ზეპირად ათას ადგილს „კაცია ადასიანი“-დან, „გლახის ნაამბობი“-დან, „ოთარაანთ ქვრივი“-დან და სხვა. განსაკუთრებით უყვარდა „ციტატების“ და ანდასუ-ბის მოტანა „ქვათა დაღადი“-დან. ეხლაც წინ მიდგას მისი სა-სე, როგორი გრძნობით გაშლიდა ილიას სიტყვებს „ქვათა და-ღადი“-დან და გულის ტკივილით ამოიძახებდა ხოლმე: „ფრთა-გაცვენილ, გაქუცულ, უხეირო კრუხ ქათამივით ჩიჩილესა სჩეკენ არწივის ნაბუღარხედან...-ო... არა, ეს არ შოიღება. ეს არ იქმნების“...

ვაძხნეკვბდით სავარულ სტუმარს: „გაიხსენე, ძია ლადო. იმავე ილიას სიტყვები „ქვათა დაღადი“-დან: „ჯერ სასაგი-როდ, ღვთის ძადლით, არა გაგვჭირებია რა: გული იშოდუნად კიდევ შეგვრჩენია, იშოდუნად კიდევ გვერჩის. რომ ივენ ვი-საობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი საღანსღავად არ დაეანებოთ არავის“... მაგრამ მას, ძის გულში ეს ბუევი-ვერ უსალმუნებდა... მისი თვალები ილიას ამ მინე მოძახილს იქეთაც სევდიანი რჩებოდნენ, თითქოს უნდა ეთქვათ: „დღეს სტერი სულ სხვაა, დიდი, უხეში და განუკითხავი“-ო... და ის ათრთოლებული ხმით ეხლა ვახტანგ ორბელიანის „კახეთი“-დან ამოიკვსესდა:

ადარ მელირსა შშვენეირო ჩემო კახეთო, რომ გომბორის მთით შენს შშვენებას კვლავ გადმოვნედო...

ასე მიდიოდა დღეები მისი სტუმრობისა და ახლოვდებოდა დრო ჩვენი განშორებისა. ყველაზე ძწუხარებით ვაცვილესდით მას სადგურზე და ისიც ჩახვლის დროს ნუგეას არ გვეუცხებდა:

„წარღვნაც რომ იყოს. სააღდგომოდ მაინც ჩამოვალ და მაშინ უფრო დიდ ხანს დავეყოფ თქვენთან... ეხლა კი ნუღარ დაძაკავებთ. ბერლინში შელოდებიან; ათასი რამ მისახედავია, საბატრონო... მართალია, დიდ არაფერს ვაკეთებ; დიდებთან ხომ გზა მოგვიჭრეს, მაგრამ ამ მიღეთ ხალხსაც ხომ მიხედვა სჭირდება“...

მართლაც. ამ მხრივაც დაუზარებელი იყო ჩვენი ყოფილი ელჩი. მართალია, მას დაწესებულებებში, ოფიციალურად, უკვე ვერ მიესვლეობდა. მაგრამ სოგი ძველი მოხელე მას მაინც ტკბილად იღებდა. იცოდნენ, თუ რა უკუღმართობით დღეს ის უკვე აღარ იყო საქართველოს სრულყოფილებიანი წარმომადგენელი და ბერლინის „ბრუკენ ალექს“-ს და მისთვის ან დახმარებას, ან შუამდგომლობას და მოწმობას გამოსთხოვდა.

მაგრამ ამ ტკივილების შემდეგაც ის ხან ამ კარიდან, ხან იმ კარიდან მაინც შევიდოდა დაწესებულებაში და ძველ, ნაცნობ მოხელეს რომელიმე ქართულ გაჭირვებაზე, ან ქართველი ემიგრანტის ტკივილზე მოუთხრობდა და მისთვის ან დახმარებას, ან შუამდგომლობას გამოსთხოვდა ხოლმე.

რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ის შწოლარე ჩამოუყვსტითათ (მას ხშირად ღვიძლის შეკრევა აწუხებდა) ამა თუ იმ დაწესებულებაში გაეკზავსნით და ჩვენი შიდა ღადოც. დაუზარებლად ჩამოდგებოდა. ცხელი ჩყლითანი ბალიშით ხელში. ტრამვიში ჩაჯდებოდა და საშუამდგომლოდ მიდიოდა. ამავე დროს საკუთარ ათას გაჭირვებას, ავადმყოფობასა და მწუხარებას იქნად იტანდა და სხვებს გულს უკეთებდა. გარედან მაინც არა, იძინებდა და ძველებურად, სწორად და გამართულად დადიოდა თავისი მსიპე და ამაყი ნაბიჯით. ვით შეშვესოდა ყოფილ ღდას. დღეს უფლება აყრიდს. მაგრამ მაინც სწორი საქმიანთვისა. ამაყად მდგომ. საქართველოსას.

ბოლო წლებში, როცა თმა გაუთეთრდა და სახეს მეტი ნაოჭები დაეცყო, ის ხშირად დაიხედავდა დამჭკნარ ხელებზე და იუქმად, ნაღვლიანად ამოიოხრებდა ხოლმე... მე კარგად ვხედავდი მის მწარე ფიქრებს და იღუქმალ შიშს უცხოეთში აღსაარუდიისას...

„შეა. თმა ღადო.“ — ვეკუოდი გახუქრებით — „არ დაგვიტერდე. ძხსუნე იდექ. მეთქი ის თვადსაშიანი, ბედს ჩაიქსევდა და ერატქელ კიდევ გამაგონებდა ნაცნობ დარდს იმავე ორ-

ბელიანის სიტყვებით: „ნუ თუ ჩავიდე ისე საფლავს და დავი-
მარხო“...

— ნუ ნუ, ძია ლადო! — მივუგებდი ნუგეშით — „კიდევ რომ
შეგემთხვეს რამე, იცოდე, რომ ჩვენ არ დაგტოვებთ, რაც არ
უნდა მოხდეს, მაინც წაგიძღვებით და შენ ნეშტს შენი კახე-
თის მადლიან მიწას მივაბარებთ... და მე ვატყობდი, რომ მას
ამ ჩემი დაპირებისა სჯეროდა და მას ეს ამშვიდებდა, ახარებ-
და კიდევ... მერმე ჩუმად ყურში მეტყოდა: „ხომ იცი, შენ უნდა
დამმარხო, და შენი პირობა“... გაიცინებდა და აღარ დაამთავ-
რებდა.

რამდენმა წელმა განვლო, მაგრამ ეხლაც ყურში გარკვე-
ვით მესმის შენი ფრთხილი მხილება: შორეული ბერლინის
სასაფლაოდან. ჩემო ძვირფასო მეგობარო, გმინვით დღესაც
ამომძახებ — „თამარ, აღთქმა არ დაგავიწყდეს!“

ოლონდაც! ჩემო ლადო, მე ის არ დამვიწყებია და მგონი
მეორე მძიმე ლოდად თან ჩავიტანო...

მაგრამ აბა რა ვქნა? რითი გიშველო? რით დაგამშვიდო?
შენ ვერ ხედავ, რა ხდება ირგვლივ და უკვე რა მანძილით დაგ-
ვაშორა ამა ქვეყნისა გაგიყებამ... სად ბუენოს-აირესი და სად
ბერლინი! და მერმე ის შენი საყვარელი ბერლინი რას დაემს-
გავსა!.. რა საშინლად განიავდა შენი სადგომი, შენი პატარა
„ავლადიდება“, რაც სამშობლოდან მოგეტანა და ასე გიყვარ-
და! როგორ წალკა ქარიშხალმა ბერლინის ქართველობა, რომ-
ლის ჭირისუფალი მუდამ შენ იყავ. იქ დღეს აღარავინ არის და
ის შენი დარბაზები, სადაც საქართველოზე ფიქრები და სიტ-
ყვები გიფრქვევია, დროშაზე ფიცი ჩამოგირთმევია, დღეს გამ-
ქრალია, სრულიად აღგვილია და ჩვენ შორისაც საშინელი
კედელი ამართულა... და შენ ახლობლებს გულით რომ სწად-
დეს, მაინც არ შეუძლიათ შენი საფლავი ინახულონ და ქარ-
თული „გამარჯვება, ძია ლადო“ გითხრან.

და აი, მეც ბოლიშს ვიხდი; გთხოვ პატიებას, რომ დაპირე-
ბა ვერ შეგისრულე... მაგრამ შენი საფლავი განა დაკარგება
ქართველობას? არა! შენ ეს იმედი უნდა მტკიცედ ატარო, მაგ
თითქოს მიტოვებულ საფლავშიც. გთხოვ არ ჩააქრო რწმენა,
რომ ქართველი ერი თავის ელჩს დავიწყებას არ მისცემს: ის
მიტოვებული არ დარჩება...



გრიგოლ რობაქიძე

ბრიბოლ რობაქიძე

უცხოეთში გადმოხვეწილ წარჩინებულ ქართველ პატრიოტთა გაბნეულ საფლავებს დღეს კიდევ ერთი ემატება... ემატება გარდასულთა სახელოვან წრეს, ხოლო ჩვენ გზას დიდი შუქი აკლდება... საქართველოზე მარად და ყველგან შეყვარებული, მისი მზით ამაყი, ქართული სიტყვის, მისი წარმოქმნის და წარმოთქმის ნამდვილი ჯადოსანი, გრიგოლ რობაქიძე აღარ არის. ამ მზის მომღერალის და მზით დამთვრალის მზე სამუდამოდ ჩაესვენა...

ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო ვრ. რობაქიძის ლიტერატურული კვალის და ჭეშმარიტად, სრულიად ინდივიდუალური გზის ასახვისა... ვაშბობ კვალის, რომელიც ქართული სიტყვის უბადლო ხელოვანს ამ სამოცი წლის გასწვრივ საქართველოში და საქართველოზე უცხოეთში გაუვლია.

მომავალი ამას, უეჭველია, ღირსებით და სიყვარულით აღნიშნავს და ჩვენი დროის სულიერი კულტურის ანალებში შეიტანს.

მე კი ამ ჟამად მინდა მაინც, სულ პატარა ჩარჩოში, ჩვენი გრიგოლის მკვეთრი პიროვნება მოვხაზო; ამას მავალებს ჩვენი, არა თუ ჩვეული, ემიგრანტული ურთიერთობა გარდასულთან, არამედ ნამდვილი და ქართული მეგობრობა, წრფელი ურთიერთობა აკაკისთან, ჩემთან და მთელ ჩვენს ოჯახთან... მეგობრობა, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ათასნაირ მძაფრ ქარიშხალს გაუძლო.

გრიგოლს ჯერ საქართველოში ვიცნობდი და თავიდანვე მისი მომჯადოებელი, ჭეშმარიტად, აღგზნებული ქართული სიტყვის თაყვანისმცემელი ვიყავი მრავალ სხვასთან ერთად. მეც ნამდვილი აღტაცებით და ესთეტიურ გრძნობათა ბურუსში გახვეული, გავდიოდი ქუთაისის თეატრიდან, სადაც ეს

ოქროპირი მჭექარე ხმით და ანთებული თვალებით, ნამღვი-
ლად აცოცხლებდა და სცენაზე ამეტყველებდა დიდ ილიას,
აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას და დანარჩენ
საჯვარელ მკოსნებს.

ახალგაზრდული გატაცებით ბევრჯერ მწყუროდა მასთან,
მის წრეში საათობით ყოფნა და დატკობა მისი ახალი, ჯადოს-
ნური ქართული სიტყვებით... და განგებამ თითქოს ეს შემთ-
ხვევა დიდი სიჭარბით მარგუნა: მე მას, მოულოდნელად, შევ-
ხვდი და წელთა განძავლობაში თითქმის ყოველ დღე ვხვდე-
ბოდი ღორბარში, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ,
სტუდენტთა წრეში, სათვისტომოში, კერძო შეკრებულებაში
ჩვენ ხშირად ვუსმენდით მას ქართულ ხელოვნებაზე და კერ-
ძოდ პოეზიაზე: ამ ტკბილ ბაასში მუდამ მრავალი საათი გაგ-
ვიტარებია და მე იქ ვნახე, რომ კერძობაშიც ეს კაცი ისევე
უცნაური და მომხიბლავი იყო: მეტად ინდივიდუალური და
ორიგინალური აზრების დიდი ხელოვნებით გაშლია ისევე
ეხერხებოდა, როგორც ის ჩვენში სცენაზე მეტყველი მენახა.

შემდეგ, როცა საქართველო თავის კერას დაუბრუნდა და
ჯვლანია, რითაც და რამდენადაც შეგვეძლო, ჩვენ ახლად
აღორძინებულ სამშობლოს ვემსახურებოდით, გრიგოლი, თუმ-
ცა ძველებური სიყვარულით, მაგრამ რაღაც ნაკლებ აღვსენ-
ებით მხკვდებოდა... საკვირველია, რომ მისი უცნაური შინაგა-
ნი ბუნება რაღაცნაირ შიშს განიცდიდა, მისი სულიერი მთლი-
ანობა თითქოს ეჭვებით იყო გაბზარული.

ეს აღდგომა მას შინაგან თითქოს არ სჯეროდა და ნახევ-
რად გამდგარი, თავისთვის ჩუქად „მარხულობდა“... ან იქნებ
ის გარიყულად გრძნობდა თავს და ამ დიდი ამბების ტალღებს
ვერ მიჰყვებოდა; მაგრამ დროთი-დრო თავის ვიწრო ჯგუფში,
საჯვარელ მწერალთა წრეში, ის ამ ეჭვებს გადაიყრიდა და მა-
შინ ძველი გრიგოლი — აჯანყებულ სიტყვათა, ფერთა და სა-
ხეთა მღვდელმთმქმედი, კვლავ გაცოცხლდებოდა...

ტიციანი, პაოლი, ნიკო მიწიშვილი და სხვანი, პოეზიით
რომ სუნთქავდნენ და რითმებით მეტყველობდნენ, გრიგოლის
მეთაურობით ხშირად გვეწვეოდნენ ჩვენ ბინაზე, თბილისში.
არტემ ახნაზაროვის სახლში, „საპიორის“ ქუჩაზე; და ხშირად
გაიძინებამდე გაგრძელებული ნადიმის დროს, გაისმოდა მათი

შაირები, კამათი და ექსპრომტები, რომლის, ნამდვილი მაესტრო პაოლო იყო. აქ გრიგოლი ერთბაშად იცვლებოდა, მისი გული იშლებოდა და სიტყვები და რითმები ჯადოსნურად ჰქუხდა! ეს ის დრო იყო, როცა „ქიმერიონი“ ქართველ მწერალთა კავშირის სადარბაზოდ იქცა და აკაკიც (პაპავა) ხომ ამ კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო.

მაგრამ საქართველოს და ჩვენმა ბედმა ამ ეპოქის დიდ ამბებს ვეღარ გაუძლო; საბედისწერო ქარიშხალმა ჩვენი გზები გაჰყარა... დაეშორდით სამშობლოსთან ერთად გრიგოლსაც, და მხოლოდ გაზეთებიდან ვტყობილობდით მის ამბავს. ვკითხულობდით მის ახალ ნაწერებს, პიესებს და გულში მაინც გვიხაროდა, რომ ამ გამოკვეთილმა ქართულმა ინდივიდუალიზმმა უცხო „კოლექტივიზმის და მატერიალიზმის“ მძიმე დაწოლას გაუძლო და ხელოვნების სამსახურის გზა არ დაავდო.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს ასე არ იყო. შინაგანი წვა და არსებულ წინააღმდეგობათა ღრმა განცდები ისე გაძლიერდა, რომ საზღვრები გაარღვია, მათი შეკაება შეუძლებელი გახდა და გრიგოლი საბჭოთა საზღვრებს გამოსცდა... ერთ ხანს ეს იყო თითქოს დროებით. მაგრამ ბოლოს მაინც ის სამუდამოდ ევროპაში გამოვიდა.

პირველ ჩამოსვლისათანავე მოგვაშურა მან ჰამბურგში და ჩვენ წინ გახსნა თავისი გული. რაც შემდგომ თავის რომანში „ჩაკლული სული“, დიდი ფსიქოლოგიური ოსტატობით გაშალა.

ამის შემდეგ ის განუწყვეტელ კავშირში იყო ჩვენთან. ან გვეწვეოდა ხოლმე ჰამბურგში, ან ვნახულობდით ბერლინში. სადაც ძველებურად მთელი საღამოები მიჰქროდა სამშობლოზე ფიქრში, აღვზნებულ სიტყვებში საქართველოზე. მის ხელოვნებაზე და კერძოდ ქართული სიტყვის გენიალურ „არქიტექტურაზე“... და ჩვენც ძველებური გატაცებით ვისმენდით გრიგოლის უცხო და უცნაურად ჩანაფიქრს ქართული სიტყვის ძირების შესახებ: „ხელ-მწიფე“, „უფალი“, „მზე“, „მზერა“, „ნა-ყოფი“ და სხვა. პირველად თითქოს ეს გიშლიდა და უკნოთირებოდა, მაგრამ გრიგოლის ხელოვნებით „გაშლის“ შემდეგ ასე გახაოცარი და დამაჯერებელი ხდებოდა.

ჩვენთან ყოფნისას მას განსაკუთრებით უყვარდა „ქართლის ცხოვრების“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონის“ და კერძოდ პლატონ იოსელიანის, მაღალი სტილით შესაყებული. რუსული ნარკვევების კითხვა.

„საბას ლექსიკონს“ ის ისევ და ისევ თავიდან გადაიკითხავდა ხოლმე. როგორც საუცხოო რომანს და შიგ მუდამ ქართული სიტყვის ახალ ძირებს ეძიებდა ხოლმე.

განსაკუთრებით კმაყოფილად გრძნობდა იგი თავის თავს ჩვენ ოჯახურ წრეში და ბედნიერი იყო, როცა ბერლინში გადავსახლდით. ეს იყო მისთვის ნამდვილი ქართული კერა. აქ გამართულ პატარა ლიტერატურულ სადამოებზე ძველებურად სჭექდა. ოსტატობით გამოჭრილი, მკვეთრი სიტყვები გრიგოლისა... სიტყვები ძველ. მარადიულ საქართველოზე, რომელიც ათასეულ წელთა ქარიშხალს ასე უძლებს. არ ირღვევა და დგას, ვით სალი კლდე... ეს ძველი უტეხი ნება და სული გრიგოლს დღემდე ეცხადებოდა და თითქოს ცოცხლად და გამართულიად, ხეესურთა ძველ კოშკებიდან ეძახოდა: ამიტომ ესმოდა და ნათესავურად უყვარდა მთის შვილი და გენია ვაჟა ფშაველასი. შემდეგ: შეიძლება ვთქვათ, უკანასკნელად, ჩვენ ერთად ვისუნთქეთ ქართული პოეზიით და გენიით 1938 წელს კაპრის კუნძულზე, სადაც დაუფიწყარი ზაფხული გავატარეთ მე, აკაკი და გრიგოლმა: ვკითხულობდით რუსთაველს და ამას მოპყვებოდა ხოლმე სხვა და სხვა ჩვენი საამაყო მგოსანთა შედეგები: ამასთან ჩვენ მწერალ მეგობარზე დაუსრულებელი მოგონებები, მათი ცხოვრების ეპიზოდები... აქ გრიგოლს მასალა ხომ არ გამოეღეოდა და ასე ვტკბებოდით და ვისვენებდით...

დაემორღით ერთმანეთს იმ იმედით, რომ „გაისათ“ ისევ იქ შეკვდებოდით და პატარა ქართული სუფრა, რომელიც კაპრიზე სახელდახელოდ შექქმენი და რომელმაც გრიგოლს იმერეთი გაუცოცხლა, „გაისათაც“ გვექნებოდა, და „კიანტი“ საქართველოს სადღეგრძელოს კვლავ დავცლიდით...

მაგრამ „გაისათ“ ჩვენთვის ვედარ დადგა და ყოფაც უფსკრულში ჩაიქცა... და ის „გაისათ“, 1939 წელს, ჩვენ „დაბნელებით“ დავიწყეთ და კაპრის ჩირაღდნები და ლურჯი ცა; სამშობლოს რომ გვაგონებდა, წყვილადში გარდაეშვა. ასე ჩაქრა ჩვენი იმედი; იმედი, რომლის შესახებ გრიგოლი

26 — 39 წელს აკაკის სწერდა: „შენმა ბარათმა ძალიან გამახარა, მაშ გავემგზავრებით აგვისტოს ბოლოს კაპრისაკენ; „ინუბოს ალახმა“! ჩემი ახალი რომანი „არტლანტიშერ ტრაუმ“ ნახევრად უკვე მზადაა; მოქმედება კაპრში: თან წამოვიღებ: შიგა და შიგ გადავფურცლოთ ერთად. წინასწარ ვტკბები ამ სამოთხის კუნძულის ნახვით კიდევ ერთხელ“.

და კიდევ უფრო გვიან, მრავალი წლის შემდეგ, ჩვენთან გატარებულ ამ სამოთხის დღეებზე ასე გვწერდა გრიგოლი: „ქვასანაყის გახსენება მძლავრად მოხვდა ჩემს გულს: გამახსენდა ზაფხული 1938 წ. კაპრის კუნძულზე გატარებული. ეს იყო „გედის სიმღერა“ ჩვენი სიცოცხლისა, თამარის, შენის და ჩემის. მშვენიერი იმედი მომეცო: ავამეტყველო ეგ ქვა: ავამეტყველებ უთუოდ და მის ნათქვამს „ბედი ქართლისაში“ გამოვაქვეყნებ. გარნა ვშიშობ: ვაი თუ „მალლა ასწიოს“ და აღარ იკადროს ქვიჯაში ნაყვა ნიგეზისა, თუ ქინძისა; არაფერია, სხვა ფუნქციას მოვუნახავთ — იერარქიულს“-ო.

ეს ქვა, რომლის შესახებ გრიგოლი აქ გვწერს, ერთგვარად „ისტორიულია“ და მინდა ორი სიტყვით ეს „ისტორია“ აღვნიშნო.

კაპრის კუნძულზე სეირნობისას ჩვენ ნორჩი და მშვენიერი ულორტები ვიპოვნეთ ცკლისა; გრიგოლმა „ეკალა-მხალი“ მოიგონა და მოინატრა. ნიგოზი, ქინძი და სხვა საკაზში კაპრზე ბლომად იშოვნებოდა: გვაკლდა ქვიჯა (როდინი); ბოლოს ისიც შევიძინეთ, მაგრამ თითბერისა, თითბერისავე სანაყით: ეკალ-მხალს გარდა, სხვა მარავალ ჩვენებურ კერძს ვამზადებდით. მაგრამ თითბერის სანაყი წვრილი იყო და ამით ნაყვა სჭირდა... გადაწყდა შესაფერი ქვის მოძებნა, რომ ნიგოზი კარგად დაგვენაყა. მაგრამ არც თუ ისე ადვილი შეიქნა მისი აღმოჩენა! შევუდექით მის ძებნას, სადაც რიყის ქვები უხვად ეყარა ზღვის ნაპირზე. მაგრამ არც თუ ისე ადვილი შეიქმნა მისი აღმოჩენა. ჩვენმა „ექსპერტებმა“ მრავალი „კანდიდატი“ გააშავეს და იქვე განუტევეს; ბოლოს შევჩერდით ერთ ქვაზე, რომელიც გრიგოლმა მოიძია. მართლაც ძალიან წააგავდა ჩვენებურ ქვიჯის ქვას და გრიგოლიც შეტად ამაყობდა ამ „ქართული არქეოლოგიური ნაშთის აღმოჩენით“.

ამ ქვას დიდი ქება ვუძღვევით და დღემდე ის ერთგულად ემსახურება ჩვენ ქართულ სამზარეულოს. აქამდე იგი ჩვენი თანამგზავრი არის.

აი, ამ ქვის შესახებ მისწერა მას აკაკიმ და მისცა იდეა — შეექმნა მისტიური პოემა, ან ერთგვარი ხოტბა კაპრის ქვაზე; ქვაზე, რომელიც ქართული ოჯახის სამსახურის არჩევის გამო, ამდენი ხეტიალის სავანი გახდა. და ეხლაც, არგენტინის სანაპიროზე, ახალ „აბარგებას“ ელოდება. ვინ იცის, როგორ ოცნებობს თავისი წყნარი და შშვიდი იტალიის პატარა კუნძულზე, იქ გატარებულ საუკუნეებზე!.. უკვე რამდენი თაობა და ხალხი ნახა და კიდევ რამდენს ნახავს, როცა ჩვენ, მისი „აღმომჩენნი“, გავექრებით, არარაობაში გადავალთ! ხოლო ამ ქვის „მატერიალური კულტურა“ მარადის უცვლელი დაშთება!

აი, ამ წინადადებაზე გვწერდა გრიგოლი: „უთუოდ ავამეტყველებ ამ ქვასა“-ო. მაგრამ ამ „ავამეტყველებას“ ვერც ეს ქვა მოესწრო და ვერც ჩვენ. ეს ამოცანა ჩვენ გრიგოლს შეუსრულებელი დარჩა... ან ვით შეასრულებდა?

შემდეგში, დაწყობის ნაცვლად, ჩვენი ცხოვრება ხომ კიდევ უფრო აირია და გრიგოლის გულშიც დიდმა უიმედობამ დაისადგურა. ამას ზედ დაერთო მისი საყვარელი მეუღლის, ელენეს მძიმე. მოურჩენელი ავადმყოფობა, და გრიგოლის მტკიცე, ფოლადის ნებაც გატყდა, მისი დიონისური „მზიური ალგუნება“ დაიფერულა და გული და სურვილები დიდმა სევდამ დაუოკა. იმ ხანების ერთ-ერთ წერილში ის გვწერდა: „დაძვიწყეთ. თქვენი გრიგოლი აღარ არის. სულიერი ძღვომარეობა ჩემი ამ უამად საშინელია. იმ გრიგოლს, რომელსაც თქვენ იცნობდით დორპატში. ტფილისში. ბერლინში, ჰამბურგში, კაპრის კუნძულზე — მე თვითონ ვეღარ ვხედავ ჩემ არსში. ჩემი სული „მოშლილია“, დავკარგე ხალისი — ეს უცნაური ნაკადი სიცოცხლისა“-ო...

კიდევ უფრო გვიან ასე გვწერდა: „მე, გერმანელები რომ იტყვიან „ცვიმუქრაიხში“ ვცხოვრობ. ამ უამათ, შეძლება რომ მქონდეს, გადმოვსახლდებოდი მანდ. შევეუერთებოდი შენს კვრას და ამით ადვილათ ჩავატარებდი უკანასკნელ დღეებს ამ სოფლად. ხომ იცი, ხანში შესულისასთვის ძნელია ახალი მგობრის მოპოვება — მგონია, შეუძლებელიცაა... სადამო-ობით მოვუსხდებით ხუფრას და კიოცნებებდით დავარგული სამშობლოს ირგვლივ“.

ასე წაიქცა ხალისი და შიში მარტოობას განიცდიდა მისი ბუნება... „ჩემს სიცოცხლეში“, — გვწერდა ის, — „ასე მძაფრად არ მიგვრძნია ტომური ნათესაობა ჩენი! ჩენი სისხლი, ჩენი შიწა, ჩენი ფესვები, ჩენი ისტორია, ჩენი ბედი... ამ გრძნობაში ალბად სიკვდილის მოახლოების წინაგზნებაცაა... კარგი იქნებოდა რამოდენიმე ოჯახი მაინც ერთ ალაგს დავებინავდებოდეთ სადმე ამ ჟამად — დროებით: იფიქრე! ამაზე“...

მაგრამ ამ დიდი სევდის მიუხედავად, საქართველოს სიყვარული, მისი მიწის და მშის გრძნობების ათვისების უნარი ბალღომდე გაჰყვა. ის ამით ამაყობდა და ქედმაღლობდა.

საქართველო და მისი ღირსება უკანასკნელ წეთამდე დარჩა გრიგოლის ყოფის მიზანი და ამოცანა... და ეს ხომ ასე მკვეთრად გამოჩნდა მისი „გედის სიმღერაში“. სწორედ ამის გამო მან „დეულში“ გამოიწვია რენენ ლა პერ გოსსენტი და მისთვის ჩუქული, პატრიცული ამაყი ღიმილით, თავისი სადარბაზო ბარათი წარუგზავნა ამ ჟურნალისტს. საქართველოსა და მისი დიდი კულტურის ხელ-წაკვრით მომხსენებელ „მწერლებს“; მწერლებს, რომელთაც ქართველი ხალხი „ენაჭარტალია“, „უსაქმო“. „მარსელელ მოხეტიალეს“ შეადარეს...

მერმე რა გააფთრებით შეუტია გრიგოლმა ამ უფიც და თავხედ „ჟურნალისტებს“, რა მარჯვე „სარმით“ დასცა ორივე მხრებზე და დამცინავი ღიმილით განშორდა მათ. ეს იყო მისი უკანასკნელი ქართული შეტევა, ჩენი წარსულისადმი სიყვარულით აღგზნებული თქმა. (იხილეთ გრიგოლის უკანასკნელი წერილი: „ქართველის სადარბაზო ბარათი“. „ციურიხერკოხე“, 7-12-1962 წ.)

აი, ამ ცეცხლში დაიწვა მისი გული; ამ სიყვარულმა დაფურფლა ის და აგვატირა მისი მეგობრები: აგვატირა მით უფრო, რომ ასე შორს თავისი საყვარელი მიწიდან. თავისიანებიდან და ახლობლებიდან, დაიხუჭა მისი მაგიური ძალის მფრქვევი თვალები. თითქოს წინადვე გრძნობდა, რომ საპიშობლო და დედა მას ასე დაიტირებდნენ.

„ვახ, იუ გდიხარ, შეილო, სადმე ვრდომილი დაგტეხია თავს უბეღობა.

კინ ვიგულეო შენი კეთილმადომელი, რომ ლბუნობით გაგიწიოს ღედობა“...

(მისი ლექსიდან: „დედა“).

რა მძიმეა, რომ ქართული სიტყვის ოსტატის ხსენება მის საყვარელ სამშობლოში ხელოვნური ყინულით დადუმებული არის; და იქ, სადაც გრიგოლის სალოცავი, ცხუნვარე მზე კაშკაშებს, მის ყველაზე უფრო ახლობელ მეგობართ და თანამოკალმეთ, მას რომ ასე აფასებდნენ, რა შეუძლიათ ქართული „შენდობა“ უთხრან და მისადმი სიყვარული ამხილონ.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩუმად მაინც გრიგოლის სახელს ერთმანეთს გადაუჩურჩულებენ და მისი სიკვდილის ცნობაზე მწუხარებით სხვაგვარად შეირხევიან... და მე მჯერა, რომ გრიგოლ რობარიძის მახვილ ყურს ეს „ჩურჩული და რხევა“ მიჰხვდება და ის ერთხელ კიდევ გაუსწორებს თვალს მის საყვარელ მზეს — ქართულ მზეს...

იყოს. ძვირფასო მეგობარო და ხელოვანო, შენი ხსენებაც „მზე-გრძელი“, როგორც ამას შენ მუდამ გვეტყოდი და გვახარებდი.

1963 წ.

ბუხართან

ბუხარი, რომლის წინ თებერვლის ღამეებში ვისხედით და ჩვენ დაკარგულ სამშობლოზე, მის 26 მაისზე ვოცნებობდით, ჩვენი სახლის ბუხარი გახლდათ, ბერლინის განაპირა უბანში, — ლიხტენფელდე-ში.

ზოგი ქართველი მას „ქართულ ჩარდახს“ ეძახოდა, უფრო ახლობელნი-კი „თამარის ჩარდახს“. ეს სახლი ომის წინაწლებში შევიძინეთ და ქართულ ყაიდაზე გადავაკეთეთ, რამდენადაც ძველი სახლის გადაკეთება მოხერხდა; ყოველ შემთხვევაში, ქართული თაღებიანი კარები და ფანჯრები, ქართული ბუხარი, ზოგი ძველებური სურათებით და ნიშნებით და ქართული ხასიათის მორთულობით. ყველა ამას არ აკლდა საკმაოდ მოზრდილი ქართული ბიბლიოთეკა, არც ქართული პურ-მარილი, კეთილი გული და, რაც მთავარია, ქართველი სტუმრები პატრიოტული აღგზნებით და ჩვენი დაკარგული მაისის უზომო სიყვარულით...

აი, ამ ლიხტენფელდეს პატარა „შატო“-ში, (როგორც მას ზურაბ ავალიშვილი უწოდებდა), ქართული ბუხრის წინ, ბევრ ფიქრს გადაუფლია ჩვენ თავზე, ბევრი გრძნობა აღვივებულა მისი ნაკვერჩხლების ცქერაში და ბევრი ოცნებაც ისე ჩაფერფლილა, ვით ის ცინცხალი ნაკვერჩხლები.

მას შემდეგ რამდენი რამ მოხდა; რამდენმა წელმა გადაგვიქროლა: ბუხრიანი „ჩარდახიც“ და ჩვენ, ჭაღარა თმებით, და ისევ იმ ფიქრებით დაგვტოვა, ეხლა უფრო შორს, ოკეანის მეორე ნაპირას.

იმ წარსულს და მაშინდელ „იქაურობას“ ასე დაშორებული, ხშირად ვმლი წელთა ფურცლებს ძველი დღიურებიდან; ვიგონებ მრავალ დღესასწაულს, მრავალ 26 მაისს და მის მომლოცველთ, მუდამ უცვალელებლად რომ გვწერდნენ, ან გვეტყოდნენ: — „გაისად ამ დროს ჩვენ საყვარელ სამშობლოში.

...ქვენთან ერთად“-ო... რაშდენი ასეთი „გაისათ“ გარდავიდა და რაშდენი მიჰყვენს იმ წლებს და მხურვალე გრძნობებით ცივ საძარეში ჩაწვენს; ის „გაისათ“ კი ვერ იხილეს...

მაგრამ ეს „გაისი“ ხომ მაინც დგას ჩვენ წინ; მან იცის, რომ გზა ჯერ მიხვეულ-მოხვეულია, მაგრამ არ იცის — რომელ „მისახვევის“ იქეთ გამოანათებს მაისის შუე. იქნებ ეხლა ვდგევართ იმ უკანასკნელ მოსახვევთან! იქნებ გაისათ! ან შისი შეშდევის შეშდევ წელს! გულთმისნები არა ვართ, მაგრამ ის შუე რომ გზაზეა, ეს კარგად ვიცით... და მივდივართ ორშოცი, ორმოცდასამი, ორმოცდახუთი წელიწადი... გაგრძელდა ბილიკი, გაძრავლდა „მისახვევები“ და ბევრნი დავტოვეთ ამ გზაზე. იმ ბილიკებში ჩარჩნენ და მიისვენეს. მაგრამ მათი ფიქრები საქართველოს მხეზე, მათი მაღალი სრახვანი ჩვენ გადმოგვიღოცეს. ხვალ ჩვენც, უფრო უკან რომ მოგვევებიან, მათ გადაცვი... და როდესაც ამ განვლილ „ბილიკებს“ გადავხედავ, იქედან სომაშუქებენ ანთებულნი მრავალნი თვალნი, და მათ შორის იმათიც, ვინც ჩვენთან ერთად ლიხტენფელდეში, ჩვენებურ ბუხართან ისხდნენ და საქართველოს ტკივილებით კვხსოდნენ...

ბევრი მათგანი დღესაც დღეგრძელობს და მხნედ ელოდება ადნიერ „გაისათ“-ს. უსძინოს ღძერთან! კიდევ დიდ ხანს შეგვინახოს მათი თავი ჩვენდა სასახელოდ. იმათაც მოავონდებათ, ხანდისხან მაინც, ჩვენი ბუხრის სითბო და მეც ტრადიციულ „გაისათ“-ს შევძახებ მათ; ივენ სვირფას მიხაკო წერეთელს. ივანე და ალექსანდრე სიკურაძეს, ვიქტორ სოზაძეს, კოტე იხუნიკელს, პელო გეგელაშვილისას და სხვებს და ამ მაისისთვის ახალ თასს ძველი ოცნებით და „სადღეგრძელოთი“ შეკვავებებს... ისინიც ძველებურად — ივენებურად დიასახლისს დადოცავენ.

მაგრამ სივანი კი იმ ბუხრისათვის განდობილმა ფიქრებმა თან ჩაიღო. ეართულმა ნადვერდალმა დაფერფლა მათი გული და სდუმან გასოუცნობი იღუპალობით.

მე მსურს ამ 26 მაისს სოგის სახე გავიჩხენო, მათ თვალუბში ჩავხედო და ვუთხრა იმედია იმ სიტყვა ქართველი ქალისა, მათი მასპინძელისა; გავამჩხევეო, რომ გზა მათი გრძელდება — „განწირული სული“ კვეთება ტყვილად არ ჩაივლის“ და უკანასკნელი ახლოა.

ამ მაისში ოცნებით მათში ვარ. აი, ზის ბუხართან, თითქოს მოხუცი, მაგრამ ჯერ გაუტყეხელი კაცი, გრძელი ჭაღარა წვერით და კრიალოსანს მარცვლავს. წმიდანის ქანდაკებასავით ჩამოსხმულია მისი სახის ნაკეთები, რომლისაგან ასურეთის პროფილი იცქირება. ნაღვლიანი თვალებით დაპყურებს ბუხრის ნაკვერჩხლებს; ფიქრებშია წასული. გუშინ მან ქართულ რადიოში შემთხვევით ქართული ოპერა მოისმინა... დაიღალა ტირილით... დღეს ამ თვალებს სხვა აღმური აშუქებს. — საქართველოს ბევრჯერ უნახავს ასეთი ჭირი... იქნებ უარესიც! მაგრამ გაუძლო... ამასაც აიტანს. კი, ბატონო, აიტანს! ოღონდ მოთმინება გვმართებს და ჩვენ წმიდა საქმეს წმიდად შენახვა უნდა... უნდა სუფთად ვიყოთ ბოლომდე...

ჭეშმარიტად! თავიდან ბოლომდე სუფთა იყო ეს კაცი, სუფთად მოახროვნე, ყრმულად სპეტაკი...

შხოლოდ ორიოდე წელი (შერბე ვინ იცის, რა ძმამე, რა ტკივილებით სავსე წლები!) გაატარა საყვარელ თბილისში და მალე გადასახლებაში. კარავანდის ცივ მიწას მიებარა...

აი, მეორე სილუეტიც: თავდახრილი. ფიქრებში წარსული. მისჩერებია ბუხარს ეს წამოწითლებული, ნახევრად მოძლიძარე, სახე გაბადრული კაცი და თითქოს თავისთვის ლაპარაკობს: „ეს რა იქრო ჩავვივარდა ჩელთ, დიდი ოქრო და უძირი 'სღვამე კი გადავუშვით... აფსუს.' და გულის ტკივილით ამოიკვსებს ხვენი ძეცნიერი, ჩვენი ზურაბ ავალიშვილი. შერბე აქონრილ თავს მალლა ახწყვს და ღინჯად. სიძვედ გახსნის თავისი ცოდნის მდიდარ საღაროს და იქედან რაძდენ რაძეს, მოსხიბლავს და ახალს ამოალავებს. მძისე. ხშირად „ძვიგნობრული“ თავისებური ენით. ჩვენი საყვარელი ძიდაკი. ზურაბს ქართველ ენციკლოპედისტს რომ უწოდებს, თავისი კეთილშობილი პროფილით, ეხლაც დიდი ინტერესით ავილებს თვალს მძიძედ მოსაუბრეს... და ქართული ენის ოსტატს არ ღლის ზურაბის შეტად გავრძელებული და გაძნელებული სიტყვები. მაგრამ მიხეილს აწეულ წარბებში ატყობ, რომ ამ ბასის „აზრი“ უფრო არ მოსწონს, ვიდრე ენა.“

ჩანდახან, მართლაც, უცნაურ დებულებას ვისძესთ მისვან. სოგჯერ გაძადნიხანებელსაც. ბატონი ზურაბი ამისკვს ჩვენს უცმაყოფილებას. მაგრამ აუღელკებრივ, ძველი ქართული სი-

დარბაისლით და სიღინჯით შიშვეება თავის რკინის ლოკო-
კას. აჭრის ვით ფოლადი, ცივი ფოლადი... მაგრამ გუბანით
ხვდება. რომ ამ „ცივ კაცს“ გულში ღრმად ჩაფლული აქვს
გზნება დიდი პატრიოტისა. აღბათ ამათ თუ უკარნახა მას მისი
წიგნის ეპილოგში („საქართველოს დასოკიდებლობა“) თეს-
ლეგი ნათელი სიტყვები:

**და დაამარცხა 26 მაისი, მაგრამ ქველი ივერია უკვე აღს-
დგა მკედრეთით, უკვდავების წყაროთი ნაკურები: და მისი
ხელახლად მოკვლა შეუძლია მხოლოდ სულმოკლეობას მისთა
საკუთარ შვილთა...**

მაგრამ ბუხართან ბაასის დროს მის დინჯ და თან შოკვე-
თით წამოსროლილ პუშორში მაინც გაპოსტვივის ერთგვარი
დაუინება. ამოჩეშება: შეიძლება შემთხვევით აკვიატებული
დებულებისა. მის ამ სოგიერთ უცნაურ მსჯელობაზე გრიგოლ
რობაქიძე ჯერ შეირხვეა, შემდეგ თავს ასწევს, სავარძელს
უკან გააჩოიებს, უცებ ჩაძოდება და გახსნის თავის ხატოვან,
წარძაც ქართული ენის საღაროს... სტექს და ქეუხს ჩვენს
გრიგოლი, ყველას გვაჯადოებს მისი პოეტური გასუქებული
არგუმენტაცია...

მაგრამ ხურაბი მხოლოდ უცნაური ღიძილით, უძრავად
მისჩერებოდა ამ „ოქროპირს“ და ბოლოს. ისევ აუხეარებლად
და ცივად შენიშნავს: „ბატონო გრიგოლა, ისტორიული ფაქ-
ტები ძალიან დაშორებული არიან თქვენი პოეტური მიდგომი-
საგან“.

აქ საღვა ამირეჯობის სილაუცი გრძელ ხელებს გაძღის,
შემდეგ გროედსავე. გაძნდარ თითებს რაძოდენიძეჯერ პირზე
ჩამოისვას, თითქოს უნდა გაიღვიძოსო და ნელის. შემპარავი
ნოით (თა არ უყვარდა ხმაძალა დაპარავი) იწყებს ტკბილი,
დარბაისლიური ქართულით, ამბებს:

— საყვარელ ერკვლეს სახლზე; შემდეგ მანანა ორბელი-
ანზე და თქვენც, მასთან ერთად, შორიდებით, შედიხართ სველ
ოჯახთა წრეში. იქ, სადაც „ორბელიანთა სევდას“ საქართვე-
ლოს პალატზე და ყაბახზე. საიათნოვას ბაიათები და საიკო
ორბელიანის მოძხიბლავი ლექური („ქართული“) სცვლის, სა-
დაც

გადმოძღვარან ცაშუბი
სიხქაზე და ვალთებზე...

(სადღვან სომხიზღლელი ლექსებიდან)

ოლოს ამ დავას ჩვენებური სუფრა ანელექს... და ბუხარი ეხლა თავისთვის, ძარტო ფიქრობს და იფერფლება. ყველასი ოცნება და ფიქრები საქართველოს შაისხე ნაკვერიხლექსში ჩაიდვარა და მას ნაცარი გადაეუარა...

დაიკარგა კი? არა! მე ძჯერა, რომ ის თაიგული, — სვე-დათა და ფიქრთა თაიგული, — სამშობლოსათვის უკვდავია. დღეს ის დაშთენილთა გულში ღვივის: ხვალ კი მომავალ თაობის მკერდში აგინგინდება და ასე ჭავა თაობიდან თაობამდე. ვიდრე ქართული ძაჯისცემა არ შეწყდება... ისე, როგორც არ დაიკარგება საქართველოსათვის აღსრულებულთა გაბსუელი საფლავეები...

საფლავეები შორეულ კარავანდაში, ბავარიის პატარა ქალაქ შვარდოფში, სადაც 1944 წ., უკვე ყოველგვარი იძულის გამოთხოვებით, ჩვენი სურაბი საბუდამოდ ძილს მიეცა. და შალვა ამირეჯიბისა პარიზის ერთ-ერთი უბნის სასაფლაოისუ.

გულსე მძიპე ჯვარივით მაწვეს. რომ ამ უკანასკნელს უკანასკნელი თხოვნა ვერ შეეუსრულე. გარდაცვალების წინ ვინახულე, მძიპე ავადყოფი, ძეგობრებით გაჭედელ პატარა ოთახში. ძლივს არხევედა ჩაცვევნილ თვალებს. გათოთხოვებისას იელი დაძიჭირა და ძლივს წაიხურხულა: „თაბარ, ხვალ შოდი, უნდა რაბე გითხრა“-ო.

შეორე დღეს, რადაც მოულოდნელი შემოვდა და ვეღარ მივედი. ხილო მესამე დილით კი გვაცნობეს, რომ საბუდამოდ დახუჭა თვალებით. რა იყო ის, რაც „შიმავალს“ ჩემთვის უნდა დაეებარებინა, დღემდე ვერ ამოვხხენი. არა ნაკლებ ძეანჯავს, რომ ძისი საფლავიც უნახავი დამრჩა.

ასე წავიდსქნ ისინი... გაიფანტა და გაიბნა ძათი საფლავეები, ძაგრამ ძათნი ზრახვანი. შათი ტკბილი ოცნება საქართველოს შაისხე ისევე ღვივის ისევე ათობს ჩვენ ლტოლვილ გულს.

ამ 26 შაისსაც იყო „ძათი გამარჯვებისა“...

1963 წ.



კობა ხოსროელი

კიტა ჩხენკელი

„ულთო იყო მისი სიკვდილი“

თავზარდამცემი ცნობა მივიღეთ შვეიცარიიდან: ქალაქ ციურიხში გარდაიცვალა ჩვენი და ჩვენი ოჯახის უცვლელი ძეგობარი, ქართული კულტურული საქმიანობის დიდი შობამაგე დოკტორი კიტა ჩხენკელი.

უსასღვროდ ჩვენი ძწუხარება. ასე უეცრად რა მოხდა? როგორც სწორედ ამ მოკლე ხანში გვწერდა შეტად გამაძხნევებელ წერილს, რომ მისი და მის მიერ გაწრთვნილ თანამშრომელთა მუშაობა წარმატებით მიდის, რომ ქართულ-გერმანული ლექსიკონის თანრიგი რვეული მალე დაიბეჭდება და „თუ ღმერთი შემეწია და ჯანმრთელობამ არ ძილალატა, 2-3 წელში ამ საქმეს სულ დავაძთავრებ“-ო.

ამის შემდეგ კი მოგვდის გულშეშარავი მოკლე უჩყება, რომ ღმერთმა მას აღარ დააცალა და ჯანმაც უღალატა. მისი, ჭეშმარიტად დაუღალავი მკლავი, რომელიც ათეულ წელთა მანძილზე ყოველგვარი გარეშე ძალის დაუხმარებლად, დუხ-ჭჭორ და უძძიშეს პირობებში, მას ეკლიან გზას უკაფავდა. ეს გამძლე და გამძრჯე მკლავი სამუდამოდ დადუმებულა.

23 წლის მანძილზე, ჩვენი ერთგული ძეგობრობის გზასუ. ვხედავდით, თუ როგორი ძძიშე და აუტანელი დაბრკოლებები და გაჭირვება უნდა გადაეღაზა, რომ თავიც გაეტანა და უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობაც ეწარძობინა. ასეთ სიდუხჭირეში ვაძქონდა მას თავი, მაგრამ ერთი წუთითაც არ ეშვებოდა ფიქრებს და სრუხვას სამშობლოზე... ეწეოდა ივენთი კულტურის გაცხოველებულ პროპაგანდას და მის წარმატებაზე ოცნებობდა და მისთვის იღვწოდა.

ასე დაიწყო მან პაძბურგში. სადაც წარჩინებულად ჩააბარა თავისი სადოქტორო დისერტაცია; ხოლო ქართული ენით

და გრამატიკით სტუდენტთა წრეების დაინტერესება.

თავისი დაუღალავი და ბეჯითი შრომით და საგნის სიყვარულით დიდი ყურადღება დაიმსახურა და უნივერსიტეტმა ის ქართული ენის ლექტორად მიიწვია: აღფრთოვანებით უსმენდნენ მის, ენთუზიაზმით სავსე ლექციებს და ქართულით დაინტერესებულთა წრე ყოველ წლიურად იზრდებოდა. ეს დიდად სასარგებლო შრომა ომის პერიოდში შეწყდა და ჩვენი კიტა ახალი ენერგიით და იმედებით შვეიცარიაში, ციურიხში გადაბარგდა და იქ, უნივერსიტეტში განაგრძო ქართული ენის და გრამატიკის ლექციები.

ციურიხში მალე იჩინა თავი მისმა შრომის უნარიანობამ და ლექციებთან ერთად ის იწყებს ქართული ენის სახელმძღვანელოს და გრამატიკის დამუშავებას, ხოლო ამ შრომის გამოსაცემად აარსებს საგანგებო გამომცემლობა „ამირანს“. სულ მცირე ხანში კიტამ თავისი დაუღალავი მუშაობით შეუძლებელს მიაღწია: ჩინებულად შედგენილი და იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ორი ტომი გრამატიკა გამოსცა. ქართველოლოგიით დაინტერესებული წრენი და ენათმეცნიერნი დიდი ინტერესით შეხვდნენ და წამახალისებელი რეცენზიები უძღვნეს. მალე ამას მოჰყვა ასეთი იშვიათი გემოვნებით შესრულებული გამოცემა „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის თარგმანი (შემოკლებული) გერმანულად, სათანადო, განმარტებებით, რასაც ასეთივე თბილი და გულწრფელი შეფასება ხვდა წილად. კიტას მალე გამოუჩნდნენ მიმდევარნი, ქართული ენით და კულტურით დაინტერესებულთა წრე, რომელთაც დიდად შეუმსუბუქეს მას მძიმე და საპატიო მუშაობა.

ენათმეცნიერების უცხოელ მუშაკთა წრემ დიდი ხალისით მოჰკიდა ხელი კიტას წამოწყებას და ამნაირად შვეიცარიის წარჩინებული უნივერსიტეტის ქალაქში შეიქმნა ქართული კულტურის ნამდვილი კერა, რომელსაც თვით კიტა ხელმძღვანელობდა.

განსვენებულს ამან გააბედვინა, რათა ხელი მიეყო უმძიმეს შრომისათვის და კიტაც შეუდგა ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობას. ლექსიკონის ექვსი რვეული უკვე გამოსცა და სამეცნიერო კერებს და ხელისმომწერლებს უკვე დაუგზავნა.

ასეთი დაუღალავი შრომა და სამშობლო ქვეყნის კულტურისათვის უანგარო თავდადება მეცნიერულმა სათანადო წრეებმა ღირსეულად დააფასეს და მას ციურიხის უნივერსიტეტმა „დოქტორ პონორის კაუზა“-ს ტიტული მიანიჭა; რაც ჩვენი ემიგრაციის ისტორიაში პირველი თუ არა, ფრიად იშვიათი მოვლენა მაინც არის.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო ის დასაბუთება, რისი ძალითაც მას ეს სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. იქ ვკითხულობთ — მისი „თავდადებული მუშაობა და სიყვარული სამშობლოსი იყო ის სტიმული, რამაც მრავალი დაბრკოლება დაამძლევინა“-ო.

მას შემდეგ კიტა გაორკეცებული ენერგიით აგრძელებს თავის შრომას და აქ მას განსაკუთრებით ახარებდა საქართველოს ენათმეცნიერების მუშაკთაგან მიღებული გამამხნეებელი წერილები მისი შრომის ღირსეული შეფასებით.

კიტა ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებდა შრომასა და მუშაობას; ყურადღებას არ აქცევდა თავის ასაკს და ჯანმრთელობას. ქართული საზოგადოებაც მოუთმენლად ელოდა მისი ლექსიკონის ახალ-ახალ რვეულებს, რათა, როგორც განსვენებული იმედოვნებდა, 2-3 წლის შემდეგ ერთად აგვეკინძა. ამ დროს უმუხტლა ბედმა; კიტას ამ კეთილი საქმის დასრულება აღარ დასცალდა.

მძიმე და მტკივნეულია ეს დანაკლისი და მით უფრო მტკივნეული, რომ უდიდესი მამულიშვილის ცხედარი, მარად მშობელ ქვეყანაზე მზრუნველი, უცხო მიწას მიებარა.

ქართულ საზოგადოებას, განსვენებულის ახლობელთ და მეგობართ ის ფიქრი-და დაგვრჩენია, რომ მისი შრომა უშედეგოდ არ ჩაივლის და მას გამგრძელებლები გამოუჩნდებიან.

ჩვენ გვეჯერა, რომ ქართულ საზოგადოებასთან ერთად მის მიერ გაწრთვნილი წრეც იტყვის, რომ გაცხარებული მუშაობის ჟამს „უღვთო იყო მისი სიკვდილი“...

ოქტომბერი, 1963 წ.

(თამარ და აკაკი პაპავა)

დავკიანებული მადლობა

ეს პატარა ამბავი, ჩემი ძველი ვაღლის გადახდას რომ მოითხოვს, 25 წლის გამხდარა: მაშასადამე, მას უკვე მეოთხედ საუკუნის ისტორია აქვს...

ხოლო მისი აღრინდელი ძირი, ნამდვილად რომ ვთქვათ იმდენი ხანისაა; რამდენსაც ჩვენი დროის ქართული ემიგრაცი ითვლის... და ეს ხომ ორმოც-წელს გადასცილებია?

ამ მეოთხედი საუკუნის წინანდელი პატარა ამბავი ასეთი: ბერლინში ყოფნისას ერთ პატარა ქართველ ქალს ვეწვია. მის ოროთახიანი ბინა და სამზარეულო სუფოად, გემოვნებით იყო მოწყობილი. ფანჯარასთან, საკერავ მანქანასთან მჯდომ დიასახლისი თავაულებლივ მუშაობს და აბრეშუმის მშვენიერ თეთრეულზე კოპწიად, იშვიათი გემოვნებით ჰქარგავს წარმტაცი ფერების ყვავილებს. ხუთი თუ ექვსი ასეთი ფაქიზი ნაბეღავი უკვე მზად აქვს და ორი თუ სამიც უნდა სასწრაფო მოათავოს, დააუთოს და დიდ სავაჭრო სახლს ჩააბაროს. იმას, როგორც წარჩინებულ ხელოსანს, კარგ ფასს უხდიან ადიდი ოსტატობით შესრულებულ მუშაობაში და შექმდეგს უფრო დიდი დაკვეთისათვის აჩქარებენ. და პატარა ქართველ ქალი ამ პატარა ბინაში დღე-ღამეს ასწორებს, რათა მეტი ხელფასით უფრო წელგამართული ამოუდგეს გვერდით ქმარს და ასე გაუძღვნენ ყველა მოვალეობას, რომ ამით ქართული ოჯახი ღირსეულად ატარებდეს თავის ტრადიციულ და მორალურ მინაარსს ამ ლტოვილობის წლებში. მაგრამ ეს ქალი არა მხოლოდ თავის ოჯახზე ფიქრობს და ზურანვს, არამედ მას მამულიშვილური წმინდა მოვალეობა მთავარ ამოცანად გაუხდია... თავისი მძიმე შრომით შექუჩებულ გროშებს ის ისე ანაწილებს, რომ ყველაფერს და ყველგან სწვდება. საკმარისი ყურს ჩასწვდეს რომელიმე მამულიშვილის გაჭირვების ამბავი

რომ ის იქ ან თვითონ მიიჭრას, ან ქმარი წარგზავნოს და მორალური, თუ პატერიალური დახმარება გაუწიოს ამ გასაჭირში მყოფს. ეს ხდება უმთავრესად ჩუმად და სწრაფად, რომ გაჭირვებულის სათუთი გრძნობა და ქართული სიამაყე არაფრით შეილახოს...

ამ პატარა ბინაში თქვენ ხშირად შეხვედებით ქართველ მოხუცებს, თუ ახალგაზრდებს, რომელთაც ჩვენი დიასახლისი სამშობლოს ტკბილი მოგონებებით ართობს, ამხნეებს და იქცევს, რომ ლტოლვილობის გაჭირვებული დღეები შეუძსუბუქოს. და მერმე, რამდენ რამეს ასწრებს ამ პატარა ბინის დიასახლისი, რომლის დროს ის თავის მუშოობას, ფაქიზ აბრეშუმზე ქარგვას, არ აცდენს: მხოლოდ ხუთი წუთით, ფრთხილად თუ დასდებს ხელსაქმეს ცალკე პატარა მაგიდაზე, სადაც ათასი ფერი ძაფები უწყვია, და სამზარეულოს მიაშურებს; იქ თავის ქვაბებს და ქოთნებს ათას ქათინაურს ეუბნება, (ხან სტუქსავს) და ამზადებს ქართულ ხარჩოს, თუ საცივს, თუ საგანგებოდ ჰკაზმავს წითელ ლობიოს, რომ სიცილით და ალერსით სტუმარს შესთავაზოს. და იცის, კარგად იცის სტუმარმა, რომ მას აქ დიდი ხანია „სტუმრად“ აღარ სთვლიან და მას ეს პატარა დიასახლისი სავსე გულით, და უფრო სავსე სიყვარულით უმზადებს ამ კერძებს, რათა სამშობლოს გემო და სურნელება, ამ შორეულ უცხოეთშიც იგრძნოს. და სტუმარი არც კი ცდილა ამ დროს წასვლას; იცის, რომ ამით პატარა ქალის ქართულ გულს ის აწყენინებს.

ხვალ კიდევ ვინმე. სხვა ქართველი მიიღებს ამ ზიარებას პატარა დიასახლისის ხელიდან, მისი მარად მხიარული დიმილით და გაშლილი ბუნებით.

ამავე დროს, ეს დედობრივი ქართული ზრუნვა მას არ დაუკლია არც ერთი ავადმყოფი მამულიშვილისათვის და ხელსახოცში გახვეული თევზებით, თუ ჯამებით ხშირად მიუტანია მარტოხელა ავადმყოფისათვის მისი საყვარელი კერძი და ის მწოლიარესათვის გაძიხდარა ნამდვილი და უებარი წამალი. ისე ვით ამ ქალის ტკბილი ქართული სიტყვა და ზრუნვა.

ეს პატარ ქალი რა რიგად ცდილა ყოველი ქართული საქმისათვის. ქართული ბუდის და კერის გამდიდრებისათვის უცხოეთში: რათა ქართული ღირსება, ნამუსი და პირობობა.

მისი ძველი კულტურის ნაყოფი, ევროპიელს ნათლად დაენახა და უდიერად არსად მოეხსენებინა: და ის ამ ეროვნული დოვლათის შენახვა-გამოვლინების საქმეშიც ნამდვილ „დიასახლისობას“ იჩენდა, როგორც ოჯახში. ისე საზოგადოებაში.

†

და იმ ჩვენი სტუმრობის დღესაც, ის ისევ ძველებური ხალისით მომეგება, ათასი ამბავი მომიყვება და მეც მომეყოლა: ხოლო ამ ხალისიან პაუზებში, ჩემთვის იმერული კერძის შესაკაზმავად, ბაასის გაგრძელებით, სამზარეულოს მიაშურებდა და სუფთა წინსაფარს შემოირტყამდა. და იმ დღეს ის ხშირად მელაპარაკებოდა და თან მოხერხებულად, ოხუნჯობით „გადამკრავდა“ ჩემი ახლად გამოსული წიგნის შესახებ: „კარგია, კარგი, ჩემო თამარ; მაგრამ სულ ძველი, წარსული დროის ქალებზე რომ სწორ, ჩვენ ვითომ რა დავაშავეთ?.. განა ჩვენ კი არ ვართ კარგი ქართველი ქალები? განა ჩვენ კი არ ვემსახურებით ჩვენ ქვეყანას და საქმეს, რითაც შეგვიძლია! სხვა ასპარეზი დღეს. საუბედუროდ, აღარ მოგვცეს და რაც მოვალეობა გვაწევს; მგონი ჩვენი ქვეყანა არ შეგვირცხვენია... თუ რას ფიქრობ შენ? მაინც და მაინც ისტორიული უნდა ვიყოთ, რომ ყურადღება მოგვაქციოთ? გვაცალეთ, თუ ერთი ამდენი მოგვიხდა აქ ყოფნა, იცოცხლე! ჩვენც „ისტორიული“ გავხდებით და იქნება ჩვენი „გათხრებიც“ მოახდინონ ერთ დროს“...

ასე იტყოდა ეს ქალი ამ მეოთხედი საუკუნის წინ და ამ „ოხუნჯობაში“ ბევრი ჭეშმარიტება მოეთავსებინა ჩვენ „პატარა დიასახლისს“... ამ „ოხუნჯობას“ გემრიელ, ჩვენებურ სუფრაზე ასეთი მოხერხებით ამთავრებდა: „აი, ეხლა ჩვენ ვადღერძელოთ ჩვენი თამარ“ — ეტყოდა დამსწრე შინაურ-გარეშეთ, — „ვთხოვთ: ერთხელ ჩვენი ემიგრაციის ქალებსაც ვადმოგვხედოს და ვუსურვოთ, რომ მას მეორე სერია ეძღვნას „პატარა სახეებისათვის დიდ ჩარჩოებში“...

ეს ოხუნჯობა სხვებმა მას მოუწონეს, მე კი მან გამაწითლა და თან ჩამაფიქრა.

და აი, მეოთხედი საუკუნის შემდეგ ვგრძნობ, რომ ამ „პატარა დიასახლისის“ პატარა დავალება შეუსრულებელი დამრჩა. და ამის გამო მე მის საფლავს ბევრჯერ ვთხოვე პატიება.

ის, დიდი ხანი აღარ არის, დიდმა უყუარებმა, დაუარსებელმა ხრუნვათ და ჯაჭვად აღრე გასცემა, მაგრამ ათი ქართული ბუნება, მისი ქართული ქალის სიტყვები და რეაქცია ათლომდე არ შეწყვეტა.

ეხლავე, როცა მე მის საფლავს პაციენტს ვთხოვ, ის ცოცხლად მიდგას: ძველებურად მოღიპარი, თავახიანი, ვაშრჯე, მაღალი შორაღის მატარებელი, გაძვირებული, ასეა და გატანი... ნაძვლიანი „ქართველი დედაკაცი“, და მაგონდება, რა როგ უყვარდა ილიას მაღლიანი და ძარილიანი სიტყვები, ქართველ „დედაკაციზე“, ქართველ „დედაზე“, „დედა-ასრზე“ და „დედა-ბომბე“...

ეს პატარა დიანაილისი, უსამშობლოდ დასთქმული, ყოველ ქართველს „სამშობლოს უქმნიდა“ და ამით კვებდა და აცხობდა და დიდსა და პატარას...

და ეს პატარა ქალი გახლდათ აღექსანდრა (საბა) ფიჭვის ასული, მკუდრე რომან გეორგიანი.

†

და განა ის ძარტი იდგა? განა თითქმის ყოველი ქართველი საფრანგეთში და საერთოდ უცხოეთში გადმოივქცილი, ასე ბეჯითად არ დასტრიალებდა თავის პატარა კერას? ასე მხნედ და თან ამაყად არ უდგას გვერდით თავის მკუდრეს და თავის შვილთ და არ ხრიდა მათ შუღას ქართული ტრადიციებისაკენ?

ვის მოსთვლის: რამდენი შრომა, რამდენი გაჭირდება, შიში, დევნა-დაძვირება, შიშისილი და სიცოცხე აიტანა მან ამ ორმოცი წლის მანძილზე... მაგრამ, აბა, შიშხარით, თუ მათ რითიძე და ოდესმე შებღალეს, დააძვირეს, ან შეღახეს ქართველი ქალის და დედის ძველი ღირსება?... დაიდეთ გულზე ხელი და რომანკო: განა ცოტას გარგოთ მან ქართული „მშური ბუკეტი“ მშური სიტყვა? კეთილი დახსარება? განა ათასი ჭირის დროს არ იყო ის ნაძვლიანი „ჭირისუფალი“?

და განა ბევრი მქონდა მას ამ დევნაში და მჭირობაში ამისი შესაძლებლობანი?

არა!... მაგრამ მას მქონდა სდიდარი ქართული გული და მისი „გვდიასახლისობდა“: ქართულ გემოს, ქართულ ძაღლია

გამძლეობასა და მხნეობას უხვად გვარუქვევდა და დღესაც იმ ქართველი ქალის სიყვარულით და ძნრუწკელობით გვიშუქებს იგი ჩვენს ლტოლვილობის მწარე წლებს: დასტრიალებს, უვლის სსუელთ და დავრდომილთ, ეკლესიას, სასაფლაოს, დიდსა და პატარას; საყვარელი სამშობლოს მოგონებას ის ხატად ჩაუძევებს თვითულის გულში... *

„რა უბედური გამხადა დმერთმა!“ — შემომჩივლა ერთმა ღირსეულმა და ყველასათვის პატივსაცემელმა ქართველმა ქალმა ლევილში (ამ ქართველთა „სვესვიატსკაში“), ნაძეცია გოგუაძისამ, — „ყველა ჩვენ ავადმყოფთა შოვლა-პატრონობა მიხდება და მერმეთ, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ცხედარის გაპატროსნება, კუბოში ჩასვენება და დატირება“...

და ამას ეს ღირსეული მანდილოსანი კი არ იტყვის ვისშეს სასაყვედუროდ, არამედ იმიტომ, რომ მან მეტი ვერ შესძლო. უძლური იყო, რომ ეს საშინელი სიკვდილი სხვის მიწაზე, საყვარელი მუზობლისათვის თუ მეგობრისათვის აეცდინა და მწარე გულისტკივილით მისთვის საშუდამოდ უნდა დაეხუჭა თვალები. ეს ქალი, ნაძეცია გოგუაძისა, ჭემპარიტი დედაა და პატრონი მათი, ვისაც ბედმა ყველანი ჩამოაცილა და პატრონობა შოაკლო...

და ვიძკორებ: ასეთები კიდევ შრავლად გვყავდნენ ამ ლტოლვილობაში და გვეყვანან დღესაც უჩინარნი: ჩუბი და თავდადებული მუნაკნი, ქართული სულით და ქრისტიანული გაცითხზაობით მსყდელნი ამ კკლიანი გზით და დღეს მაინც მინდა თქვენ ყველას გახივოთ: ჩემ „დაგვიანებულ მადლობას“ სათიდაში, სემოუეროდეთ...

7

მაგრამ ქართველ ლტოლვილთ ბედმა მარტო სიძწარე როლი არგუნა: ჩვენ გავრძელებულ აქ ყოფნას ზოგი სიტკბო და ძაღლიც დაეძიხვა. ჩვენ ძვირულ წლებში ჩართულია ზოგი ეკრადი და სურსენლოვანი ყვავილები და ჩვენ აქაც ვდღესასწაულებართ: იუბილეა, დღეობას, სიმშობას, კორწილს და ხშირად ქართულ ეკლესიობასიც...

და ეს დღეები არა მხოლოდ აღამაზებენ სვენ ძწარე ყოფას, არამედ მას ქართულ, რველებურ იერს და ბუნებას უნახავენ.

აი, ჩინ მიდევს პარიზში უხლახან გამართული მასშტაბი
ეროვნული დღესასწაულის, ხუვნი 26 მაისის, დიდი წარმადე-
ბით ჩატარებული, საღამოს ანგარიში. ეს ცნობა იყენ შობა-
ლოური სიკვბოთი გვაგვებს... შოგვესთი ქართული ათადი თა-
ობის წარმცეცი ხმები: „დიდება... „იავნანა“, და სხვა: ვიკლავთ
ამ ღამას ქალ-ვაჟთ ეროვნულ ტახისაცემელში „ქართულს“ რომ
ეკლიან. და ხუვნი შგონების დეკსებით რომ შეკვეკვლებს...

და ყველაფერი ეს დიდ სიამესთან: დიდ იმედებს ბადებს.
რომ გზა იყენი დედების დირიჟულად გრბელდება. ...

აქაც რომ სენი ძობიყვარულე და მადღამთი ბელმ იან...

კურთხეულ იყოს ეგ სენი ხელი, ქართულად დედამ, გაღო-
იკვბობობამიც, რომ ასე ერთგულად ზრდის და აღარაფროს
ქართულ სულს...

გუქმთიილად, სამთობლან გარეთ, ამ თრბმეტი წლით აკლდე:

რა დიდი დამე გასულა,
შენ კი სძილ-უხიზლით კურახე.
ეგ შენი გლოვა უუღლმა,
ვითხოვ, შეგიცვადის მღერახე...

(ვ ა ე ა)

1962წ



ქაქუსა ჩოლოყაშვილი

ქაქუცა

პარიზის ქუჩებში ჯერ კიდევ მხნედ და იმედიანად დაქროდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. აი, აქ შემოჭრილიყო ხრძალ გარდატეხილი ჩვენი გმირი თავისი შეფიცულებით...

ეს თიანეთის მთებში და ხევსურეთის ციცაბო კლდეებში თამაშად მონაგარდე ვეფხი, ასე გააფთრებით რომ ებრძოდა რუსთა ბატონობას, ეხლა აქ, პარიზში აპირებდა ამ ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ ეხლა ველარ ერკვეოდა ამ ახალ, რთულ ვითარებებში. და ვერ გაეგო, თუ რისთვის და ვისთვის უნდა ყოფილიყო საჭირო მისი და მისი შეფიცულების ასე უმოქმედოდ ყოფნა ამ დიდსა და უგულო პარიზში? რად ჩააგდეს აქ ეს მთისა და ხრძალის ვაჟკაცნი ამ ორომტრიალში? და ბოღმით აღვსილი, დაჭრილი ვეფხივით ასკდებოდა იგი პარიზის დაუსრულებელ ქუჩებს და მის ყრუ კედლებს... და დღეს უღიმო, ღვინოში ანელებდა ანთებულ ჟინს ბრძოლისას და შინ ახშობდა შურისძიების წყურვილს.

შეურიგებელი და აჯანყებული საქართველოს ბელადი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი შორეული ნათესავი იყო ჩვენი ოჯახისა; მე კარგად ვიცნობდი მის მშობლებს, მის ცოლ-შვილს და ნათესავობას.

კახეთში ყოფნისას მისი ხშირი სტუმარი ვიყავი და ის კიდევ — ჩვენი. მრავალი კარგი დროება გავგიტარებია ერთად ჩვენ ოჯახებს, ბევრი „ლეკური“ ჩამოგვივლია შუა მთაში, ხატობაში და ალავერდში. და მერმე, როგორ უხდებოდა ეს რაინდული ცეკვა ამ მშვენიერ ვაჟკაცს! მე თუმცა არასდროს არ ვყოფილვარ დიდი მოლექურე, მაგრამ შეყვარებული კი ვიყავი ამ ცეკვაზე და ვცეკვავდი ისე, როგორც ყველა ჩვენში. მაგრამ ვცეკვავდი მუდამ გატაცებით, იმიტომ, რომ ქართული „ქანკები“ მუდამ მაგიჟებდა; სადღაც შორს, გულის სიღრმეში სწე-

დებოდა მისი ხმა ჩემ აღტკინებას და არ ასვენებდა... და შეც, ამ იდეალური ხმებით მოჯადოებული, ვუვლიდი და ვუვლიდი „ქართულს“...

აი, ასეთი გიჟური „ქართული“ მე და ქაქუცამ დავეუარეთ მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის სახელმწიფოებმა იცვნეს. დაუვიწყარია ის ნეტარი დღე მთელი ჩემი სიცოცხლის გზაზე: ქართული კლუბის დიდ დარბაზში სანახებო შეჯღისი იყო გამართული; მთელი საქართველოს წარჩინებულნი იყვნენ მაშინ იქ შეკრებილნი, რათა ენახათ და მოესმინათ საქართველოს ეს ისტორიული ამბავი მისი სკვდრეთით აღდგომისა. ახ, ნეტავი იმ დღეს! და აი, შეც, იქ ნადიმის ხელმძღვანელთა დავალებით, უნდა წარმოშეთქვა ქართველი ქალების სახელით სიტყვა.

შეტად ძნელი იყო ჩემთვის ეს დიდი და საპატიო დავალება, რომელიც წინაწარი გაფრთხილების გარეშე, გამოაცხადა ამ დარბაზობის ხელმძღვანელმა ბენია ჩხიკვიშვილმა, ქალაქ თბილისის მოურავმა. ძაგრამ აბა, უარი როგორ უნდა შეთქვა? შით უშეტეს: მთავრობა, პარლამენტის წევრები და უმაღლესი სტუმრები, ყველანი ერთბაშად შემოსყურებდნენ და ქართველი ქალის თქმას ელოდნენ. რა ვთქვი მე მაშინ? კარგად არ მახსოვს, ან რას იტყოდა ქართველი ქალი, მისი სამშობლოს სკვდრეთით აღდგენის დღეს! და განა ეს ცხადი არაა? თუ რას უყარსახებდა ქართველ ქალს ის დაუვიწყარი დღე, განა განძარტებას შოითხოვს? გადმოვშალე ქართლის დედის გული და გადმოვღვარე მასში ნაგებარი გრძნობა...

გავათავე ჩემი სიტყვა და ის იყო მაგიდას ვუბრუნდებოდი, რომ გაისმა ციური ხმები: დოღმა და სახანდარმა „ქართული“ გაახალეს... და ამ დროს, როგორც არწივი მოსწყდება ხოლმე მთის ნაპრალს, ისე მოსწყდა ქაქუცა, ერთი დაუარა, ჩემკენ გამოეწურა და გაძიწვია... მას სცვლიდნენ ჩუენი ახალიგაზრდა ვაჟაკები. მავ ჩოხაში გამოწყობილი ოფიცრები: ყარაღაშვილი, ანტ. ცაგარელი, ყარანგოზაშვილი, წერეთელი და სხვანი. ახ, რა იყო ის როკვა — გიჟური აღტაცება... ეს იყო გამარჯვებული საქართველოს ღიადობა და ნადიმი... და აქამდე იასრია გულისი, როგორც უცხო მარგალიტის მარცვლები...

ამის შემდეგ ქაქუცას დიდ ხანს აღარ შევხვედრია; იგი მსახურობდა ქართულ ჯარში და მეც თბილისში ჩემი სამსახური მქონდა, ვმსახურებდი ქალაქის ავთიაქში, და ჩვენი შემდეგი, სულ სხვა გვარი შეხვედრა, მოხდა ძაპით მოცულ საქართველოში, 1922 წელს, შემოდგომაზე, კახეთში. იქ მაშინ რაველი იყო. ოქროს თვალებივით ელვარებდა მდიდარი ზვრები კახეთისა. ჰაერში ღვინისა და მწიფე კომშის სუნი იდგა. და როდესაც ჩემ პატარა ვენახს თავს დაეკრიალებდი და ჩურჩხელებს ვაკეთებდი, ერთ დილას ჩვენი კურდღელაურის შუკაში „გიგოლას“ „ლინეიკა“ შემოგრიალდა...

(გიგოლა ჩემი მეზობელი იყო; წვრილი ცოლშვილი ჰყავდა.. მე ვუნათლავდი შვილებს. ტომით სომეხი იყო, მაგრამ სრულიად გაქართველებული. „ერთი „ლინეიკა“ ჰქონდა და ამით ოჯახს არჩენდა. სულ კი მთვრალი იყო).

მუდამ შესარხოშებული ჩვენ „გიგოლას“ ქუდი ქეჩოზე წამოედო განზე წასული სახით და დაბოხებული ხმით შემომძახა: — ქაქუცამ გამომგზავნა, გთხოვთ უთუოდ ამობრძანდეთო... ხვალ ყველანი კნიაზიანი ოჯახობითა ალავერდში მიბრძანდებიანო...

იმ დროს ქაქუცას თავისი რაზმი უკვე შემომტყიცებული ჰყავდა. ბრძოლა დამპყრობელ ხელისუფლებასთან თან და თან მწვავედებოდა; საჭირო გახდა ახალ გზაზე გადასვლა: ქართული ღირსების საკითხი კვლავ ჩვენ ძველ ხრმალს უნდა გარდაეწყვიტა... და ქაქუცას რაზმი, ალავერდობაზე გაღაფანში რომ შემოვიდა, იქ მოგროვილ აუარებელ ხალხს ეკონა. ქაქუცა საქართველოს მთავრობისაგან წარმოგზავნილი არისო, რომ ხალხს საქართველოს განთავისუფლება უნდა ახაროსო...

დაუფიწყარია ის დიადი წუთები, როცა ქაქუცა თავისი რაზმით გაღაფანში შემოვიდა. უცებ მთელი ხალხი მუხლზე დაეცა და ყველამ ერთად დაიძახა: „საქართველოს გაუმარჯოს“!

მაგრამ დახე ბედს: საქართველოს თურმე რუსები ძველებური ხიშტებით დარაჯობდნენ, ხოლო ისტორიული ალავერდის გაღაფანს კი — ქართველი იუდეები...

ქაქუცას და მის რაზმს არ მოეცილებივარ მთელი ათი დღის განმავლობაში: მისი ოჯახობა და ნაცნობ-მეგობრები

„ლინეიკით“ წინ მივდიოდით და უკან კი — ქაქუცა და მისი ერთგულები მოგვეყვებოდნენ ცხენებით. ასე მივდიოდით ერთი სოფლიდან მეორეში, ნათესავეებთან და მეგობრებთან. ყველგან იყო რთველი და მაჭრობა და გულუხვი მასპინძლობა!..

სადაც კი მივიდოდით, მთელი სოფელი თავს იყრიდა და თითქოს ნამდვილ შეფიცულთა კრებები იმართებოდა. ყველანი კითხულობდნენ ამბავს — საქართველოს ამბავს — და ამავე დროს, ქაქუცას, როგორც მხსნელს და ბელადს შეჰყურებდნენ... და ასე, ათი დღე გაშლილი და თავისუფალი ღზინი იდგა: გაისმოდა გაბედული სიტყვა-პასუხი, თან „დიდების“ ჰიმნი სჭექდა კახეთის სოფლებში... ქაქუცას კი ეჭირა ხელში საქართველოს დროშა... შემოდგომის მზე, ოქროს ბრწყინვალეებით, ცაში ელვარებდა...

ასე, შემოდგომაც მიიწურა; ცა მოიღუშა და ქაქუცაც ტყეში გავიდა... საქართველოს აღდგომისათვის მებრძოლთა ბელადმა ეროვნული დროშა ეხლა შიგ ტყეში შეიტანა; იმ ტყეში სადაც არა ერთხელ მისნი წინაპარნი იმავე დროშით თავს აფარებდნენ და ბრძოლისათვის ხრმლებსა ლესავდნენ; და ქაქუცამ განაგრძო ბრძოლა ტრადიციულად.

შემდეგ მე ევროპაში წამოვედი და აი, ბოლოს, აქ უკვე ქაქუცას, სხვა უცხო სახეს შევხვდი პარიზში. თითქოს მებრძოლ საქართველოს ბელადს ბრძოლის ასპარეზი გამოაცალეს. ოცნება წაართვეს; და ეხლა ფრთებმოტეხილ არწივს, ცეცხლს ღვინო უნელებდა და სიმღერა — მორეულ ცრემლს უშრობდა.

— გახსოვს, თამარ, ალავერდობა? — მეუბნებოდა ის პარიზში, ჩვენი სკვდიანი ნადიმების დროს. დაბალი, მთრთოლვარე ხმით...

— გახსოვს, თამარ, 26 მაისი? ის პირველი 26 მაისი?

— გახსოვს, თამარ, შუამთის დღესასწაული?

— გახსოვს, თამარ, ხატობა და ჩემი გაჭრა ტყეში?..

— ხომ გახსოვს ჩვენი ცა რა ფერისაა? რამდენი ვარსკვლავებია! რამდენჯერ მითვლია ისინი ტყეში, მიწაზე რომ ვიწეკი და ძილი ვერ მერეოდა.

— გახსოვს, თამარ, ჩვენი საქართველო? კარგად გახსოვს? კრულიც იყოს აქ სიცოცხლე! იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის. თამარ?


ოღონდაც, მეგობარო!

ღრმა და უზომო იყო მაშინდელი შთაბეჭდილება; გულში ველარ ეტეილ-ვერც ნახული და ვერც გაგონილი; და ჩქარა სახლისაკენ გავეშურე.

— ვერ გაგიმართლდა, მეგობარო! გარდატყდა ხრმალი შენი, მაგრამ გაგრძელდნენ საქმენი შენნი...

პარიზმა თითქოს გვერდზე მკრთალად ჩამირბინა და იმის აქეთ სულ სხვა, უფრო დიდი და უძირო რამ მელოდა... ასე დიდი იყო ის სევდა და მწუხარება, რომელიც ვიგრძენი მე მაშინ ჩემი თანამემამულეების ნახვით...

ამ არეული შთაბეჭდილებით სვედიანმა დავტოვე პარიზი.



ქიქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლი სენტ-უანის სასულიერო

ფიქრები

წამებულ დედოფალ ქეთევანზე

(ერთი წიგნის გამო)

წელს, 13 (26) სექტემბერს, შესრულდა 339 წელი მას შემდეგ, რაც ჩვენი სასიქადულო სასოება, დედოფალი ქეთევანი, ქართველი ერის მტრებმა შირაზში საშინელი წამებით მოჰკლეს...

ამ „ღვაწლ მრავალსა და სამგზის სანატრელს, დედათა შორის ახოვანს, დედოფალს და მოწამეს, ყოვლად ქებულ ქეთევანს“, როგორც მას „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს, დღემდე შეუწყვეტლად და განუხრელად ადიდებს ქართული ეკლესია; 1963 წელსაც „საქართველოს ეკლესიის კალენდარში“, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ეფრემ მეორის პასუხისმგებლობით გამოუციათ, ვკითხულობთ:

„13 (26) სექტემბერს — დღე წმ. დედისა მოწამისა, საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა (1624 წ.). მისი ნაწილები დასაფლავებულია ალავერდის ტაძრის ტრაპეზის ქვეშ“.

ეს ჩემი წერილიც უმთავრესად ქეთევან დედოფალს შეეხება; მაგრამ ჩვენ იმდენად ვერ გავკადნიერდებით, რომ ამ უამად დიდი მოწამის და „საქართველოს მნათობის“ ცხოვრების და ღვაწლის ვრცელი აღწერა ვაკისროთ.

ამას სხვა სამზადისი და მუშაობა უნდა უძღოდეს;

ეს წერილი, უკეთ რომ ვთქვათ, „ფიქრები“, გამოიწვია საქართველოდან მიღებულ ერთი წიგნის წაკითხვამ: წიგნისა, რომელიც 1945 წ. გამოუციათ და რომელიც უმთავრესად ჩვენ სათაყვანებელ, წამებულ დედოფალს, ქეთევანს შეეხება.

უნდა გამოვტყუდე, ცოტა ეჭვით, უხალისოდ და უნდობლად ავიღე ხელთ ეს პატარა ზომის წიგნი, რომელიც ჩემმა კეთილის მყოფელმა ქალმა თბილისიდან მიფეშქაშა და თან მომწერა: „წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ დღესაც ქართველი ქალები ძველ, სახელოვან ტრადიციას მისდევენ და იცავენ“-ო. მაგრამ თავიდანვე ორი გარემოება უშლიდა ხელს ამ წიგნისადმი ჩემ „კეთილგანწყობილებას“; ერთი ის, რომ ამ მწერალ ქალს, წიგნის ავტორს, არ ვიცნობდი; მეორე მიზეზი კი თვით წიგნის გარეგნობა იყო: უფერული, ცუდ ყდაში, თითქოს „შიშისაგან გაფითრებული“, მდარე ქალაღზე, უგემურად და ულაზათოდ გამოცემული; წიგნს ახლდა ავტორის სრულიად მკრთალი სურათები; ამავე დროს სათაურიც ცოტა უცნაური: „ლიტერატურული მედალიონები“. ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება, როდესაც წიგნი ავიღე და გადავფურცლე. მაგრამ... და აი, სწორედ ეს „მაგრამ“ არის, რომ სწრაფად მალეზინებს კალამს, რათა ჩემი უნებლიე შეცდომა მოვიზინაო და ყველას ვაუწყო, რომ ამ მკრთალი და ფერწასული წიგნიდან უეჭველად თვალსაჩინო ნიჭის პატიოსანი ახალგაზრდა, მჩქეფარე და აღზნებით სავსე, მშვენიერი სახე გამოიყურება; თუ უფრო დაკვირვებით დააცქერდებით ამ მწერალი ქალის ნატიფს, ქართული სინაზითა და თავდაჭერილობით მომღიმარ სახეს, მისი სევდით სავსე თვალების უკან უცნაურ იერს შეამჩნევთ... თითქოს ისინი წინასწარ გრძნობენ, რომ განცდები, „ჩანაფიქრი და ათვისებული“ ბევრია, ბევრია საოქმელი და გასამხელი, მაგრამ მისი ცხოვრების გზა კი ასე მოკლეა: თითქოს მას უღმობელი სენი შესდგომია და უკვე ღრდნის მისი სიცოცხლის ნორჩ ფოთოლს, რომელს საცაა ძირში მოსწყვეტს... და როდესაც მის „ლიტერატურულ მედალიონებში“ დაკვირვებით ჩაიხედავთ, იქ იპოვნით უმთავრესად „ჩაკვეთებს“, „ფრაგმენტებს“, რისი გაშლა და დამთავრება მას სწყუროდა და რაც მან ჩვენ ასე დაგვაკლო.

მეც უხომოდ ვწუხვარ ამ ავტორის. ქეთევან ირემაძის, ასე უწალოდ დაღუპვას; ავტორის, რომელმაც მხოლოდ 33 წ. იცხოვრა და ვერ მოასწრო თავისი აღზნებული ნიჭის გაშლა, თუმცა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შეუდგა და დაეწაფა უცხო ენებიდან თარგმნას. ალბათ ამიტომ დარჩა დაუმ-

თავრებული თავისი ყველაზე საინტერესო ისტორიული რომანი შესანიშნავ ქართულ ქალზე. საქართველოს ღირსებისათვის ჩაბუთულ ქეთევან დედოფალზე...

წ

მქერალი ქეთევან ირუშაძე მართლაც იწვიათი გაქანების ხელოვანი ყოფილა და პოეტ იკადემიკოს გ. ლეონიძეს სამართლიანად უთქვამს, რომ „ის იყო ჭკუბარილად ქართველ ქალთა რჩეული, ნიჭიერი, განათლებული, დიდი მოაზვალის მქონე; თან მოკრძალებული, მუდამ მშრომელი. მუდამ გულისხმობი და თავანთიანი... რომ ის იყო საბაბო ჩვენი ქართველ მქერალთა რიგებისა, რომელიც ორიგინალური მამრობები და თარგმანები დიდი სუბაქსია ქართველ მქერლობისათვის. მისი გამაძლიერებელია“... და რომ „ახვთ მქერალს საუღავეს მაგიერ“ — ჩვენს საბაბო პოეტის გასოქმით — „მკურდნი ნაკრავს ის ქართველი დედები, რომელთა სახელის გასამსხუერებას ძან ამდენი შრომა სესჯირა. სიკვდილმა ეს ქალი აღრე დააჭვნო, მაგრამ ქართველ შვიანთა გულში იგი მუდამ დაუჭვნობელი დარჩება“—ო.

როცა ამ უდროოდ ჩარსული ქალის მადლიან კვალს გავეცანით, უფრო ღრმად შევიგრძენით დღეის მქერლების და კერძოდ გ. ლეონიძის დიდი დამტყუბრება ამ დანაკლისის გამომართლაც, სულ რაღაც ათი წლის მანძილზე ამ ქალს რამდენი რამ მოესწრია, შეუქმნია, ხოლო უფრო მეტი კი შეუწხადებია, ჩაუფიქრებია და ყველა ეს სას ქართველ ეალთა სახელის შესამკობად მიუძღვნია.

დიდი დავირვებით და უფრო დიდი მოკრძალება-სიყვარულით გადაუშლია ავტორს ღვაწლი და შემოქმედება სოგ დავიწყებულ ქართველ მოღვაწე ქალითა. მისი მონოგრაფიები აცოცხლებენ ბარბარე ჯორჯაძეს, ნინო ორბელიანს და კვატერინე გაბაშვილის სახეებს; ნათელს ჭვენუს მათ უძქიკვლო და თავდადებულ ღვაწლსა და შემოქმედებას.

ამავე დროს, როგორი იწვიათი ხელოვნებით უთარგმნია მას უცხოელი მქერლები, ბაღსაკი, შერიძე, დიუბა, ტინიანოვი და სხვანი...

ჩვენი სახელოვანი დედოფალი ქეთევან, ქართველმა ერმა და მატეიანემ ხომ უკვდავ გმირად გამთაცხადა: უფრო მეტიც,

ის სასოებით წმინდანთა რიცხვში ჩარიცხა. ქეთევანი მან წმინდანად ჩარიცხა, წმინდა ნინოს და დიდი თაპარის გვერდით დააბრძანა.

†

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე გულისხმიერი და დიდად ამალეულებელია ნაკვეთები მისი დაუქთავრებელი რომანიდან: „ქეთევან წამებული“, რასაც ამ პატარა წიგნში ვხვდებით.

არც უცხოელთ გამოჩენიათ მისი ღვაწლი. როგორც ვიცით, იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელილა ვალემ თავის დროზე ქვეყანას მოჰფინა ამ შესანიშნავი ქართული ქალის გპირული თავდადების ამბავი. იმ ამბების უმუალო მოწმემ, დომინიკანელმა გრიგოლ ორსინიმ მაშინვე აღწერა შაჰაბაზის ჯალათებისაგან ვერავული წამება და აღსასრული ქეთევანისა. ცნობილმა მწერალმა გრაფიუსმა კი ქეთევანის ცხოვრება და წამება ისტორიულ დრამად გადააკეთა და დიდი ხელოვნებით გაშალა. ამით მან მსოფლიო რესონანსი მოუპოვა ქართული ქალის შეუდარებელ სიმტკიცესა და თავგანწირვას მამულისა და რჯულისათვის.

ამის გარდა, ჩვენმა მკვლევარმა და მეცნიერმა ზურაბ ავალიშვილმა თავის წიგნში: „წამება ქეთევან დედოფლისა“ (პარიზი, 1938 წ.), პირველად გამოავლინა ბერძენი ბერის, გრიგორის წერილი აბატ სოფრონისადმი, 1626 წელს დაწერილი და 1632 წ. ბერძნულად (ლათინური თარგმანითურთ) ამ წერილის ცალკე გამოცემა. ამ წიგნში ზედმიწევნით არის გადმოცემული ღვაწლი და მოწამებრივი აღსასრული ჩვენი დედოფლისა.

ერთი წლის შემდეგ, 1633 წ. ეს წიგნი ინგლისურად უთარგმნიათ და ოქსფორდში გამოუციათ (იხ. ირ. კენტოშვილის წერილი: „ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე“, „მნათობი“, 1962 წ.). თითქმის იმავე დროს და ცოტა მოგვიანებითაც ქართული კლასიკური მწერლობაც, დაწყებული ქეთევანის სახელოვანი ვაჟის, თეიმურაზისაგან, დიდი ხელოვნებით და გულგამჭირავი სინამდვილით აგვიწერს დედოფლის საგმირო ამბებს. ამასთან: მრავალი ჰიმნი, შესხმანი და გალობანი შარავანდედით ამკობენ ქეთევანის უჭკნობ შშვენებას. მათი ავტო-

რებია: არსილი ქუფე, სუღიხან-საბა ორბელიანი. ძღვდეღა-ძონა-
'სონი კოსპინი (ძაძა კოსძა იყო შვიგნობართ-უხუცესი კახთა
ბუფისა. ამან გამოთქვა 'სუხსბა ქეთევან დედოფალსუ და სხუ-
ვეითბულობთ „მცირე უწყება“-ში), დიმიტრი ბაგრატიონი,
ნიკოლოზ თბილელი, ანტონ კათალიკოსი და სივანი შრავა-
ვალნი. უფრო ბოლო დროიდან აღსანიშნავია აღქერა ქეთევა-
ნის ღვაწლისა და წამებისა და მისი „შესხება“, თქმული ძ. საბი-
ნინის მიერ (იხილეთ „საქართველოს სამოთხე“).

†

ეს დიდი კულტი ქეთევანისადმი 'ნებდევში თითქოს მინულ-
და და სვენნი შერმინდელი შწერლები საკმაო გულისხმიერე-
ბით და აღგზნებით ველარ ასახავენ ქართველი ერის ამ საბა-
ყის, მიუწვდომელ სიძაღღესუ ძღგომ ქეთევანის ცხოვრებასა
და ძოღვაწუობას. მაგრამ ამ ბოლო ხანებში, სვენდა სასიხა-
რულოდ კვლავ იღვიძებს სიყვარული და გატაცება სვენნი ის-
ტორიული დიდი პიროვნებების მიძართ. ამ შხრივ შესანიშნა-
ვია: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდ ოსტატის კონსტანტი-
ნეს შარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“:

ღევან გოთუას „გშირთა ვარამი“;

გ. აბაშიძის „დიდი ღამე“;

მის. კეკელიძის „ბრწყინვალე ვარსკვლავის შაძიებულნი“
და სხვანიც, დიდი ნიჭითა და ცოდნით რომ ამუქებენ სვენს სა-
ამაყო წარსულს და „ქართლის ცხოვრების“ შესაჭეთა გთირულ
თავდაღებას. მაგრამ „ღვაწლი და წამება“ წშიდა ქეთევანისა
ჯერ კიდევ ელის თავის დიდ ხელოვანსა და აღქერს. ღ. გო-
თუას „გშირთა ვარამში“ წამებული დედოფლის ცხოვრების
შხოლოდ პირველი წლებია გამუქებული: მაგრამ შეძღევი ღვაწ-
ლი და მთელი მისი სახიერება შოითხოვს ფართო ტიღოს და
დიდი ხელოვანის კაღაშს. შესაძლებელია სვენს ნიჭიერ შქე-
რალს განსრახული აქვს ეს საბატო ამოცანაც ისეთივე წარ-
მატებით შესარუღოს, როგორც „გშირთა ვარამი“-ს ოთხ წიგ-
ნში შესძღო.

ღღემღე არ გავცნობივარ ვ. გაბესკირიას პიესას, რომელიც
თურმე ქეთევან დედოფალს ეხება. ამის შესახებ შხოლოდ მოკ-
ლე ცნობა ამოვიკითხე აკაკი გაქერიღიას „რიქულ ნაქერიებანი
სამაგიეროდ ამ პატარა წიგნიდან ვხეღავთ, რომ ქეთევან

ირემაძეს მართლაც განზრახული ჰქონია ეს საპატიო ამოცანა სისრულეში მოეყვანა. საამისო ცნობებს გვაწვდის ამ წიგნის შესავალი, სადაც მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებია 1945 წელს გარდაცვლილ ამ მწერალი ქალისა.

†

„ქეთევან დედოფალზე რომანის დასაწერად — ვკითხულობთ აქ — ავტორმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა: ქართულ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე არსებული ისტორიული წყაროების გარდა, იგი უშუალოდ გაეცნო და საკუთარი ფეხით მოიარა ის ადგილები (გრემი, მუხრანი და სხვ.), რაც დაკავშირებულია ქეთევან დედოფალთან“ და სხვ.

მაგრამ უწყალო სენმა, როგორც ვთქვით, მალე მოჰკვეთა მისი მარჯვენა და მხოლოდ ფრაგმენტები თუ დაშთენილა ამ დიდ ტილოზე, რომელიც ახალგაზრდა ქეთევანს მისი სათაყვანო დედოფლის სადიდებელად გაუშზადებია; დედოფლის, რომელმან სამშობლო ქვეყანა, დაცემული და შაჰაბაზის მიერ მრავალ გზით აოხრებული, სულიერად კვლავ აამაღლა: ათი წლით სპარსეთში ტყვეობით, სიმტკიცით და მოწამებრივი სიკვდილით ერს სული კვლავ ჩაუდგა და იგი მკვდრეთით აღადგინა...

†

უბედური და შავბნელი იყო ის ხანა ჩვენი ისტორიისა... შაჰაბაზმა მრავალი შემოსევით სრულიად დასცა და გაანადგურა მთელი ქვეყანა და ბოლოს მისი სახელოვანი დინასტია იქაძღვე მიიყვანა, რომ შვილს, კონსტანტინეს, საკუთარი მამა აღექსანდრე და ღვიძლი ძმა გიორგი მოაკვლევინა... მაშინვე ეს შემზარავი ამბავი მეფის რძალს, აშოთან მუხრან ბატონის ასულს, ქვრივ დედოფალ ქეთევანს აუწყეს... და აი, აქედან იწყება ამ ღვთისმოსავის, ქრისტიანული სათნოებით სავსე ქალის გმირული ელვარება და სამშობლოს ღირსებისათვის მკვეთრ მახვილად გარდაქმნა...

აქ მსურს ირემაძის დაუმთავრებელი რომანიდან ზოგი ადგილი მოვიტანო:

ვერაგი მტრის და გამცემ კონსტანტინეს ღირსეულად და-

სასჯელად ქეთევანი ერთგულთ მოუწოდებს და ვით რაინდი დედოფალი და ჭეშმარიტი სარდალი ამხედრდება და გასწევს.

„მიჰქროდა დედოფლის ტაიჭი“, — ვკითხულობთ აქ. — „შორი-ახლოს დიდებულთა გუნდი მიჰყვებოდა. ტყე-ტყე მიდიოდნენ; ტირიფი, რცხიმლა, მუხნარი რიგ-რიგად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ფიჭრი იტაცებდა დედოფალს, სწრაფად უნდა განეჭვრიტა სამოქმედო გზა. მტკიცედ სწამდა: მივბა და ფიცხლავ ძაშველ ლაშქარს გამოითხოვს, გაფანტულ რაზმებს შეაგროვებს და რისხევას დასცემს ურჯულოს... უდაბური ტყით მოსილი მთები შეუბართული ჯარივით მოსდგომოდნენ ნაპირებს. დედოფალს ღიმილის პირი არ უქნდა: „ღვთის გარეწარს ქრისტიანი მეფე მოუსპია“, ეუბნება იგი თავის თავს, „ისწრაფვის ფეხქვეშ გათელოს ყოველი: ვერ დაუდგეს კახთა მძლე მარჯვენას მტერი შეჩვენებული; ვფიცავ ხეცას არ დავანებებ მაძისა და ძმის სისხლში განბანულ სამეუფო გვირგვინს... რისხვამან ჩემთან მოგსრას შენ!“ ზედაზნის ციხეს ჩაუარეს. თორღი გადალახეს და ხეობაში შესულ ქეთევანს მოახსენეს: შესასვენებლად მათ ღვთაების მონასტერი აერჩიათ... აქ მჭირმა იოანემ ყველანი დააბინავა და მოასვენა.

„დედოფალი ცაღკე სენაკში განისვენებდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს. ბოღმა მოსწოლოდა ყელს, თითქოს ახშობდა... წამოდგა, სახატეს მიუახლოვდა, დაეცა მუხლზე; მიწად დახარა შუბლი მაღალი. გადმოეშალნენ თბათა ჯაღგები. დადგა ვედრებად. ეს ჩვეულებრივი ლოცვა როდი იყო. იგი წყევა იყო, წყევა შემფოთებული სულისა: „შენ დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთო, მოაჩიე რისხვა მას ხედა“, გაისმოდა ათრთოლებული ხმა... „ნუშცა უხილავს მას ნათელი ღვთაებისა, ნუშცა მიეცემის მას წყალობა შენი; ნუშცა ცვარისაგან ზეცისა; ნუშცა ნაყოფისაგან ქვეუნისა... იყავ სამკვიდრებელი მისი ოხერ და ნაშობნი მისნი... გონებისა და ხედვისაგან ოხერ ჰყავ იგი, ღმერთო! და შენ, სისხლის დაძღვრელო მამისა და ძმისა... კრულიშცა არს ძილი და ღვიძლი შენი, სამყოფი და საფლავი შენი... იყავნ წყეული, ვითარცა კან, ძმისა მკვლელი; შეჩვენებული, ვითარცა ქამი, მამისა შავინებელი; შერისხული, ვითარცა იროდე, ყრმათა მომსვრელი და ნათლისმცემლის თავის მკვეთელი; შემთვილეულ, ვითარცა იუდა, ქრისტეს გამცემი“...

..და წამოდგა დედოფალი: შავი ღრუბელი მოშორდა მის ნათელ სახეს“...

ამის შემდეგ დედოფალი კვლავ ღმობიერი ხდება და ბუნების მარადიულ სიბრძნეს და მაღალ სათნო განცდებს ემსახურება.

ეს გარდასვლა მშვენივრად გადმოუცია ავტორს ბუნების მხატვრულად გაშლილ სურათში: „მთის შევარულში მთვარის შექუხე თეთრად კიაფობდა ბელტის ციხე, ნაზის შიშინით თრთოდნენ ძილგატეხილი ვერხვები, ნუშის შებუტკოებულ რტოზე გულწითელა სთვლემდა; დედოფალი ფეხ აკრეფით მიუახლოვდა, ერთხანს გულთბილად შესცქეროდა ჩიტს. ირგვლივ ღუმილი იყო: სოფლის ხმა სავანეს ვერ აღწევდა“...

ასე გაათენა დედოფალმა ის ღამე და მეორე დღეს გულოვანი ლაშქრით ბრძოლის ველს მიუახლოვდა, სადაც მოღალატე კონსტანტინე სპარსთა რაზმებს მიუძღვოდა. მას მხარში რამოდენიმე გამცემი დიდებული უდგა, ციციშვილის მეთაურობით.

ქართველთა ლაშქარი მათკენ მხნედ მიეშურებოდა, „საომრად აკაზმული ჯარი“, — გვამცნობს ავტორი, — „მიჰყვებოდა ჯვარის მტვირთველსა და სეფე დროშას, რომლის ქვეშ თეთრ ტაიჭზე ამხედრებულიყო აბჯარმოსილი ქეთევან დედოფალი. ამაყად იჯდა მხედარი, მისი სახე მარტოოდენ შეუპოვრობას მეტყველებდა“...

ქართლ-კახეთის ლაშქარი ხედავდა შორს დაბანაკებულ მტერს... შფოთავდნენ მებრძოლნი; უნდოდათ მყისვე თავს დასხმოდნენ... მაგრამ ჯერ კიდევ ამისი დრო არ იყო და აქ „ქეთევანმა ჯარს გადახედა. მხედარნი ჩამოსხდნენ. „ალიგვეს მტერი მიწისა ჩვენისაგან“ — გაისმა საომარი შეძახება დედოფლისა. „ამინ!“ — ლაღად ჰყო ჯარმა და მუხლი მოიყარა. „ფიცავ, თავი ჩემი აწ დამიდვია სასიკვდილოდ, დამარცხებული მე არ გავალ“. — „ფიცავთ!“ — ლაღად ჰყო ჯარმა.

ამ რაინდული შეფიცვის შემდეგ ყველანი კვლავ ამხედრდნენ და გააფთრებით მტერს ეკვეთნენ. ჭარბის სიცხოველით აღუწერია ავტორს ეს მამაცური შებმა და ქართველთა გამირული თავგანწირვა.

ამ ბრძოლის დროს ერთი ჩალმოსანი „სპარსელი“ სარდალი ჩამოუქროლებს თავის რაზმებს და გაამხნევებს“ „მაგრა

დააკათო!“, მაგრამ ეს სიტყვა მას პირშივე შეაწყდა; უეცრივ ორბის ფრთით შემკული გამოენტო... „გიცან ციციშვილო“ საზარელი ხმით შეჰყვირა ზურაბ ჯორჯაძემ და ხმლით კისრამდე ჩათალა ის“... შედრკა სპარსთა ჯარი და კონსტანტინე ხომ უფრო მეტად შეძრწუნდა, როცა მის საწინააღმდეგოდ კახთა ახალი რაზმი დაიძრა... „კახეთის ხანს“, კონსტანტინეს, გაქცევის მეტი არა დარჩენოდა რა და აი, ამ დროს ზურგიდან თავხარდაძვემი ხმა მოესმა: „ღვთისა და ქვეყნის ორგულო, აბა დამიხვდი!“ იცნო: ეს თამაზ ვაჩნაძის ხმა იყო“... მოჰკლეს კონსტანტინე, იმძლავრა ქეთევანის რაზმმა და სპარსნიც უკუ იქცნენ.

ასე სახელოვანად ომგარდახდილი შებრძანდა ქეთევანი გრემის სასახლეში.

„გაისმა სარების საზეიმო ხმა. ხალხმა დედოფალს გზა გაუხსნა და უეცრად მოხეტიალმა გუგუნმა კვლავ მოიცვა არე: „მოვსპეთ მტერი უნდობი! იყოს დღეგრძელი დედოფალი ქეთევან!“

დედოფალს დინჯად მიჰყავდა ტაიჭი. ტკბილის ღიმილით დაცქეროდა ხალხს. მთავარანგელოზის ტაძართან შესდგა, დაქვეითდა. კარიბჭეს ზღურბლთან იღვა კარის მწირველი თვით იოანე ნეკრესელი; ხელთ ღვთისმშობლის ხატი ეპყრა. დედოფალმა მუხლი მოიდრიკა, ხატს ემთხვია... შუალამე გადასულიყო, ოდეს სასახლის დარბაზში ბაზმები ჩაჰქრნენ.

დედოფალი მყუდროებაში განცალკევდა. ლოცვით შესცქეროდა ზეცას და იტყოდა: „კვლავ აღსდგა ჩემი ხალხი! განქარდა ურწმუნო კონსტანტინე. აღვილად დავძლევდით გარეშე მტერს, თუ აღვგვიდით ურთი-ერთ ამბოხსა... საშშობლო ჩემი, საშშობლო განუყოფელი!“ მაგრამ დედოფლის გულში, სადღაც მაინც, იგუბებდა ეჭვი: რას უმზადებდა ბედი მის ქვეყანას, ან კერძოდ მას? ამ დროს ანაზდად მის წინ ვარსკვლავი გაბრწყინდა. რას მამცნობს იგი? გაიფიქრა მან, „დიდ სიხარულს ამ ქვეყნიურს... მაგრამ ბნელეთის ფარდა მაინც შეეხვია ამ ბედის ვარსკვლავს... აღსრულდეს ნება შენი! დეე ვიყო ტარიგი ჩემის ქვეყნისა!“ ვარსკვლავი აკიაფდა, განაქრო ბნელი... შორიდან გრემის წყლის შუილი ისმოდა, ცისკარი მოსდგომოდა ლურჯ სავანეს“...

ასე მხატვრულად ამთავრებს რომანის ამ ნაკვეთს ავტორი.

კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ შაჰაბაზსა კახეთის უფრო მეტი მტრობა ჩაიღო გულში და მზაკვრულად მისი სრული მოსრნა და გაუკაცრიელება გადასწყვიტა. მაგრამ ჯერ საამისო მარჯვე ღროს უცდიდა, ხოლო მანამ კი, თვალთმაქცურად, ქეთევან დედოფლის თხოვნა დააკმაყოფილა და მისი ვაჟი, 16 წლის თეიმურაზი, კახეთში გაამეფა. ამასთანავე შაჰაბაზმა ქეთევანს კონსტანტინეს მოკვლის გამო ცბიერად აუწყა. „მამის მკვლელს ხელიც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო“. (იხ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია) და ეს მის შემდეგ, რაც სწორედ ამ შაჰის საგანგებო და პირადი დავალებით შეასრულა კონსტანტინემ მამისა და ძმის ვერაგული მკვლელობა.

†

თეიმურაზის გამეფების შემდეგაც, ქეთევანი სუვერენულად განაგებდა და მუდლობელობდა კახეთს და კერძოდ ქართლის შემომტკიცებაზეც კი ოცნებობდა. ქეთევანის გავლენის შესახებ მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი იმოწმებს რა მაშინდელ ინგლისელი დიპლომატების ჩანაწერებს, დასძენს: „ქეთევანი ყოფილა კონსტანტინეს წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის სულის ჩამდგმელი... საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ყოფილა თავის დროზე კახეთის სამეფოს გამგებელი და მონაწილე სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობის. ისეთი სრული იყო მისი დედოფლობა, რომ სპარსელებს „დედუფალ“ მისი სახელი ეგონათო (იხილეთ „თეიმურაზ პირველი“, გვ. 32).

მზაკვარ შაჰაბაზს ქეთევანის გეგმები და ზრახვები არ გამოპარვია და 1614 წლის ლაშქრობის წინ თეიმურაზის ვაჟების — ლევანის და ალექსანდრეს — მძევლობასთან ერთად, მან ქეთევანიც მოითხოვა. ქვეყნის აოხრების შიშით, შვილიშვილებთან ერთად ქეთევანი თვითონ ეახლა შაჰს და მან სამივენი მყისვე სპარსეთს გააგზავნა...

მაგრამ ამ დათმობამ უფრო უარეს დღეში ჩააგდო კახეთი. იგი ზედიზედ იქმნა შაჰაბაზის მიერ აოხრებული, გაუკაცრიელებული და უამრავი ოჯახები აყრილი და სპარსეთში გადასახლებული. „რამეთუ“ — იტყვის ისტორიკოსი და მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი — „იყო შაჰაბაზ ცბიერი, ხუანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა“.

ამ დროს წელში გაწყვეტილ ქვეყანას ღირსეული დედოფალი პირადი გმირული სიმამაცით და სასტიკი წინააღმდეგობით ერს მაგალითს აძლევდა. ეს ქალი შირაზის უსაშინელეს ტყვეობაში მაინც მხნედ და ურყევად იღვა და მრისხანე შაჰაბაზის შეტევებს გააფრთხულ წინააღმდეგობას უწევდა. იმ ხანებში ქეთევანს, რომელს ბაგრატიონთა პოეტური ნიჭი არ აკლდა, ლექსიც უთქვამს, რომელშიც მისი დიდი მწუხარება არის აღბეჭდილი. ცნობილ დავით რექტორის მიერ შედგენილ, თუ გადაწერილ კრებულში: „სხვათა და სხვათა მეშაირეთაგან თქმულ ლექსებში“ მოტანილია დედოფალი ქეთევანის ლექსი: „მენ პერობილებაში“, — ამბ „ბს ჩვენი პოეტი და კალიგრაფი დავით რექტორი — „მწუხარემან სთქვა ფისტიკაურად. ეს „ანბანთ ქება“ დედოფლისა ექვთიმე თაყაიშვილს მოაქვს თავის „აღწერებში“: „ამას ვსტირი ბნელსა მჯდომი“, მოსთქვამს დედოფალი.

გულსა მღურად დადაგულსა,
 ესრეთ ვაება, ეის მოება, ზედი-ზედა,
 ჰე, დართული და სხვა. (იხილეთ „ოპისანიე“, გვერდი ორასი).

დედოფლის ეს ლექსი სხვა მკვლევართაც მოაქვთ და ბოლო ხანებში ლ. ასათიანსაც. მაგრამ ოდნავის ცვლილებებით. (იხ. ლ. ასათიანის „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“).

†

ქეთევან დედოფლის დიდი გავლენის ქვეშ აღზრდილი მისი შვილიშვილები: ლევან და ალექსანდრე (თეიმურაზის ძენი); დიდ მხნეობას და სიმტკიცეს იჩენდნენ... ისინი ათასგვარ წარჩინება-ფუფუნებაზე უარს ამბობდნენ და დიდ წამებას იტანდნენ ძვირფას გამდელთან და ბეზიასთან ერთად. ამან შაჰი უფრო გაააფთრა და მან, ქეთევანის ნების გასატყუად, ისინი დაასაჭურისა; საბრალო ლევანი ამის შემდეგ ჭკ შეიშალა. ხოლო ალექსანდრემ ამას ვერ გაუძლო და ტანჯვაში დაღია სული. ასე ტრაგიკულად დაედუბა თეიმურაზს მისი საყვარელი მეძვიდრენი შორეულ სპარსეთში. მაგრამ ვერც ამ შემსარავმა ამბავმა შეარყია დედოფალი ქეთევანის წინააღმდეგობა; იგი ძველებურად მტკიცედ იღვა და სპარსეთის შაჰს

ქედს არ უხრიდა: არ იცვლიდა რჯულს, არ განდგომია თავის ქვეყანას და მათთვის გამირულად ავიდა ეშაფოტზე.

†

მწერალი ქალი ქეთ. ირემამკე რომანის უკანასკნელ თავში („კოცონი“) გვაუწყებს, რომ უკვე შავი ზეწრით დაბურულიყო დედოფლის ბედის ვარსკვლავი; რომ მისი წინაგრძნობა საშინელი აღსასრულის შესახებ მოჭარბებით მართლდებოდა. აღსრულდა! იგი საქართველოს ტარიგი გახდა და 1624 წელს სექტემბრის 13-ს გაუტეხელი ქართველი დედოფალი შაჰაბაზის საგანგებო ბრძანებით უსაშინელესი წამებით მოჰკლეს.

როგორც ვთქვით, მისი წამება დიდი სინამდვილით ზოგ ევროპელ მწერლებთან, ქართველებსაც ბევრჯერ გადმოუციათ და მათში ყველაზე მკვეთრად და დრამატიულად მის საკუთარ შვილს, მგოსანსა და დატანჯულ მეფეს, თიემურაზს:

„მერმე გაუბეს ხელფეხი“ — გვაცნობებს მგოსანი საყვარელი დედისა და დედოფლის საშინელ წამებაზე —

გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი,
დასდეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდეს,
ყველა ქმნეს მათი აჯები...
ქვეშ დაუფინეს, დახურეს,
ზედან ლურსმნისა რკინანი,
ქვე წაიარეს. გააპეს
ბროლი, ლალი და მინანი...
სხვა წამოასხეს, დაჰყარეს
ხორცთაგან ტყავნი წინანი... (და სხვა).

(მაჯები — ორივე მაჯა; საჯები — მარწუხი; ბარი ანუ რკინის ნიჩაფი; აჯა — თხოვნა, მუდარა; მარწუხი — რკინის იარაღი, რომლითაც მჭედლები გახურებულ რკინას იჭერენ; ზილფი — თმა; შანთი — გახურებული რკინა).

კლასიკურ პოეზიაშიც სულხან-საბა ორბელიანსაც ასეთივე სიმბოლურით გადმოუცია ეს გულ-გამგმირავი სურათი დედოფლის ტანჯვისა, რომელსა „მოჰკახზმავდნენ შვენიერად, შეუქმოდნენ ფისსა ზილფად, ცხელ შამფურებს ქინძისთავად... ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად“...

†

მაგრამ დღეს მწერლობაში, ჯერ ხანად მაინც ისე მძაფრად და ისეთი ისტორიული რეალიზმით არაეის გაუშლია ჩვენი დედოფლის გმირული თავდადება, როგორც უდროოდ დაღუპულმა ახალგაზრდა მწერალმა ქალმა, ქეთევან ირემაძემ შესძლო. „კოცონ“-ში სრული სიდიადით მოჩანს ქეთევან დედოფლის გაუტყეხელი, ამაყი და ამტანი ბუნება და ნება. მისი ურყევი, საღ კლდესავით მყარი ეროგულება ერისა და რჯულისადმი და ყველა ამისთვის მოწამებრივი სიკვდილი დედოფლისათვის „უმაღლეს ჯილდოთ“ ქცეულა. ქეთევანი, გახურებული შანთებით დადაღული, მარწუხებით დასუსტებული, მაინც ბოლომდე მტკიცე რჩება. სწორედ ამ სიმტკიცით ის ამარცხებს არა მარტო ძლევამოსილ შაჰაბაზს, არამედ თვით სიკვდილსაც.

†

მოკვეთილად და იშვიათი სინამდვილით გადმოუცია ავტორს დედოფლის საწამებლად მოყვანის სურათი:

„ხალხით სავსე მოედანზე ტრახტეკვანდის სადგული გაიხსნა და შავით მოსილი მანდილოსანი ძირს გადმოვიდა: ცვილისფერი, ნატიფი, მაგრამ ნაწამები სახე, უფრო უკარებლად, მტკიცედ და თან სასოებით ინაკეთებოდა თაღს ღართზე. შუა გულთან ეღვარებდნენ ქარვის ფერი თლილი ხელები და ოქროს ჯვარცმა. მის დანახვასე ხალხი შეირხა... ნასახნიბაშმა ბრძანა და მყისვე ოთხ ადგილზე პალო დაასექს ჩუქურთმიანი. სარბაზები შესავალთან ჩაშწკრივდნენ. ღულაბებმა შეშა ზვინ'ზვინად მოიღეს. ხელ და ხელ აღმაღალი ცეცხლი ადაგზნეს; შიგ შანთები, მარწუხები, საჯები შეაწკკეს. შაჰბუბმა რვალის ქვაბი შუა ცეცხლში ჩადგა. ჰუსეინ ალი მირზამ ფირმანის კითხვა იწყო... და ოდეს ჯალათნი მის საწამებელ საშინელ იარაღებს განაწყობდნენ და კოცონს აჩაღებდნენ, „იდგა ქეთევანი, ყოველგვარი ჩრდილი სკედისა წაშლილიყო მის სახეზე. ბაგეზე კი იღუმალი ლოცვა უთრთოდა: „მოშიკლინე ანგელოზი, მცველი სულისა ჩემისა და მიითვალე სული ჩემი და განმიღე კარი სასძლოსა შენისა და აღმრაცხე მე გულანდისა თანა მოწამეთა შენთა“... და აქ ჰუსეინ ალი მირზა, დესპანი შაჰისა, უკანასკნელად ურჩევს განაწამებ დედოფალს:

ეხლა მაინც, ათი წლის ტყვეობის შემდეგ, სასიკვდილე კოცონის წინაშე. გონს მოვიდეს და უარპყოს რჯული მაძა-პაპათა...

თვალანთებულნი ჯალათნი წარეპართხენ. ისე იდუმალი ლოცვა ათრთოლდა ქეთევანის ბაგეზე.

მის მშვიდ სახეს წმიდა შარაყანდელი მოჰყენოდა და ოდეს სამოსის გახდა დაუწყეს, განძვინვდა; მაგრამ ხელები შეუკრეს და ტანთ განძარცვულს იესოს ჯვარი შეაგლიჯეს, შუა ცეცხლში გადაისროლეს... წითლად ავარეარებული მარწუხები ძუძუებთან მიიტანეს, გახურებული რკინის ჯაჭვი წელს შემოავლეს. შანთის, თუ მარწუხის ყოველ მიკარებაზე წელში იხრებოდა, კვლავ იმ თებოდა და დათუთქული ხელებით სიმშველეს იფარავდა.

„უარპყავ, უარპყავ მასიპ!“ — დასჭყივლა მუშტადმა.

„უარპყავ!“ — აღრიალდა ბრბო და ეს შეძახილი გრგვინვა-სავით მოედო მთელ მოედანს, მიწა ახანხარდა...

„უარპყავ!“ — დაფდაფნიც ღრიალებდნენ.

„უარპყავ!“ — კვლავ გუგუნებდა ხალხი; ამ გუგუნმა გამოარკვია დედოფალი, ძალა დაუბრუნდა.

„არასოდეს!“ — ხმა აახეულა და შესძახა ქეთევანმა და ხელებგაკრული ისე ზვიდად აღიმართა, რომ ბრბო მყისვე დადუმდა...

იღვა უსაჩინოესი; ვიდაცამ წარტაცა ტკივილები; წყლულნი თითქოს გაუყუჩდნენ.

„მაგას ნუ მნუკავთ, ხალხნო“, — გაისმა მრისხანედ, — „მამული დავგძო, სჯული დავაგდო? შთაგაგონათ განა ბოროტმა სატანაელმა?... განაგრძეთ სასჯელი; რაიცა ნებავს მაძაბაზს ჩემთვის. აჰა, შხადა ვარ წინაშე თქვენთა...“ — ხმა ანახდულად ჩაუწყდა, თვალთა ისარი ეხლა მტირალ ქართველ ტყვეებს მიაპყრო...

„ნუ მწუხარე ხართ დანო, ძძანო და შვილნო ჩემნო! მამულისათვის თავის შეწირვა, ვალია წმიდა და შეუგინებელი. აწ უმეტესად ბედნიერად ვრაცხ თავსა, ჩემსა ვიდრე დედოფლობისა შინა; ნუ შესწუხდებით, ოდეს იხილოთ უსასტიკესი სატანჯველნი ხორცთა აძათ. ჩემთანა... ნუ მშიშარ იქნებით ეაძსა უბედურებისასა. განამტკიცეთ ქართველთა შორის სული ძლიერი; დაიცავით სამშობლო; აღიმართენით“...

ჯალათმა სიტყვა არ ახანა, გაღვივებული შანთი მკერდში აიგერა... ზურგიდან მსწრაფლ მოუარეს და დაშანთული ნაკ-

ვერცხლებზე, გახურებულ სამკვალეებზე განართხეს. სისხლ-
მოქცეული ფეხზე ძალით წამოაყენეს და ჩაიკეცა... თვალბუდის
მიდამოებიდან სითხე გადმოსდიოდა... ამწვარ-ამაშხული თა-
ვიდან კვამლი ავარდა და შეთრთვილული თმა დაცვივდა”.

**აღსრულდა დიდი დედოფალი და „ლურჯი ნათელი დაად-
გა წამების ადგილს“...**

ასე ამთავრებს ამ გულის შემხარავ სურათს ნიჭიერი მწე-
რალი ქალი.

მისი რომანის ნაკვეთები მარტო იმით კი არ არიან შესა-
ნიშნავი, რომ მაშინდელი საქართველოს და კერძოდ, კახეთის
ზუსტ განსახიერებას იძლევიან; თან სახელოვან დედოფალს
სხვა და სხვა ასპექტში გამოავლენენ (მშვიდობიანობისას,
თავდაცვა-შეტევისას, რჯულისა და სამშობლოსათვის წამები-
სას და სხვა); არაქედ უმთავრესად, მისი პატრიოტიზმის ძა-
ლით, სულიერი სიმტკიცით და განუხრელობით. მაშინდელი
და ადრინდელიც „ქართლის ცხოვრების“ გზა ხომ ქრისტიან-
ობის დროშით მიემართებოდა და ძლიერი ისლამის წინაშე
ამ დროშის დახრა, ერის სხეულში სასიკვდილო მახვილის გა-
ტარება იყო.

აი, სადაც ისლამმა ქართულ მიწა-წყალზე ფეხი მოიკიდა,
ქართველობა დედის ძუძუს სწყდებოდა და უცხო სახეს იღებ-
და. ნელ-ნელი გადაგვარების აცდენა შეუძლებელი ხდებოდა.
ამიტომ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები ხრმლითა და ჯვარით
ხელში.

ქეთევანის სიმტკიცე მამა-პაპათა რჯულზე, მისი შეუდ-
რეველი რწმენა და „კოცონზე“ ქრისტესა და მარიამისადმი
მიმართული ლოცვანი და ჰიმნები, ნამდვილად საქართველოსა
და ქართველობის გადმერთიებაა, მისთვის მოწამებრივი სიკვდი-
ლი უმაღლესი ჯილდოა. ქეთევანი მტრის ძლიერ და ულმობელ
რკალში მომწყვდეული, ბოლოს უძლველი ხდება. ეს ფაქიზი,
პაუროვანი ქართველი ქალი, ყოველ საჭურველს მოკლებული
და ტყვე, უდიდესი სატრაპისა და მისი გააფრთხელებული ჯალათე-
ბის წინ შეუდრეკელია. სასიკვდილო კოცონზე, სადაც მას გა-
ხურებული შამფურებით შანთავენ და ძუძუებს ჰგლეჯენ. სა-
დაც არა მარტო გამხეცებული სპარსთა ბრბო აძაგებს და შეუ-
რაცხყოფს მას, არაქედ თვით ქართველი ტყვეები, საკუთარნი



წინდა მარჯაუ. კახეთის დედოფალი ქეთევან

და ახლობელნი ტირილით ეკედრებიან: „უარპყავ რჯული და შენც გადარსები და ჩვენცა“-ო. ამ დროს ის მაინც კლდე-სავით შეუდრკეკელი დგას და ნახევრად დაიწვარი და სისხლისგან დაცლილი იმეორებს: „არასოდეს“

განა ეს ყველაზე მტკიცე ქვა არ არის „ქართლის ცხოვრების“ გასაგრძელებლად მიტანილი?

ქეთევანის საჯაროდ წამება იმ აზრით მოიგონეს, რომ დარწმუნებული იყვნენ: ძალა და შიში გასტეხდა ყოფილ ღედოფალს და სპარსეთი და შაჰი ამათ პრესტიჟს გადაირჩენდნენ. ქეთევანის ურჩობა, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, უნდა გაეტეხათ... ეს მართო ჯიუტობა კი არ იყო; ამას მოითხოვდა ისლამის ავტორიტეტი და მთელ აღმოსავლეთში გაბატონებული შაჰის ძალა და სახელი.

მძიმე ტყვეობით დაუძღურებული. შიტოვებული. უმწყო ქალის წინ ქედს ხომ ვერ მოიხრიდა უძლეველი შაჰაბახ პირველი? ასე ფიქრობდა და სჯეროდა სპარსეთს და ამიციმ საკვეყნოდ მოაწყო ეს წამება.

მაგრამ მოხდა უდიდესი საკვირველება. ღვთიური სასწაული: სუსტმა და უძღურმა ქალმა დაამარცხა საქართველოსა და მისი რჯულის მტერი, გასტეხა და მიწაზე განართხა დიდი შაჰის თითქოს უძლეველი ძალა და ნება...

ქეთევანის სული დამწვარი და დაფლეთილი სხეულიდან შემართებით აღმალლდა და „კეთილმა სძლია ბოროტსა“, არსება მისი უკვდავ იქცა... ეს „კეთილი“ და სიძარითლე იყო შამყელის, ხალხის და რჯულის საუკუნოებრივი სულიერი საღიარო. ქეთევანმა სწორედ აქ მოიგო ოში საქართველოსათვის და „ქართლის ცხოვრება“ ძველი გზით წარმართა. ამაშია უკვდავება მისი ღვაწლისა და წამებისა. ეს „სადმართო ვალი“ მან დიდი ღირსებით მოიხადა და ანტონ კათალიკოსს მშვენიერად უთქვამს ამის გამო:

აქვს საღმრთო ვალი ვითა ცითა ცხოველი წყალი, გული უძ სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი, და ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მერთალი“...

†

აი ასეთმა სიმტკიცემ შეინახა საქართველო და უკვდავყო ქართველ ქალთა დასი, რომელთა შორის მწვერვალზე ღირსეულად დგას წამებული დედოფალი.

ქეთევან დედოფლის ღვაწლის და წამების მადლი უნდა ნათელ სვეტად ჩაეშვას დღეის ქართველობის ყოფას.

ყველა ეს იშვიათი ხელოვნებით კვლავ გაგვიცოცხლა ნიჭიერმა ქალმა — ქეთევან ირემაძემ; ამიტომ დაშთა მის მოკლე გზას ნათელი კვალი.

ქართველ მწერლებთან ერთად ჩვენც ვწუხვართ მის ბედზე; ბედზე, რომელმაც სულ ახალგაზრდა მწერალს, ცოდნასთან ნიჭი და შრომის უნარი დაუკურთხა, მაგრამ ერთი რამ ვერ გაიბეტა: მისთვის ხანი დაენანა...

არ შეგვიძლია საყვედური არ ეკადროთ განგებას, როცა ამ პატარა წიგნს გატაცებით ჩავიკითხავთ და დავხურავთ...
სექტემბერი 1963 წ.

ლტოლვილთა სადკალენი

— პარიზიან ახლოს, დაბა ლევილის ქართველთა ხაძმო სასაფლაოზე განსვენებულ ნიკოლოზ (კოკი) დადიანის (1879-1939) ეპიტაფიის ეს სიტყვები, აღბათ, ყველასე უფრო მკერძმეტყველურად გამოხატავს სამშობლოდან მოწყვეტილი და ბედის უკუღმართობით უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართული ეროვნული ემიგრაციის ტრაგიკულ სევს:

